სარჯიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 8 ოქტომბერი 1999 №193 (966) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსაჯო, გახსოვდეს, შენ ოჯახში გელიან!

ანატოლი მილჩენკო მსაჯობაზე

უმველის ტრეზეგე ფრანგებს?

ამ შაბათ-კვირას ევროპის ჩემპიონატის კიდევ ექვსი ფინალისტი გაირკვევა

დღეს უნდა ვიჩხუბოთ!

კანდელაკი — იანგი
გოგოლაძე — გაბრიელიანი
ბებნაძე — ტასიმოვი

რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს

გურამ საღარაძე

პირველი დღე: არც მედალი, არც ლიცენზია

გუშინ ბირმინგემში ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი ქართველებისთვის მეტად უიღბლოდ დაიწყო: მძიმენონსანმა რამაზ ჩოჩიშვილმა პირველივე შეხვედრა წააგო თურქ სელიმ თათაროღლუსთან და შეჯიბრებას გამოეთიშა.

ივერი ჯიქურაულმა (100 კგ) პირველ წრეში მოუგო ისლანდიელ ტორლეიფსონს, მომდევნოში კი დამარცხდა ბელარუს ლეონიდ სვირიდთან და ჩემპიონატს ისიც გამოეთხოვა. ამ ეტაპზე ორივე ჩვენი ძიუდოისტი სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზიის გარეშე დარჩა.

ამ ორივე წონაში იაპონელებმა იმარჯვეს: მძიმეში — შინიჩი შინოჰარამ, 100 კგ-ში — კოსეი ინუემ.

ევროლიგა გაასდა

REUTERS სტამბოლიდან

ულქერი — ოლიმპიაკოსი 64:86. ბერძნების ამერიკელი ფორვარდი ჯეიმს რობინსონი (№8) ულქერელმა უფუკ სარიჯამ (№15) ვერ გააჩერა

სლოვენიის სარჯზე

გუშინ ევროლიგის მესამე ტურში ამ გათამაშებაში პირველად ორმა გუნდმა ასქულიან ზღვარს უწია, ორივემ სლოვენიელები დაჩაგრა: ათენის „პანათინაიკოსმა“ 100:80 მოუგო ლიუბლიანის „ოლიმპიას“, ხოლო ფრანგულმა „ვილერბანმა“ 100:58 სძლია ლაშკოს „პივოვარნას“. ამ ტურის შემდეგ ევროლიგას სამი დაუმარცხებელი კლუბი შემორჩა: „პანათინაიკოსი“, „ოლიმპიაკოსი“ და „ბარსელონა“.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

5:1! ძოძუაშვილმა დაინყო

სანამ საქართველოს ნაკრები ტირანაშია და ალბანელებთან ხვალინდელი მატჩისთვის ემზადება, ლატვიის ეროვნული გუნდის ყოფილმა თავკაცმა, ამჟამად ჯეტას „ალ იტიჰადის“ მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა თანხმობა განაცხადა იოჰან ბოსკამპის შემდეგ ჩვენს ნაკრებს სათავეში ჩაუდგეს, ოღონდ... დანარჩენს მეორე გვერდზე წაიკითხავთ.

ჯანდი კეთილაძის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი

ჯონსონმა ძოძუაშვილს უკბინა

აშკოლდს ულდრიკისი რიგიდან საგანგებოდ „სარბიელისთვის“

შარშან, ზუსტად ამ დროს, საქართველოს ნაკრები რიგაში იყო. კოლეგების კომპანიაში ვიჯექი. სალაპარაკო თემა ყველას ერთი გვქონდა — ქართველთა ეროვნული გუნდი. თქვენამდე ლატვიის ნაკრებთან რიგაში სათამაშოდ არც ერთი ნაკრები არ ჩამოსულა ხუთი დღით ადრე. გეხსომებათ, ლატვია — საქართველოს მატჩი 10 ოქტომბერს ჩატარდა, საქართველოს გუნდი კი რიგაში 5-ში ჩამოფრინდა და მრავალთაგან ყველაზე უკეთესში, ხუთვარსკვლავიან „რადისონ სას“-ში დაბინავდა. დასამალი რაღა მაქვს და, მაშინ ქართველებზე ვოხუნჯობდით კიდეც, ნორვეგია დავამარცხეთ და ხედავთ, საქართველო თამაშამდე ხუთი დღით ადრე გვეწვიაო.

რას წარმოიდგენდით, ნორვეგიელებიც თუ ქართველების მსგავსად მოიქცეოდნენ? არ გვეგონა, მაგრამ ახლა უკვე ფაქტია: 9-ში რომ თამაშია დანიშნული, სკანდინავიელები 5 ოქტომბერს დილაუთენია გვესტუმრნენ. თანაც როგორ, აღარ იკითხავთ? ჩვენი ჯგუფის ერთპიროვნულ ლიდერებს ერთადერთი მოთამაშე, ბუნებრივია, ძირითად შემადგენლობაზე ვამბობ, მანჩესტერელი რონი იონსენი აკლიათ, ტრავმა ჰქონია.

ქართველებივით, ნორვეგიის ნაკრებიც „რადისონში“ დაბინავდა და ისევე, როგორც თქვენები, დღემდე რიგის „სკონტოს“ ბაზაზე ემზადებოდნენ. დღეს ისინი „დაუგავას“ სტადიონზე ივარჯიშებენ, ხვალ კი, მათივე თქმით, ურთულეს მატჩს ჩაატარებენ ლატვიის ნაკრებთან.

რიგის აეროპორტში ახალჩამოსულ ნორვეგიის გუნდის მწვრთნელ ნილს სემბს რომ ვესაუბრე, მისი სიტყვებითაც გაკვირვებული დავრჩი:

— დიახ, გადაწყვეტილია, ჩვენ ევროპის ჩემპიონატზე ვითამაშებთ და, კაცმა რომ თქვას, ლატვიასთან თამაშს ამხანაგურის ელფერი უფრო დაჰკრავს, მაგრამ ეს წუთითაც არ იფიქროთ — ნორვეგია რიგაში რევანშისთვის ჩამოვიდა. იმ მატჩის მერე ლამის თანამდებობაც დავტოვე. ნორვეგიელი ჟურნალისტები ისე და იმდენს მაკრიტიკებდნენ, ვერც წარმოიდგენთ. ამიტომაც ვამბობ, რიგის მატჩი ჩვენთვის ბევრს ნიშნავს, პრესტიჟის ამბავია, ნორვეგიამ უნდა მოიგოს — მითხრა ნილს სემბმა და ცოტა თვალებიც აუთამაშდა. ეტყობა, მართლაც გულით სურს ლატვიასთან ღირსეული რევანში.

ნორვეგიის გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ტორე ანდრე ფლო კი ძალიან უუმურ ხასიათზე იყო. პრესკონფერენციას გავმართავთ და იქ მობრძანდით, ყველა კითხვაზე გიპასუხებთო, მითხრა, თუმცა ისიც დააყოლა, რიგაში ჩვენი წაგება სენსაცია უფრო იყო, ვიდრე კანონზომიერება, ამის დამტკიცებას 9 ოქტომბერს შევეცდებითო.

რაც შეეხება ლატვიის ნაკრებს, ჩვენებმა სანორვეგიო მზადება შვიდი დღეა, რაც დაიწყეს. მწვრთნელმა გარი ჯონსონმა შეკრებაზე ის ფეხბურთელები დაიბარა, რომლებიც დღეისთვის საუკეთესონი და ჯანზე არიან. ტრავმის გამო ლატვიელებს ვერ დეხმარება სკონტოელი მიხაილ მიხოლაპსი. მას მუხლი აწუხებს და უახლოეს მომავალში კიდევ ერთი ოპერაცია ელის. ასევე დაშავებულნი არიან ვიტალის ბაბიჩევსი, ბერძნებთან ათენში გოლის გამტანი, სრულიად ახალგაზრდა მარის ვერპაკოვსკისი და მისივე ტოლი ვიქტორს დობრეცოვსი.

გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე ლატვიის ნაკრების ინგლისელმა მწვრთნელმა გარი ჯონსონმა ისიც აღნიშნა, რომ მას სულაც არ აშინებს ნორვეგიელთა სახელი, მხოლოდ გამარჯვება დაკმაყოფილებს და არა ფრე, ან კარგი თამაში, მაგრამ წაგებაო. მე ყოველთვის შემტევ ფეხბურთს ვამჯობინებ და არა ისეთს, როგორსაც ლატვიელთა ყოფილი მწვრთნელი ძოძუაშვილი“ — დაამატა ჯონსონმა.

მატჩისადმი ინტერესი კი არცთუ ისე დიდია. მოგეხსენებათ, აქ ბევრი რუსი ცხოვრობს და მათ „დაუგავას“ სტადიონზე ლატვიელთა გულშემატკივრობას ის უჯობთ, ტელევიზორებს მიუსხდნენ და რუსეთის ნაკრებს უქომაგონ. მართალია, ბილეთის ფასი 5, 10 და 15 ლატია, რაც ლატვიელთათვის საკმაოდ ხელმისაწვდომია, მაგრამ რაკი მატჩს ინტერესი არა აქვს, ხალხი შინ დარჩენას ამჯობინებს. გარდა ამისა, ნორვეგიელებმა „დაუგავაზე“ დამონტაჟებული 5 600 სკამიდან 1 500 თავისთვის ინებეს და ჩვენს ფედერაციას 45 000 დოლარიც მიართვეს.

და კიდევ: ლატვია — ნორვეგიის ხვალინდელ მატჩს ინგლისური „საუთჰემპტონის“ მწვრთნელი დეივიდ ჯოუნსიც დაესწრება თანაშეკებითურთ. მათ პირველ ყოვლისა იმანტას ბლეიდერისის თამაში აინტერესებთ, რომლის სანაცვლოდაც მარიან პახარსის გუნდის მესვეურები სულ ცოტა, 500 ათას გირვანქას დღესვე იხდიან.

P.S. ერთი ლატი დაახლოებით ორი დოლარია.

1998 წლის 6 სექტემბერი. ნორვეგია — ლატვია 1:3. ასე იწყებოდა...

სარბიელის არქივიდან

ვ. ურავ დელეგაშვილის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი: ნაკრების მწვრთნელობას უსიტყვოდ დავთანხმდები... გამოიყენეთ, ბატონო!

— საუდის არაბეთის თასის გათამაშებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ პრიზის მოპოვებაც მეტად პრესტიჟულ საქმედ ითვლება. ბოდიში, მაგრამ საუდეთში კლუბებს ისეთი სახელწოდებები აქვთ, ზუსტად არც კი მახსოვს, ვის ვძლიეთ, თუმცა ფაქტი იყო — ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა. დავამარცხეთ და შემდეგ ეტაპზე გავედით, გუნდის თამაშით მეც კმაყოფილი დავრჩი, გულშემატკივრებიც.

— ამ ორის გარდა სხვა მატჩები არ გქონიათ?

— თასამდე რამდენიმე ამხანაგური თამაში ჩავატარეთ, ყველა მოვიგეთ, აქაური. გუნდები დავამარცხეთ.

— ევროპულ დონემდე ბევრი უკლიათ საუდეთის კლუბებს?

— რომ მეგონა, იმაზე მეტი. ესენი ვერც ტექნიკურობით მოიწონებდნენ თავს, ვერც მაინცდამაინც კარგი ფიზიკური მომზადებით. ეგაა, ძალიან შრომისმოყვარენი არიან, ყველა დავალებას უსიტყვოდ ასრულებენ.

— „ალ იტიჰადთან“ კონტრაქტი თუ გააფორმეთ?

— კი, სამწლიანი, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— რაღაც მეეჭვება, აქ სამ წელიწადს გავძლო. კლიმატზე რომ არაფერი ვთქვა, ხალხია უცნაური. წასასვლელ-მისასვლელი არსად მაქვს. წარმოიდგინეთ, მხოლოდ სახლს, ბაზასა და სტადიონს შორის ვართ გამოკიდებულნი. ჯერ ქალაქშიც არ გამივლია. ბარი არა, რესტორანი არა, არანაირი გართობა. ისე კი, დროებით ასეთი ცხოვრებაც კარგია, სხვა საფიქრალი არ მაქვს — მხოლოდ ფეხბურთი.

— არმაზ ჯელაძის გარდა სხვა ფეხბურთელები თუ ჩაიყვანეთ?

— ერთი უკრაინელი ბიჭი, 21 წლის თადამსხმელი ივან მალიომინი. ადრე შეპეტოვკაში რომ ვმუშაობდი, მას მაშინ დავადგი თვალი, 15 წლის იყო. ახლა წამოიზარდა, დავაჟკაცდა და აქ ჩამოვიყვანე. კარგი ფეხბურთელი უნდა გაიზარდოს. ჯელაძესთან ერთად ვათამაშებ თავდასხმაში.

— ქართველების წაყვანასაც რომ აპირებდით?

— კი, მაგრამ საუდეთის ჩემპიონატში თითოეულ გუნდს მხოლოდ ორი ლეგიონერის თამაშის უფლება აქვს. აზიის ჩემპიონატში ეს ლიმიტი სამი კაცით განისაზღვრება და, ალბათ, რომელიმე ჩვენებურსაც ჩამოვიყვან. ცენტრალური მცველი მჭირდება, ლევან სილაგაძეზე ვფიქრობ სერიოზულად. მეტს ვერაფერს გეტყვით, აქაურ ცხოვრებასთან შეგუება ძნელია, მით უმეტეს, ქართველისთვის. მე, გუცაევი და ჯელაძეც გაძლებაზე ვართ. მთელ დღეს შინ ვატარებთ, შვიდ საათზე ვივარჯიშებთ და ისევ შინ. გასაქანი არ გვაქვს.

— ჩემპიონატი როდის იწყება?

— ჯერ არც კი იციან. ადრე თქვეს, ოქტომბერშიო, მაგრამ ახლა გადაიფიქრეს, მთელი ყურადღება ეროვნული გუნდისკენ აქვთ მიმართული და ჩემპიონატის დასაწყებად ვერ მოუცლიათ. სხვათა შორის, ორი, სამი კვირა ნახევარ გუნდს ვავარჯიშებდი, სამი კაცი ეროვნულში ჰყავდათ გამოძახებული, ხუთიც ოლიმპიურ ნაკრებში.

— გუცაევი თქვენი თანაშემწეა?

— თანაშემწედ ითვლება, მაგრამ ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, თითქმის ყველაფერს ერთად ვწყვეტთ, ჩვენში უფროს-უმცროსობა მხოლოდ ქალალდზეა. ისე კი, გამაკვირვა მისმა მონდომებამ, საოცარი ჟინი აქვს, მუდამ საფეხბურთო ლიტერატურას კითხულობს. ტელევიზორში მატჩს არ აცდენს, ბევრს სწავლობს. ერთი ორჯერ ისეთი რაღაცეები მირჩია, თამაშები მოგვაგებინა.

— საქართველოში ჩამოსვლას არ აპირებთ?

— ჯერ არა. იქნებ ორ-სამ თვეში დრო გამოვნახო და აქაურ ამბებს მერე უფრო დაწვრილებით მოგიყვებით.

— ჩვენი ეროვნული გუნდის მწვრთნელობა რომ შემოგთავაზონ?

— ბოსკამპი?

— ამბობენ, კონტრაქტს აღარ გაუგრძელებენო, თანაც თავადაც თქვა, მიგდივაროო.

— შესაბამის პირობებს თუ შემიქმნიან, რაზეა ლაპარაკი, უსიტყვოდ დავთანხმდები. ჩემს ცოდნას სხვას რატომ უნდა ვახმარდე. გამომიყენონ, ბატონო, მზად ვარ.

— შესაბამის პირობებში რას გულისხმობთ?

— ბოსკამპისნაირს თუ არა, არც მეტად განსხვავებულს.

ძოგა ინასარიძე

ეჯვი

ბაზის ჭიშკართან დგას. ხნიერია, შეუნახავი. ზუსტად ისეთი, როგორიც ამ დროს და ამ ქვეყანას შეეფერება. დიდი მუღამი არ უნდა — ეგრევე მიხვდები, მოკრძალებულია. მეტიც, მოწიწებამდე მოკრძალებული. ამათ სისხლში აქვთ გამჯდარი ეგეთები, ასაკის და იმ ეპოქის ბრალია, რომელშიც ქომაგად ყალიბდებოდნენ. მესხი, მეტრეველი და ასე შემდეგ... ვინ იცის, ბასა და ბორიაც ახსოვს.

მოკრძალებულთან ერთად გაკვირვებულიცაა ოდნავ. ესეც ზედვე, სახეზე ეტყობა, უყურებს ბაზაზე შემსვლელ-გამომსვლელებს და ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ღია ჭიშკარს. ზოგჯერ სულწასული ბიჭივით კისერს წაიგრძელებს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დაინახოს ჭიშკრის შიგნით.

იქ კი, შიგნით, დეზერტირების ფილიალი გეგონება, ისეთი რია-რიაა. სიცილი, ხარხარი, ღადავი... მოკლედ, ბაზაა რა... აგერ დარაჯი ვიღაცას მივარდა და მოეხვია — გამოგიძახა მაინც? ოჰ, მაგის... ბოლოს და ბოლოს გაიგო, ვინ ვინ არის. იმას, უცნობს, „მანჩესტერის“ მაისურა აცვია და გაკვირვებული სახე აქვს. დარაჯი დაბნეულ სახეზე უყურებს და ხვდება, ნამდვილად აერია. „მანჩესტერის“ მაისურიანიც ხვდება. ხვდება და იცინის — ვის მიმმსგავსე? დარაჯი ხელს თბილისურად იქნევს და ბურდღუნით აქცევს ზურგს. ყველა ხედავს. ყველას ესმის. სიცილით იხოცებიან. ის, ხნიერი და შეუნახავი კაციც ხედავს. არ ეცინება. უკვირს კი — ადრე ასე არ იყო. ადრე არავის ეშლებოდა.

უკვე ბაზის ზღურბლზე დგას. მაინც რა ანდამატივით იზიდავს აქაურობა. გამგები გაიგებს. მიიზიდავს, აბა, რა. აქ ხომ მესხი, მეტრეველი... ეეჰ, მაგარი დრო იყო.

აჰა, გასცდა ჭიშკარსაც. უკვე შიგნითაა. ნელ-ნელა აკრიფა. არავინ ეძახის და გაბედულებაც ემატება ნაბიჯებს. ბაზაზეა. პირველად ცხოვრებაში. ადრე ასე არ იყო. ადრე ვინ შეგიშვებდა.

ვარჯიში ხუთზე ეწყებათო. „პოლიოტს“ დახედა. ლამის მისი ხნისაა, მაგრამ მუშაობს და რას ერჩი. ბებერი ბასაც კი იყო. ათიოდე წუთი დარჩა ხუთამდე. ახლა ხელებსაც მიიფშვნეტდა სიამოვნებით, მაგრამ... ეშმაკს არ სძინავს. რაც უფრო შეუმჩნეველი იქნება, ისა სჯობს. მიიკუნჭება სადმე კუთხეში და უყურებს. ამბობენ, ნიჭიერები არიან და არ უმართლებთო. გამოჩნდება. პირველად არ უყურებს ფეხბურთელებს და მიხვდება, ვინ რისი მაქნისია. იმ უცხოელმა მწვრთნელმა ხომ მთლად დააგიჟა ხალხი. ნახავს მაგასაც, რა ჩიტია.

ფეხბურთელები გამოეფინნენ და თვალებად იქცა. ცნობს, როგორ არა. მაგრამ დაახლოებით ნახევარს, იმათ, ვინც ტელევიზორში ჩანს ხშირად. არა უშავთ, შეხედულად მართლა არა უშავთ. აჰა, მწვრთნელიც. ჰო-ჰო-ჰო, რამსისხო ფეხები ჰქონია. ღიპი? გასუქდებოდა, აბა, რა მოუვიდოდა. ჩვენები უარესად სუქდებიან. ლუდი რა, არ ასუქებს? ღვინო თუ არა, ლუდი ეყვარება.

მერე იდგა და ვარჯიშს უცქერდა. დიდხანს, დიდხანს და ნამდვილი ქომაგივით.

თითქოს ყველაფერი ძველებურადაა. პასი, ფინტი, გახსნა, რამე არ ეშლებათ. აგერ, ის ტყუპისცალი რას ფინტაობს. ის უთუოდ ჯამარაულია, გეგონება, აიწება ბურთიო. ჰო, არ შემცდარა, ჯამარაო — დაუძახეს. ის პატარა ქინქლაძე იქნება. ერთი-ორი ისეთი „სკრიტი“ უპასა, არ უნდა მარჩიელობა, ქინქლაძეა. ეგ არის, კარში ვერ ახვედრებენ ბურთს ხშირად, მაგრამ ადრეც ასე არ იყო? რაც შენგელიას აუცილებია... დასანანია, ის რომ არ არის, დემეტრაძე. რუსეთი კი გააგიჟა და. დემიგოლიო და რა ვიცი, ათასი რაღაც. არ მოუწვევია. მწვრთნელია და ხასიათი. უყურე, უყურე, უყვირა კიდეც ვიღაცას. რაღაცას უხსნის. იმან თავი კი დაუქნია, მაგრამ ვითომ გაიგო? გაიგებდა, აბა, რა. ახლა ყველამ იცის ინგლისური. ადრე რუსული იყო, ახლა ინგლისური. სხვა დროა და ახლა ასე გახდა საჭირო. ამბობენ, [illegible] მთხვევითი [illegible] ჩანს? არა, შემთხვევითი თავადაცაა, მაგრამ რას აფუჭებს. დგას და უყურებს ჩუმად. თვალში არავის ხვდება. ესენი კი... როგორ იქცევიან. ბაზაა, მართლა ბაზარი ხომ არა.

ფეხბურთელები ერთ ადგილას მოაგროვა მწვრთნელმა. „რასტიაჟკები“. ჰო-ჰო, ის რა ჯანიანი ჩანს?! დაიცა, შემობრუნდეს. კალაძე ყოფილა. ჯანიანი იქნება, აბა, რა. ლობანოვსკის მაგისთანები გაუზრდია?

მორჩნენ. საათი და ორმოცი წუთი ავარჯიშა. ესაა, ხოცავს ფეხბურთელებსო?! ხოცავს არა, ბუს კვერცხები. ორ ამდენს ვარჯიშობდნენ ძველად და მერე კიდევ რჩებოდა მესხი.

მორჩნენ და ახლა რაღაც ფერად წყალს სვამენ. ვიტამინები იქნება. ახლა ყველას ასმევენ თურმე. იფიტებიანო. ერთხელაც ჩაყლაპა ხარბი მზერით ფეხბურთელები. სულ თითოთითოდ მიაცილა შენობამდე და შიგ რომ შეიმალნენ, მერეღა გაემართა ჭიშკრისკენ.

კმაყოფილი იყო. მიდის ეს უცხოელი მწვრთნელიო და მისი ვარჯიშიც ხომ ნახა. ნელა, ბებრულად მიფრატუნებდა. მიფრატუნებდა და ფიქრობდა ფეხბურთზე, ფეხბურთელებზე... მე შენ გეტყვი, ცოტაა საფიქრალი. მაინც რა ანგარიშებით აგებენ კაცო!

ისე, კაცმა რომ თქვას, არაფერი უსაშველო არ უნახავს. ასე ვარჯიშობდნენ და თამაშობდნენ ადრეც. ანდა, რა უნდა შეცვლილიყო — მიიღე ბურთი? ან პასი მიეცი, ან მოატყუე, ან კარში დაარტყი... სხვა რა უნდა ქნა ვითომ?!

მაგრამ წაგებით კი აგებენ და... იქნება ისინი თამაშობენ სხვანაირად და ჩვენები გაიყინნენ? განვითარდა ფეხბურთიო. ეტყობა, მართლა ასეა, თორემ თბილისში ლატვიას როგორ ვერ უნდა მოუგო, კაცო?!

მიფრატუნებდა და ეჭვი ღრღნიდა.

კონსტანტინე გოგიშვილი



ბაზრის ეროვნული ფოტო

დიღმის საწვრთნელი ბაზა: ქართველ ფეხბურთელთა მრავალი თაობის აღმზრდელი

პეტერბურგში კენჭი ყარეს

5 ოქტომბერს სანკტ პეტერბურგში უეფას ახალგაზრდული კონფერენცია გაიმართა. იქვე კენჭისყრაც შედგა, რომელმაც თვრამეტ და თექვსმეტწლამდელთა შორის 2001 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები გამოარკვია.

ჩვენი თვრამეტწლამდელები მეცამეტე ჯგუფში მოხვდნენ ხორვატ და ესპანელ თანატოლებთან ერთად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კენჭისყრამ ქართველებს ძალიან ძნელი მეტოქეები არგუნა. ესპანეთის ნაკრების ძალა ჩვენებურებმა ამ ზაფხულს გამოსცადეს, შვედეთში გამართული ევროპის ჩემპიონატზე „კოპალას ბიჭები“ მათთან 1:4 დამარცხდნენ. მეცამეტე ჯგუფი, ერთ-ერთი უძლიერესია შესარჩევ ჯგუფებს შორის. სულ კი 14 ჯგუფი შეიქმნა, პირველი რვა ოთხგუნდიანია, ხოლო დანარჩენ ექვსი სამგუნდიანი. აღსანიშნავია, რომ ჯგუფის გამარჯვებულს კიდევ ერთი სპეციალური ეტაპი ელის. ჩვენი ჯგუფის გამარჯვებული ნორვეგია, პორტუგალია, ჩრდილოეთ ირლანდიას შორის უძლიერესს დუპირისპირდება. ფინალური ეტაპი კი 2001 წლის მაისში ფინეთში გაიმართება.

საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრებმა რუმინელებთან და ალბანელებთან ერთად მერვე შესარჩევი ჯგუფი შექმნა. ფინალური ეტაპი 2001 წლის მარტში ინგლისში გაიმართება. იმავე წლის თებერვალში გაირკვევა ჩვენი ჯგუფის გამარჯვებულის მეტოქე პლეი ოფში.

თუმცა მანამდე რევაზ გაგუას შეგირდებს 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ელით, რომელსაც თბილისი 20 ოქტომბრიდან უმასპინძლებს. ჩვენი მეტოქეები ბულგარეთის, საბერძნეთისა და ხორვატიის 16-წლამდელებია.

ვანო ოძროპირიძე

არსენალი: სარდალი ავად გახდა მწვრთნელობა დარჩა ფული ისევ არ ჩანს

თბილისის „არსენალში“ კვლავაც გაურკვევლობაა. რამდენიმე დღეა, გუნდის ფეხბურთელები ხელმძღვანელობის დანაპირების ასრულებას ელიან, მაგრამ ამაოდ, ჯერჯერობით ისევ არავინ გამოჩენილა.

გუშინ შევიტყვეთ, რომ როგორც იქნა, მთავარი მწვრთნელი დავით ჩახავა სტადიონზე მოვარჯიშე ფეხბურთელებთან მისულა და მხოლოდ ეს უთქვამს — თავს შეუძლოდ ვგრძნობ, საავადმყოფოში უნდა დავწვე, ამიტომ მომავალ მატჩში 17 ოქტომბერს თბილისის „ლოკომოტივთან“ გუნდის უფროსი თემურ ცერცვაძე გიხელმძღვანელებთო. ფეხბურთელებსაც რა დარჩენიათ, დილაობით ავლაბარში „ისანზე“ იარიბებიან, ისიც არასრული შემადგენლობით და ინდივიდუალურად ვარჯიშობენ. ზოგიერთი მათგანი თურმე უფულობის გამო სტადიონზეც ვერ ახერხებს მისვლას და იძულებულია ფორმის შენარჩუნების მიზნით სადმე სახლის მახლობლად მოემზადოს.

ორიოდე დღის წინ გაცნობეთ, თითქოს „არსენალის“ უფროსობამ მწვრთნელები — მამუკა გეგეჭკორი და მერაბ თევზაძე კლუბიდან გაათავისუფლა, გუნდი ბათუმში სათამაშოდ რატომ წაიყვანეთო. ამასთან დაკავშირებით გუშინ მამუკა გეგეჭკორს შევეხმიანეთ.

„თავიდან ასეთი ინფორმაცია მართლაც მოგვივიდა, მაგრამ შემდეგ მათ თავიანთი გადაწყვეტილება გადათქვეს ამას როგორ ვიზამდით, ასეთი რამისთვის მწვრთნელებს როგორ გავათავისუფლებდითო — გვითხრა ბატონმა მამუკამ და თან დაამატა — ვერაფერი გავიგეთ, ამბობენ, თითქოს ელისტის „ურალანმა“ ირაკლი გემეზაშვილის სატრანსფერო თანხა გადაიხადა, თუმცა ბანკში გვპასუხობენ, ფული ჯერ არ მოსულაო. მიუხედავად დიდი მცდელობისა, სიმართლე კვლავაც ვერ დაგვიდგენია“.

მოკლედ ასეა, არმიული კლუბის შეფობას ფეხბურთელთა მდგომარეობა სულაც არ ანაღვლებს. ბიჭებთან მისვლას ვინღა ჩივის, პასუხის შეთვლის ღირსადაც არ თვლიან, რაც გენერლებისგან ცოტა გასაკვირიც კია, თუმცა რას იზამ, კაცია და გუნებაო, ხომ გაგიგიათ...

ვანო ოძროპირიძე

მალტელი და ჰოლონელი

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები, მოგეხსენებათ, გუშინ ნაშუადღევს ალბანეთს ეწვივნენ, სადაც მიმდინარე შესარჩევი ეტაპის ბოლო მატჩები ელით. ორივე ნაკრებს ფინალურ სტადიაზე მოხვედრის შანსი გადაწყვეტილი აქვს, თუმცა ამ შეხვედრებს გარკვეული მნიშვნელობა მაინც ენიჭება. კერძოდ, ეროვნული გუნდი თუნდაც ქულის მოპოვების შემთხვევაში ჯგუფში ბოლოსწინა, მეხუთე ადგილს დაიკავებს, თუ არა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს უკანასკნელ საფეხურზე ჩაამთავრებს. ახალგაზრდები კი მესამე ადგილზე გასვლის კარგი შესაძლებლობა აქვთ, ოღონდ საამისოდ ტირანაში სამი ქულის აღებაა საჭირო.

მურთაზ ხურცილავას შეგირდები მიზნის მიღწევას დღეს შეეცდებიან, მათ ჰოლონელი არბიტრი ტომაშ მიკულსკი უმსაჯებს. ეროვნული ნაკრები კი ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამის ხელმძღვანელობით ალბათ ბოლო მატჩს ხვალ გამართავს. შეხვედრა ტირანის „ქემალ სტაფას“ სტადიონზე, თბილისის დროით საღამოს ათ საათზე დაიწყება. მატჩს მალტელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. მთავარი ალფრედ მიკალევი იქნება. სხვათა შორის, მიკალევისთვის საქართველოს ნაკრები უცხო არ არის. იგი ჩვენი ეროვნული გუნდის რამდენიმე შეხვედრას მომსახურებია. ბოლოს ეს 1998 წლის 6 თებერვალს მოხდა. მაშინ მალტის ოთხთა ტურნირის გახსნით მატჩში საქართველომ ლატვიელებს 2:1 მოუგო. ღმერთმა ქნას, მიკალევის მსაჯობა ჩვენებურთათვის ახლაც წარმატებით დასრულდეს.

ვანო ოძროპირიძე

გურამ დოლიძის ფოტო

დავით ჩახავამ შეგირდებს განუცხადა: „ლოკომოტივთან“ თემურ ცერცვაძე გითავკაცებთო

მსაჯო, გასსოვდეს, შენ ოჯახში გელიან!

საბჭოთა საქართველოში ამგვარად მძღოლებს მიმართავდნენ. ცენტრალური საგზაო მაგისტრალები ტრაფარეტებით იყო აჭრელებული და ყოველ ფეხის ნაბიჯზე ახსენებდა საჭესთან მჯდომს თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებას, მას, ვისაც მანქანასთან ერთად საკუთარი და სხვების სიცოცხლე ებარა, სიფხიზლისკენ და მაქსიმალური ყურადღებისკენ მოუწოდებდა...

დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მომსახურე მსაჯის პროფესია მძღოლისას მაგონებს. საკმარისია, სიფხიზლეში მოიკოჭლოს, ყურადღება ოდნავ გაფანტოს და მისი და კოლეგების ჯანმრთელობას საფრთხე ექმნება. მერე როგორია, ოჯახის წევრები რომ გკითხავენ შინ დაბრუნებულს, რატომ გცემესო?

ასეა. ჩვენში სახლიდან მანქანით გამგზავრებულ მძღოლსა თუ სასტვენით გასულ მსაჯს ერთნაირად უბარებენ — შინ მშვიდობით დაბრუნდიო! არც გზები გვივარგა და არც ეროვნული ჩემპიონატის დონე, არც მძღოლების სათანადოდ მომზადება და არც მსაჯთა პროფესიონალიზმი. ორივე საქმის გამოსწორება ერთ დემოკრატიულ ინსტიტუტს, არჩევნებს უკავშირდება. საარჩევნო პერიოდში ხალხის გულის მოსაგებად გზების შეკეთებას იწყებენ ხოლმე, თუმცა როცა სკამზე მოკალათდებიან, მერე თვითმფრინავით მოგზაურობა ურჩევნიათ...

ფეხბურთის ფედერაციაში არჩევნების შედეგად ახალი ხალხი მოვიდა და სამსაჯო კომიტეტშიც სასიკეთო ძვრები დაიწყო. მისმა თავმჯდომარემ, ანატოლი მილჩენკომ, პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, წამოწყებული რეფორმები გააგრძელა და ძალიან ცდილობს, რომ ამ პროცესს შეუქცევადი ხასიათი ჰქონდეს. კმაყოფილია თუ არა იგი ჩატარებული სამუშაოებით? სწორედ ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ ვესტუმრე გუშინ ანატოლი მილჩენკოს.

ანატოლი მილჩენკო

— როგორ შეფასებას მისცემდით მსაჯთა მოქმედებას XI ეროვნულის პირველ წრეში?

— რომ ვთქვა, პირველი წრე ცუდად ჩავატარეთ-მეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ... ყველაზე დასანანი და ხარვეზიანი მატჩი, რომელმაც დიდად გვაზარალა, „ეროვნულზე“ გამართული „დინამო“ — „თბილისის“ შეხვედრა იყო. სამწუხაროდ, შეცდომა დაუშვა არა ახალბედა და გამოუცდელმა მსაჯმა, არამედ ოთარ გუნთაძემ, რომელმაც საერთაშორისო მატჩების მსაჯობაში მაღალი შეფასებები დაიმსახურა... მიმაჩნია, რომ იგი ფსიქოლოგიურად არ იყო სათანადოდ მზად. როცა მატჩის შემდგომ ველაპარაკე, თავადაც დამიდასტურა ეს ფაქტი — ოჯახში სერიოზული პრობლემები ჰქონია, დედა ჰყავდა ავად. არ გეგონოთ, მის გამართლებას ვცდილობდე. ჩვენ უნდა მოვძებნოთ ჩვენში ისეთი ძალა, რომ ან არ უნდა გამოვიდეთ თამაშზე, ან ყველანაირი პირადული პრობლემა უნდა დავძლიოთ. ოთარმაც აღიარა ეს და თავი დამნაშავედ ცნო. უნდა გითხრათ, რომ თვითონაც ძალიან განიცადა. ახლა ვარჯიშობს და ყველაფრის ნულიდან დაწყებას აპირებს, რეგიონული ლიგიდან. მსაჯობისთვის დასაშვებ ასაკამდე არც ისე ბევრი წლები დარჩა და მოწადინებულია, მომავალში შეძლოს და ბოლომდე ჩამოირეცხოს ეს სირცხვილის ლაქა. გაუძნელდება მუშაობა, მაგრამ მჯერა, ოთარი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება.

— პირველ წრეში მსაჯობაში ხარვეზები ალბათ მარტო ოთარ გუნთაძის შეცდომით არ შემოიფარგლება...

— მეორე მატჩი, რომელშიც მსაჯმა გამაწბილა, „ლოკომოტივი“ — „ბათუმის“ შეხვედრა იყო. სამწუხაროდ, იქაც გამოცდილი მსაჯი, თამაზ ლაცაბიძე შეცდა. როცა ყურადღებით ვნახეთ მურთაზ ხურცილავას მიერ მოტანილი ვიდეოკასეტა, აშკარად გამოჩნდა, რომ ბათუმელმა ფეხბურთელმა საკუთარ საჯარიმოში განზრახ ითამაშა ხელით. არადა, ეს ფაქტი ვერც კომისარმა დაფიქსირა და ვერც ჩვენ, სტადიონზე მყოფებმა.

ეს ორი დიდი შეცდომა, რომელიც გამოცდილმა მსაჯებმა დაუშვეს, გვავალებს, უფრო მაგრად მივხედოთ საქმეს და ახალბედა მსაჯებისთვისაც ჭკუის სასწავლებელი იყოს. ყველამ უნდა შეიგნოს, რომ შეხვედრა 90 წუთს გრძელდება და არც ერთი წამით არ შეიძლება ყურადღების ოდნავ მოდუნება.

— მსაჯების მიმართ კიდევ სხვა მატჩებშიც გამოითქვა პრეტენზიები. „ტორპედო“ — „დილა“ და „ლოკომოტივი“ — „არსენალის“ შეხვედრებზე მასპინძლებმა ერთნაირი გულისწყრომა გამოთქვეს. 2:0-ზე მათ სასარგებლოდ არ დაინიშნა ასპროცენტიანი პენალტები. თითქოს ერთ-ერთ მსაჯს უთქვამს 2:0-ზე რაღა პენალტი უნდოდათო. ისე, ორივე თამაში 2:2 მორჩა...

— ჩვენ ველაპარაკეთ ქუთაისური მატჩის მსაჯს, მალაღურაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ მსგავსი რამ არ უთქვამს, არც დარღვევა იყო, თორემ თერთმეტმეტრიანს დავნიშნავდიო. ისე, ჩვენთან „ტორპედოს“ ხელმძღვანელობას პრეტენზიით არ მოუმართავს, არც ფირი მოუტანიათ სანახავად.

„ლოკომოტივი“ — „არსენალზე“ მწვრთნელმა ხურცილავამ მოგვმართა მსაჯ შალამბერიძესთან დაკავშირებით. როცა ეკრანზე ვნახეთ ის მომენტი, ძალიან რთული სიტუაცია იყო, თუმცა მსაჯი იქვე იმყოფებოდა და ყოველივეს ხედავდა. სხვათა შორის, ამ საქმის გარჩევაში ძალიან დაგვეხმარა „სარბიელი“, კონკრეტულად კი მისი ფოტორეპორტიორი. თქვენს გაზეთში სწორედ იმ სადავო მომენტის ამსახველი კადრი იყო დაბეჭდილი, სადაც კარგად ჩანდა, რომ „არსენალის“ მეკარე ჩლაიძე ჯერ ბურთს შეეხო და მერე ლოკომოტიველ გოგიჩაიშვილს. საერთოდ, როცა სადავო საკითხზე აზრი თანაბრად იყოფა, უეფას რეგლამენტი უპირატესობას მსაჯის გადაწყვეტილებას ანიჭებს. ადამიანის მხედველობა უფრო სწრაფია, ვიდრე ვიდეოკამერის, ყველაფერი წამის მეასედებში ხდება.

— მსაჯების ზუსტი ანაზღაურება გვაინტერესებს.

— მოგახსენებთ. პირველ ლიგაში შეხვედრის მთავარი მსაჯი იღებს — 170 ლარს (ერთ მატჩში), თანამსაჯები 130-130 ლარს. მეოთხე მსაჯი — 90 ლარს, სფფ-ს დელეგატი — 130 ლარს.

რეგიონულ ლიგაში — მთავარი მსაჯი — 130 ლარს, თანამსაჯები — 90-90-ს, დელეგატი — 90 ლარს. იქ მეოთხე მსაჯი არ არის.

— ხელფასი რამდენი აქვთ?

— ხელფასი არა აქვთ, მხოლოდ გამომუშავებაზე არიან. მგზავრობისა და კვების ფულსაც თავის ჯიბიდან იღებენ.

— გამოდის, რომ შორს წასვლა არაეკონომიურია მათთვის, მგზავრობა ხომ უფრო ძვირი დაუჯდებათ. საერთოდ როგორ ანაწილებთ მსაჯებს კალენდარულ შეხვედრებზე.

— ამას კომისია წყვეტს. შემდეგ მოაქვთ ჩემთან და თუ საჭიროა, შესწორებები შემაქვს. მერე წარვუდგენ ამ დოკუმენტს გენერალურ მდივანს და ის დაამტკიცებს.

— კომპიუტერულ პროგრამას არ იყენებთ?

— კომპიუტერი კომიტეტს არა აქვს, თუმცა ამ სისტემამ რუსეთში არ გაამართლა, რადგან ყველა მსაჯი ერთნაირად ძლიერი არაა. იყო შემთხვევები, როცა კომპიუტერმა ახალბედა მსაჯს მეტად პრინციპული შეხვედრის „ზენიტი“ — ცსკა-ს განსჯა დაავალა, შემდეგ კი „ტორპედო“ — „როტორის“ მატჩისა. პირველში მიიღო ცუდი შეფასება და მოინდომეს ამის შეცვლა. მთელი პროგრამა აირია.

ჩვენ ყოველი ტურის მერე ვაჯამებთ ამა თუ იმ მსაჯთა ბრიგადის მოქმედებას, შეფასებებს და აქედან გამოგვაქვს დასკვნები. ვცდილობთ, ერთსა და იგივე პირობებს არ განვსაჯეთ ზედიზედ რომელიმე გუნდის შეხვედრა, თუმცა გამონაკლისებსაც ვუშვებთ. მე-6 ტურში „ტორპედო“ — „კოლხეთის“ მატჩზე სერგო კვარაცხელიამ იმსაჯა. ვინაიდან არც ერთ კლუბს პრეტენზია არ გამოუთქვამს და კვარაცხელიამაც მაღალი შეფასება დაიმსახურა, გადავწყვიტეთ, იგი გამოტოვებულ თსუ — „ტორპედოს“ შეხვედრაზეც მივავლინოთ.

— თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ რომელიმე გუნდმა აცილება მისცა თქვენს მიერ დანიშნული მსაჯის კანდიდატურას?

— დებულებაში გვიწერია, რომ კლუბის პრეტენზია ამ საკითხზე არ განვიხილოთ. მხოლოდ ერთხელ წავედით დათმობაზე. „ლოკომოტივმა“ იუარა კვარაცხელიას კანდიდატურა. რიგზელები „ბათუმს“ მასპინძლობდნენ და განაცხადეს, კვარაცხელია „ბათუმის“ მსაჯია, და არ გვინდაო, თავი მოიკლეს. მერე კი, როცა ის ინციდენტი მოხდა, ბევრი ნანობდა.

იცით, ადრე იყო, ეს „დინამოს“ მსაჯია, ეს „ტორპედოს“, ეს „კოლხეთის“, ახლა აღარ არის ასეთი ლაპარაკი. ჟორდანიამ და ჩოლარიამ ამის გამო თათბირი ჩაატარეს. მეც ყოველ შეკრებაზე ვეუბნები მსაჯებს — მეგობრებო, როცა ფედერაცია ამდენ ყურადღებას გვითმობს, როცა გასამრჯელოს კლუბები აღარ გიხდიან, მიდიხართ ბულალტერიაში და ყველაფერთან ერთად პრემიასაც იღებთ, კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოთ-მეთქი.

— რა პრემიაზეა ლაპარაკი?

— ყოველ ტურში ის ბრიგადა, რომელიც ყველაზე მეტ შეფასებას დაიმსახურებს, წასახალისებლად დამატებით თანხას იღებს. მთავარი მსაჯი — 35 ლარს, თანამსაჯები — 25-25-ს, მეოთხე მსაჯი — 20 ლარს.

— დროულად თუ იღებენ მაინც?

— სამწუხაროდ, ოდნავ შეფერხებებს აქვს ადგილი. როგორც იცით, ფედერაციის ანგარიში ყადაღადადებულია. ამდენი ნაკრების გამგზავრება, ლეგიონერების ჩამოყვანა, სტუმრების მიღება, ფორმების შეძენა — ეს ყველაფერი თანხებს ითხოვს. თუმცა ფედერაციის ხელმძღვანელობა ცდილობს, მსაჯებს კუთვნილი თანხის მიღება ერთ კვირაზე მეტად არ დაუგვიანდეს.

შექმნილია აგრეთვე დახმარების ფონდი. ჩვენთან მოდიან ვეტერანი ფეხბურთელები და მსაჯები, რომელთაც სურთ კომისრებად იმუშაონ, რათა ერთი-ორი კაპიკი აიღონ და ოჯახში მიიტანონ. ბუნებრივია, ყველას ვერ დავაკმაყოფილებთ, ზოგს მომზადების დონე არა აქვს სათანადო, ზოგს ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს. ასეთ შემთხვევაში ფონდი ფინანსურად ეხმარება ამ ადამიანებს. მისი დებულება ითვალისწინებს აგრეთვე, რომ ავადმყოფმა თუ შეხვედრისას დაზიანებულმა მსაჯმა უფასოდ იმკურნალოს.

— დღეისთვის რამდენი მსაჯი გვყავს ფიფას კატეგორიის?

— კვარაცხელია, მალაღურაძე და გუნთაძე. მათ საკმაოდ კარგი ნიშნები ჩამოაქვთ საერთაშორისო შეხვედრებიდან. კვარაცხელიამ ერთხელ 8 ბალი დაიმსახურა. გუნთაძე იყო ისრაელში 16-წლამდელთა ტურნირზე და მანაც გვასახელა. ახლა ლიხტენშტეინში იწვევენ მსგავს ტურნირზე და მალე გაეგზავრება.

— კანდიდატები თუ გვყავს?

— როცა ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯების შეფასებებს ვაჯამებთ, საუკეთესო სამეულს წარვუდგენთ ფიფას. ეს ხდება შინაურ გათამაშებაში ორწლიანი სისტემატური მოღვაწეობის შედეგების გათვალისწინებით. რადგან ოთარ გუნთაძემ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, მან მესამედან მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. მისი ადგილი კი ფანიაშვილს ერგო. პირველმეორე საფეხურზე კვარაცხელია და მალაღურაძეა. ფიფა ითხოვს კარგ ფიზიკურ მომზადებასა და ინგლისური ენის ცოდნას. ფანიაშვილი ორივე მოთხოვნას აკმაყოფილებს. მართალია, ცოტა გამოცდილება აკლია, მაგრამ ოდესღაც ახალგაზრდებიც ხომ უნდა გავუშვათ საერთაშორისო არენაზე.

— კვარაცხელია და მალაღურაძე თუ ფლობენ ინგლისურს?

— კვარაცხელიას ცოტა უჭირს. მალაღურაძე კურსებზე დადის. ეგ კი არა, მეც დავდივარ. ახლა ბელგიაში მივდივარ. უეფა ატარებს ყველა კომიტეტის თავმჯდომარეთა თათბირს. თუ რაიმე სიახლე იქნება, ჩამოვალ და მოგახსენებთ.

— სიახლეები თითქმის ყოველთვისაა. გუნდები თუ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი?

— იცით, მე ძალიან მესიამოვნა, როცა დავით ყიფიანმა ქუთაისში მიმიწვია და ფეხბურთელებს შემახვედრა. პატარა სემინარი ჩავატარე, ეს მოხდა სეზონის წინ. ბევრმა მოთამაშემ არ იცოდა სიახლეების შესახებ. ვფიქრობ, ამან დადებითი შედეგი გამოიღო. დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ ტორპედოელებმა ყველაზე ცოტა გაფრთხილება მიიღეს სხვებთან შედარებით. იმას არ ვამბობ, რომ ეს მხოლოდ ჩემი დამსახურებაა. ეტყობა, კლუბში ჯარიმებია შემოღებული, მაგრამ რაღაც წვლილი ხომ შევიტანე. ყველა გუნდს ვთავაზობ მსგავს შეხვედრას, არავის დავზარდები.

ეროვნულ ჩემპიონატში საგრძნობლად იმატა დაძაბულობამ. აღარ არის ის დრო, როცა ლიდერი ათი და მეტი ქულის სხვაობით გაიჭრებოდა წინ. მეტია ინტრიგა. ახალმა სისტემამ სასიკეთოდ შეცვალა სიტუაცია და მსაჯებს მეტი მუშაობა მართებთ. მეორე წრის დაწყებამდე კვლავ განაგრძობენ ისინი ფიზიკურ მომზადებას, იქნება სემინარები. ჩვენ — 16 ოქტომბერს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით...

— ადრე ხშირად გაიგონებდით, მსაჯებს ჯერ კიდევ სეზონის წინ ქრთამავენო...

— ჭორების დონეზე მეც ბევრი გავიგე. ამას წინათ მერაბ ჟორდანიასთან მოვიდნენ ერთ-ერთი გუნდის წარმომადგენლები და უთხრეს, რომ ამ მსაჯებმა ადრე ფული აიღეს და ახლა ვალებს ისტუმრებენო. ჩვენ ეუბნებოდნენ, რომ თუ ეს დამტკიცდებოდა — ვალდებულებას ვეტყოდით, რადგან არ გვინდოდა, ცილისმწამებასთან გვქონოდა საქმე... ლაპარაკი ლაპარაკად დარჩა.

— ხომ ვერ დაგვისახელებთ იმ კლუბისა და მსაჯების ვინაობას?

— ჯერ ერთი, კონფიდენციალური საუბარი იყო, მეორეც, ეს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა იქნება და ამიტომ თავს შევიკავებ.

— როგორც წესი, მსაჯებს მეტ-ნაკლებად ტიტულიანი კლუბების მიმართ სიმპატიები ახასიათებთ...

— სწორედ ამ საკითხს დაუთმო სფფ-ს პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება ჩვენთან შეხვედრისას. ყველა გუნდი ერთნაირია და არავის მხარეზე გადახრა არ იქნება. მიხარია, რომ ახალგაზრდა მსაჯებმაც დაძლიეს ეს და აუდელვებლად მსაჯობენ ნებისმიერი ტიტულიანი თუ საშუალო კლუბის შეხვედრებს.

— თქვენ ადრე საკმაოდ ცნობილი მსაჯი იყავით. დამეთანხმებით, ძალიან რთული პროფესიაა. მსაჯის კეთილსინდისიერებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული. საკუთარ სინდისთან ერთად, ალბათ, ყოველთვის გაწვათ დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა ოჯახის წევრების წინაშე.

— მტკივნეულ თემას შეეხეთ. ვიდრე ძველ დროს გავიხსენებდე, მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან გამიჭირდა თასის მეოთხედფინალის „ბათუმი“ — „ლოკომოტივის“ და ნახევარფინალის „სამგურალი“ — „ლოკომოტივის“ შეხვედრების კომისრობა. დასამშვიდებელი წამლების დალევამაც მომიწია, რაც აქამდე არასდროს გამიკეთებია. როცა მსაჯი ვიყავი, მაშინ მარტო ჩემს თავზე ვნერვიულობდი. თუ შეცდომა მომივიდოდა, მე დავისჯებოდი და იმაზე ვერ ვფიქრობდი, რომ სხვაც დაზარალდებოდა. ახლა ვიგრძენი — მსაჯს შეუძლია, ორივე გუნდი დასაჯოს უამრავ მაყურებელთან ერთად. როცა მე მსაჯს მთელი სულითა და გულით ვამზადებ და ვნახავ, რომ მან ვერ გაამართლა, საშინლად განვიცდი, ღამღამობით არ მძინავს. სულ იმაზე ვფიქრობ ვინ დავნიშნო, რომ არ შევრცხვე. მინდა, ვთქვა რომ ბიჭებმა ჯერჯერობით არ მიღალატეს. ის ორი შეცდომა, რომელზეც გელაპარაკეთ, მჯერა განზრახ არ მომხდარა.

რაც შეეხება ოჯახის ფაქტორს. როცა ჩემი შვილიშვილი თეა დონეცკიდან ჩამოდის ჩემთან და დაღონებულს დამინახავს, მეუბნება — ბაბუა, რა იყო, დღეს ცუდად იმსაჯეს? თუ პასუხს არ გავცემ, მიდის ჩემს მეუღლესთან და იმას ეუბნება, ეტყობა, ცუდად იმსაჯესო...

— ადრე?

— ფეხბურთის წესები ოჯახში ყველამ იცოდა. როცა ტელევიზორში უყურებდნენ ჩემს მსაჯობას, ცოლი და სიდედრი ნიშანს მიწერდნენ.

— სიდედრი უფრო დაბალ შეფასებას ხომ არ გაძლევდათ?

— სხვათა შორის, არა, პირიქით. ჩემი ცოლი გულთმისანია. ერთხელ დამნიშნეს 1971 წლის სსრკ-ს თასის ფინალზე — „სპარტაკი“ — ასკ (როსტოვი). თამაშამდე წავედით ზღვაზე დასასვენებლად. ჩემი მეუღლე მეუბნება, შეხვედრა ფრედ მორჩება და მეორე დღესაც მოგიწევს მსაჯობაო. მაშინ არ იყო პენალტების სერია. მართლაც ასე არ მოხდა? კინაღამ ჭკუიდან შევიშალე. ხანდახან მეუბნებოდა, აი, ეს გუნდი მოიგებსო და...

— ახლაც ხომ არ გულთმისნობს?

— ახლა ისეთ გაჭირვებაში ვართ-ჩემმა მეუღლემ მშობლებთან ერთად ძალიან ბევრი ახლობელი დაკარგა... ქალიშვილი და შვილიშვილი დონეცკში გვყავს, ვაჟი — მოსკოვში. თბილისში უსახლკაროდ ვართ. ცოლის დისშვილთან ვცხოვრობთ. თუმცა მომავლის მჯერა. მწამს, რომ აფხაზეთს დავიბრუნებთ. მოხარული ვარ, ქართული ფეხბურთის აღორძინებისთვის რომ ვიღწვი და რაღაც პატარა წვლილი შემაქვს მის საკეთილდღეოდ.

ხვიჩა სანიკიძე

ქინქლაძეს შეიძლება კვირაში 20000 გირვანქაზე ნაკლები გადაუხადონ

გუშინ „შეფილდ იუნაიტედის“ პრეზიდენტმა მაიკ მაკდონალდსმა განაცხადა, რომ მოუთმენლად ელის 10 ოქტომბერს, როდესაც გიორგი ქინქლაძე ინგლისში დაბრუნდება. 9 ოქტომბერს ალბანეთი — საქართველოს მატჩის შემდეგ ქართველი ტირანადან გადაფრინდება ლონდონში.

„ქინქლაძეს „შეფილდ იუნაიტედში“ მისი ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ გავესაუბრები“ — თქვა მაკდონალდსმა. როგორც ქინქლაძის აგენტი ამბობს, ქართველი კვირაში 20000 გირვანქის დანიშვნას ითხოვს, ამ საკითხის მოგვარებას კი კომპანია „ტექსას გრუპ ჰოლდინგსი“ საეჭვოდ მიიჩნევს“ — აღნიშნა მაკლდონალდსმა.

როგორც გაცნობეთ, „შეფილდ იუნაიტედი“ ამსტერდამის „აიაქსიდან“ ქინქლაძის გადმოყვანას მისი პრეზიდენტის — მაიკ მაკდონალდსის მფლობელობაში მყოფი კომპანია „ტექსას გრუპ ჰოლდინგსის“ მეშვეობით აპირებს, რომელიც ქინქლაძეს შემდეგ „შეფილდს“ მიაქირავებს. თუმცა, როგორც კომპანიის ფინანსისტმა განაცხადა, „ტექსას გრუპს“ ძალიან არარეალურად ეჩვენება ქინქლაძისთვის კვირაში 20000-ის გადახდა. ისე კი, იგი არც მოლაპარაკებაზე ამბობს უარს.

ამასობაში „შეფილდ იუნაიტედი“, რომელმაც ინგლისის პირველი დივიზიონის მე-10 ტურის მატჩში „ჰადერსფილდთან“ 1:4 წააგო, დივიზიონში მე-15 ადგილზეა 11 ქულით. კლუბის თავკაცმა ადრიან ჰითმა კი კიდევ სამი ტრანსფერის საქმე მოაგვარა. სულ მალე „შეფილდს“ დატოვებს პორტუგალიის მოქალაქე, ნატურალიზებული ბრაზილიელი მარსელო, იგი 800000 გირვანქად პრემიერლიგის „უოტფორდს“ მიჰყავს. მარსელის „ოლიმპიკიდან“ 580000 გირვანქად განელი მცველი არტურ მოზესი გადმოდის, ხოლო რაც შეეხება ნიგერიის ნაკრების ნახევარმცველ კინგსლი ობიეკუს, მის დატოვებაზე ჰითს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

გუშინ კი „შეფილდ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ახალ ტრანსფერზე დაიწყო მუშაობა. კლუბი „ლიდს იუნაიტედიდან“ პორტუგალიელი ნახევარმცველის — ბრუნო რიბეიროს გადაბირებას აპირებს.

სიმონ მენაბდე

რამაზ შენგელია (ბურთით) თბილისის „დინამოსა“ და სსრკ-ს ნაკრების ვეტერანთა მატჩისას

ვეტერანები იხსენებენ

ორიოდე დღის წინ დონეცკს საბჭოთა კავშირის ნაკრები ეწვია. ვეტერანებმა ძველი დრო გაიხსენეს და დონეცკის ცენტრალურ სტადიონზე „შახტიორს“ დაუპირისპირდნენ. ალბათ, იცით, კარგა ხანია, საბჭოთა ფეხბურთის ძველი თაობის წარმომადგენლები დროდადრო იკრიბებიან და ამხანაგურ მატჩებს მართავენ. წარსულში ცნობილი ფეხბურთელები, გემახსოვრებათ, ცოტა ხნის წინ, მანუჩარ მაჩაიძის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისში იყვნენ ჩამოსულნი და „ეროვნულ“ სტადიონზე „დინამოს“ ვეტერანებსაც ეთამაშნენ.

საბჭოთა კავშირის ნაკრების უცველი წევრია ალექსანდრე ჩივაძეც, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მისი კაპიტანი იყო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა დონეცკშიც ითამაშა. „შახტიორი“ — საბჭოთა კავშირის ნაკრების შეხვედრას 20 ათასი ქომაგი დაესწრო და ვეტერანების ხილვით ფრიად ნასიამოვნებიც დარჩა. თამაში, როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება-ხოლმე, ფრედ 2:2 დასრულდა. გოლები ყოფილ საბჭოელთაგან ბლოხინმა (11 წთ) და ლიტოვჩენკომ (52 წთ) გაიტანეს, „შახტიორიდან“ კი გრანოვმა (17 წთ) გამოიჩინა თავი, ერთი ბურთიც კუზნეცოვმა (52 წთ) საკუთარ კარში შეაგდო. შეხვედრა ორი 35-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა, მთავარი მსაჯი კი მოსკოველი სერგეი ჰუსეინოვი გახლდათ, რომელიც ისრაელში მომხდარი საქვეყნოდ გახმაურებული სკანდალის ერთ-ერთი მთავარი გმირია.

საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის მწვრთნელიც ვალერი ლობანოვსკი იყო, „შახტიორის“ წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დასაევი (ჩანოვი), ხიდიატულინი, ჩივაძე (იარემჩუკი), კუზნეცოვი, დემიანენკო (ოგანესიანი), ბურიაკი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, ჩერენკოვი (ზავაროვი, მუნტიანი), ბლოხინი (ბელანოვი), გავრილოვი.

ვეტერანთა ნაკრები 22 ოქტომბერს კიდევ ერთ თამაშს გეგმავს. ლევ იაშინის გასახსენებელ მატჩში ჩივაძის გარდა კიდევ სამი ქართველი — მურთაზ ხურცილავა, თენგიზ სულაქველიძე და რამაზ შენგელია ითამაშებს.

ვანო ოძროკირიძე

შერიფს შერიფი აღარა ჰყავს

მოლდოვას მე-10 ტურის მატჩში ტირასპოლის „შერიფი“, რომლის ღირსებასაც ოთხი ქართველი იცავს, „მოლდოვა-გაზის“ წინააღმდეგ მეორე მწვრთნელმა, ვლადიმერ ზემლიანოვმა გაიყვანა. რამდენიმე წარუმატებელი შეხვედრის შემდეგ კლუბის დირექტორმა თანამდებობიდან გაათავისუფლა ბელარუსი სერგეი ბოროვსკი.

თავად ბოროვსკის თქმით, მას „შერიფის“ პრეზიდენტთან მას შემდეგ გაუფუჭდა ურთიერთობა, რაც კლუბმა უეფას თასზე ჩეხეთის „სიგმას“ ბარიერი ვერ დაძლია. „პრეზიდენტი უხეშად ერეოდა ჩემს ფუნქციებში, ზოგჯერ შემადგენლობის დაყენებასაც კი ახერხებდა“ — აღნიშნა ბოროვსკიმ. აღსანიშნავია, რომ „შერიფიდან“ დათხოვნილი ბოროვსკი ბელარუსის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშნა.

თავად „შერიფი“ კი კვლავ ლიდერობს ჩემპიონატს. მას 10 მატჩიდან 23 ქულა აქვს და 2 ქულით უსწრებს „ნისტრუ იუნისპორტს“. ამ უკანასკნელმა ბოლო ტურში კიშინოვის „ზიმბრუს“ 2:1 მოუგო. „ზიმბრუ“ 6 თამაშიდან 16 ქულით მესამე ადგილზეა და კვლავ პოტენციურ ლიდერად რჩება.

უცნობია, განხეთქილების შემდეგ რა ბედი ეწევათ „შერიფის“ ქართველ ფეხბურთელებს — გიორგი რევაზიშვილს, ვაჟა თარხნიშვილს, მიხეილ ხუციშვილს და დავით მუჯირს. ისიც უნდა ითქვას, რომ კლუბმა ბრაზილიელი და რუმინელი ფეხბურთელები იყიდა, რამაც კონკურენცია კიდევ უფრო გაამწვავა. მან ჩემპიონატის დასაწყისში სამი გოლის გამტანი მუჯირიც დაჩრდილა, ჩვენებურს მას მერე ერთიც აღარ გაუტანია.

სიმონ მენაბდე

დიდი საქმის კარგი დასაწყისი

ვანო ქეთლაძის ფოტო

ვინც ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს თვალყურს ადევნებს, უეჭველად მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი-ფეხბურთის ტურნირიც კარგად ეხსომება, რომელიც წლეულს იანვარში გაიმართა და „ლოკომოტივის“ გამარჯვებით დამთავრდა.

მოგეხსენებათ, ნებისმიერი ტურნირის ორგანიზაცია გვარიანი თანხა ჯდება და ამ მხრივ გამონაკლისი არც მესხის სახელობის ტურნირი იქნება. ქართული ბიუჯეტის იმედზე მყოფთ, კარზე აწვიმთ და ათოვთ, ამიტომაც უპრიანი იქნება, ტურნირის ჩატარების მოსურნეებმა აქედანვე დაიჭირონ თადარიგი და მისახედს დროზე მიხედონ.

მათ შორის პირველი მიხეილ მესხის ვაჟი — მიხეილ მესხი-უმცროსია. მას ტურნირის ჩატარებასთან ერთად სახელოვანი მამის სახელობის მუზეუმის დაარსებაც ამოუჭრია გულში და გვერდში დამდგომებს ეძებს.

ასეთებიც მოიძებნენ (და კიდევ მოიძებნებიან). მიხეილ მესხი-უმცროსის ინიციატივას პირველებმა საქართველოს ნაკრების წევრებმა დაუჭირეს მხარი და განა მარტო მორალური, მატერიალური მხარდაჭერაც აღუთქვეს უმცროს მიშა მესხს.

ვერაფერს იტყვი, კარგი დასაწყისია დიდი საქმისა.

ლუკა თალაკვაძე

მაინც წავალო!



ბ.ბერიძის ფოტო

სერგო გაბელაია

ჯერ კიდევ თვენახევრის წინ დაიწერა „სარბიელში“, რომ „მერანის“ აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი სერგო გაბელაია გერმანიაში, კერძოდ, კიოლნის მწვრთნელთა სკოლაში აპირებდა სპეციალური კურსების გავლას. ამ საქმეში ტრანსპორტელთა მწვრთნელს „მერანის“ პრეზიდენტი ნუგზარ ნავაძე და სფფ-ს თავკაცი მერაბ ჟორდანია უწყობდნენ ხელს.

ისე მოხდა, რომ გაბელაიას კიოლნში გამგზავრება როგორღაც შეფერხდა. კონკრეტულად როგორ და რა მანქანებით, ამაზე ზუსტი და ამომწურავი პასუხი ვერ მივიღეთ, მაგრამ მიუხედავად შეფერხებისა, იგი მაინც ეწვევა გერმანიას.

— საელჩოს თანამშრომლებმა შემაფერხეს, საბუთებში რაღაც უზუსტობა აღმომიჩინეს და ახლა ყველაფერი თავიდან მაქვს შესაგროვებელი. რა თქმა უნდა, დამაგვიანდა და ეს ცუდია, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, წლის ბოლოსთვის ყველაფერი ნორმალურად მექნება და გერმანიაში გასამგზავრებლადაც მზად ვიქნები.

როგორც გაბელაიამ გვითხრა, კიოლნის სკოლაში კურსების გავლის მსურველმა თებერვლამდე უნდა მოაგვაროს ორგანიზაციული საკითხები (საბუთები, თხოვნის გაგზავნა...) და იქ ჩასვლა. თებერვლის მერე გერმანელები მსურველებს აღარ იღებენ.

იმითაც დავინტერესდით, თუ ვისი ხელმძღვანელობით მოისმენს თანამედროვე სამწვრთნელო თეორიებს სერგო გაბელაია.

— სკოლის შეტყობინებაში სწერია, რომ კურსებს მხოლოდ მაღალი დონის, ცნობილი ევროპელი სპეციალისტები გაუძღვებიან. კონკრეტულად ვინ, ახლა ვერ გეტყვით, ამას ალბათ გერმანიაში ჩასვლის მერე გავიგებ — გვიპასუხა მან.

ლუკა თალაკვაძე

დაივიწყეთ წარსული!

„ლოკომოტივი“ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდთაგან ერთ-ერთ ყველაზე დაჯურებული და უპრობლემო გუნდად მიაჩნდათ ყოველთვის. საქმე, მოგეხსენებათ, ბერძნულ პაოკ-თან თბილისურმა მარცხმა არია. აგორდა ხმები — იშლება „ლოკომოტივიო“...

ყველაფერს ნათელი რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარემ და ამავე დროს „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა, ბატონმა აკაკი ჩხაიძემ მოჰფინა — „ლოკომოტივის“ დაშლაზე ლაპარაკი უადგილო კია, მაგრამ თუ ქართულ ფეხბურთში სიტუაცია ამგვარადვე დარჩა, არც ეს არის გამორიცხულიო. ბატონი აკაკი სატელეფონო საუბრისას „სარბიელს“ ვრცელ ინტერვიუსაც დაჰპირდა და მას უეჭველად მალე იხილავს მკითხველი, მანამდე კი გუნდის ვიცე-პრეზიდენტს შევეხმიანეთ და გუნდში არსებული მდგომარეობის შესახებ ვკითხეთ

— ჩვეულებრივად მიდის ყველაფერი, ფეხბურთელები მწვრთნელის მიერ დადგენილი და შერჩეული რეჟიმის მიხედვით ემზადებიან მორიგი ტურისთვის. „ლოკომოტივში“ საგანგაშო და სასენსაციო აღარაფერია. ხელმძღვანელობაც, მწვრთნელიც, ფეხბურთელებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გუნდმა კრიზისს რაც შეიძლება მალე დაადწიოს თავი.

მაშ ასე, „ლოკომოტივი“ ეტაპობრივად ივიწყებს წარსულს.

პაატა რურუა

I ჯგუფი

ბელარუსი 0:0 დანია

უელსი 0:2 იტალია

0:1 ფუზერი (19), 0:2 ვიერი (77)

დანია 1:2 უელსი

1:0 ფრედერიქსენი (57), 1:1 უილიამსი (58), 1:2 ბელემი (87)

იტალია 2:0 შვეიცარია

1:0, 2:0 დელ პიერო (18, 62)

შვეიცარია 1:1 დანია

1:0 შაპუიზა (11), 1:1 ტობიასენი (88)

უელსი 3:2 ბელარუსი

1:0 რობინსონი (15), 1:1 გურენკო (22), 1:2 ბელკევიჩი (50), 2:2 კოულმენი (55), 3:2 საიმონსი (80)

ბელარუსი 0:1 შვეიცარია

0:1 ფურნიე (72)

დანია 1:2 იტალია

0:1 ინძაგი (1), 1:1 სანდი (11), 1:2 კონტე (68)

იტალია 1:1 ბელარუსი

0:1 ბელკევიჩი (25), 1:1 ინძაგი (32)

შვეიცარია 2:0 უელსი

1:0, 2:0 შაპუიზა (4, 70)

დანია 1:0 ბელარუსი

1:0 ჰაინცე (22)

იტალია 4:0 უელსი

1:0 ვიერი (7), 2:0 ინძაგი (37), 3:0 მალდინი (40), 4:0 კიეზა (89)

შვეიცარია 0:0 იტალია

უელსი 0:2 დანია

0:1 დალ ტომასონი (84), 0:2 ტოფტინგი (89)

ბელარუსი 1:2 უელსი

1:0 ბარანოვი (29), 1:1 სონდერსი (42), 1:2 გიგზი (86)

დანია 2:1 შვეიცარია

1:0 ა. ნილსენი (54), 1:1 თურქილმაზი (80), 2:1 დალ ტომასონი (82)

იტალია 2:3 დანია

1:0 ფუზერი (10), 2:0 ვიერი (34), 2:1 იორგენსენი (39პ), 2:2 ვიგჰორსტი (57), 2:3 დალ ტომასონი (63)

შვეიცარია 2:0 ბელარუსი

1:0, 2:0 თურქილმაზი (68, 86)

დანია	8	4	2	2	11:8	14
იტალია	7	4	2	1	13:5	14
შვეიცარია	7	3	2	2	7:5	11
უელსი	7	3	0	4	7:14	9
ბელარუსი	*7*	*0*	*2*	*5*	*4:10*	*2*
დანია	6	3	1	2	10:8	10	(+2)
იტალია	6	4	1	1	12:4	13	(+8)

9.10 ბელარუსი — იტალია; უელსი — შვეიცარია

III ჯგუფი

ფინეთი 3:2 მოლდოვა

1:0 კოლკა (8), 1:1, 1:2 ოპრეა (10, 12), 2:2 იოჰანსონი (44), 3:2 პაატელაინენი (63)

თურქეთი 3:0 ჩრდ. ირლანდია

1:0 დერილოღლუ (18), 2:0 პავუტკუ (50), 3:0 დერილოღლუ (58)

ჩრდ. ირლანდია 1:0 ფინეთი

1:0 როულენდი (36)

თურქეთი 1:0 გერმანია

1:0 ჰაკანი (70)

მოლდოვა 1:3 გერმანია

1:0 გუზუნი (6), 1:1, 1:2 კირსტენი (19, 35), 1:3 ბირჰოფი (38)

თურქეთი 1:3 ფინეთი

0:1 პაატელაინენი (5), 0:2 იოჰანსონი (51), 1:2 თემიზქანოღლუ (74), 1:3 ლიტმანენი (90)

ჩრდ. ირლანდია 2:2 მოლდოვა

0:1 გაიდამაშუკი (22), 1:1 დოუი (49), 1:2 ტესტიმიცანუ (56), 2:2 ლენონი (63)

ჩრდ. ირლანდია 0:3 გერმანია

0:1, 0:2 ბოდე (19, 43), 0:3 ჰამანი (62)

თურქეთი 2:0 მოლდოვა

1:0 ჰაკანი (35), 2:0 იალჩინი (90)

გერმანია 2:0 ფინეთი

1:0 იერემისი (31), 2:0 ნოვილი (36)

მოლდოვა 0:0 ჩრდ. ირლანდია

გერმანია 6:1 მოლდოვა

1:0 ბირჰოფი (2), 2:0 კირსტენი (26), 3:0 ბოდე (37), 4:0 ბირჰოფი (56), 5:0 შოლი (70), 5:1 შიშკინი (75), 6:1 ბირჰოფი (82)

ფინეთი 2:4 თურქეთი

1:0 ტიპინენი (10), 2:0 პაატელაინენი (14), 2:1 პავუტკუ (25), 2:2 ჰაკანი (34), 2:3 პავუტკუ (84), 2:4 ჰაკანი (87)

მოლდოვა 0:0 ფინეთი

ფინეთი 1:2 გერმანია

0:1, 0:2 ბირჰოფი (2, 17), 1:2 სალი (63)

ჩრდ. ირლანდია 0:3 თურქეთი

0:1, 0:2, 0:3 არიფი (45, 46, 49)

გერმანია 4:0 ჩრდ. ირლანდია

1:0 ბირჰოფი (2), 2:0, 3:0, 4:0 ციგე (16, 33, 45)

მოლდოვა 1:1 თურქეთი

1:0 ეპურანუ (3), 1:1 ტაიფური (76)

გერმანია	7	6	0	1	20:4	18
თურქეთი	7	5	1	1	15:6	16
ფინეთი	7	2	1	4	9:12	7
ჩრდ. ირლანდია	7	1	2	4	3:15	5
მოლდოვა	*8*	*0*	*4*	*4*	*7:17*	*4*
გერმანია	5	4	0	1	11:2	12	(+9)
თურქეთი	5	4	0	1	12:5	12	(+7)

9.10 ფინეთი — ჩრდ. ირლანდია; გერმანია — თურქეთი

IV ჯგუფი

სომხეთი 3:1 ანდორა

1:0 ავალიანი (40), 2:0 იესაიანი (72), 2:1 ლუჩენდო ჰერედია (85), 3:1 იესაიანი (90)

ისლანდია 1:1 საფრანგეთი

1:0 დადასონი (32), 1:1 დიუგარი (35)

უკრაინა 3:2 რუსეთი

1:0 პოპოვი (14), 2:0 სკაჩენკო (24), 2:1 ვარლამოვი (67), 3:1 რებროვი (74პ), 3:2 ონოპკო (88)

ანდორა 0:2 უკრაინა

0:1 კოსოვსკი (31), 0:2 რებროვი (44)

სომხეთი 0:0 ისლანდია

რუსეთი 2:3 საფრანგეთი

0:1 ანელკა (13), 0:2 პირესი (28), 1:2 იანოვსკი (45), 2:2 მოსტოვოი (55), 2:3 ბოგოსიანი (81)

საფრანგეთი 2:0 ანდორა

1:0 კანდელა (54), 2:0 ჯორკაეფი (59)

ისლანდია 1:0 რუსეთი

1:0 კოვტუნი (87ს.კ.)

უკრაინა 2:0 სომხეთი

1:0 სკაჩენკო (31), 2:0 გუსინი (80)

ანდორა 0:2 ისლანდია

0:1 სვერისონი (57), 0:2 ადოლფსონი (66)

სომხეთი 0:3 რუსეთი

0:1, 0:2 კარპინი (7, 63), 0:3 ბესჩასტნიხი (90)

საფრანგეთი 0:0 უკრაინა

საფრანგეთი 2:0 სომხეთი

1:0 ვილტორდი (2), 2:0 დიუგარი (45)

რუსეთი 6:1 ანდორა

1:0 ტიტოვი (8), 2:0 ბესჩასტნიხი (13), 3:0 ონოპკო (43), 4:0 ციმბალარი (50), 5:0 ბესჩასტნიხი (63), 5:1 გონსალეს არკესი (73), 6:1 ალენიჩევი (89)

უკრაინა 1:1 ისლანდია

1:0 ვაშჩუკი (59), 1:1 სიგურდსონი (66)

საფრანგეთი 2:3 რუსეთი

0:1 პანოვი (37), 1:1 პეტი (47), 2:1 ვილტორდი (53), 2:2 პანოვი (74), 2:3 კარპინი (86)

ისლანდია 2:0 სომხეთი

1:0 დადასონი (31), 2:0 კრისტიანსონი (46)

უკრაინა 4:0 ანდორა

1:0 პოპოვი (36), 2:0 რებროვი (41), 3:0 დმიტრულინი (56), 4:0 გუსინი (87)

ანდორა 0:1 საფრანგეთი

0:1 ლებეფი (85პ)

სომხეთი 0:0 უკრაინა

რუსეთი 1:0 ისლანდია

1:0 კარპინი (44)

ისლანდია 3:0 ანდორა

1:0 ტ. გუდიონსონი (29), 2:0 ჰეიდარსონი (32), 3:0 ე. გუდიონსონი (90)

რუსეთი 2:0 სომხეთი

1:0 ბესჩასტნიხი (83), 2:0 კარპინი (70)

უკრაინა 0:0 საფრანგეთი

ანდორა 1:2 რუსეთი

0:1 ონოპკო (23), 1:1 რუისი (39ჭ), 1:2 ონოპკო (57)

სომხეთი 2:3 საფრანგეთი

1:0 მიქაელიანი (6), 1:1 ჯორკაეფი (45პ), 1:2 ზიდანი (67), 1:3 ლასლანდი (74), 2:3 შაჰგელდიანი (90ბ)

ისლანდია 0:1 უკრაინა

0:1 რებროვი (42ბ)

უკრაინა	9	5	4	0	13:3	19
რუსეთი	9	6	0	3	21:11	18
საფრანგეთი	9	5	3	1	14:8	18
ისლანდია	9	4	3	2	10:4	15
სომხეთი	*9*	*1*	*2*	*6*	*5:15*	*5*
ანდორა	*9*	*0*	*0*	*9*	*3:25*	*0*
უკრაინა	5	2	3	0	5:3	9	(+2)
რუსეთი	5	2	0	3	8:9	6	(-1)
საფრანგეთი	5	1	3	1	6:4	6	(+2)
ისლანდია	5	1	2	2	3:4	5	(-1)

9.10 ანდორა — სომხეთი; საფრანგეთი — ისლანდია; რუსეთი — უკრაინა

V ჯგუფი

შვედეთი 2:1 ინგლისი

0:1 შირერი (1), 1:1 კ. ანდერსონი (30), 2:1 მიალბი (32)

ბულგარეთი 0:3 პოლონეთი

0:1 ჰაიტო (19), 0:2 სვერჩევსკი (44), 0:3 ივანი (48)

ინგლისი 0:0 ბულგარეთი

პოლონეთი 3:0 ლუქსემბურგი

1:0 ბრჟეკი (18), 2:0 იუსკოვიაკი (33), 3:0 ტრჟეჩიაკი (65)

ბულგარეთი 0:1 შვედეთი

0:1 ლარსონი (62)

ლუქსემბურგი 0:3 ინგლისი

0:1 ოუენი (18), 0:2 შირერი (38), 0:3 საუთგეიტი (88)

ინგლისი 3:1 პოლონეთი

1:0, 2:0 სტოლი (12, 22), 2:1 ბრჟეკი (28), 3:1 სტოლი (70)

შვედეთი 2:0 ლუქსემბურგი

1:0 მიალბი (35), 2:0 ლარსონი (86)

ლუქსემბურგი 0:2 ბულგარეთი

0:1 სტოიჩკოვი (17), 0:2 იორდანოვი (38)

პოლონეთი 0:1 შვედეთი

0:1 ლიუნგბერგი (36)

პოლონეთი 2:0 ბულგარეთი

1:0 ჰაიტო (15), 2:0 ივანი (61)

ინგლისი 0:0 შვედეთი

ბულგარეთი 1:1 ინგლისი

0:1 შირერი (14), 1:1 მარკოვი (17)

ლუქსემბურგი 2:3 პოლონეთი

0:1 სიადაჩკა (22), 0:2 ვიშნიარეკი (45), 0:3 ივანი (68), 1:3 ბირსენსი (76), 2:3 ვანეკი (82)

ინგლისი 6:0 ლუქსემბურგი

1:0, 2:0 შირერი (12ბ, 28), 3:0 მაკმანამანი (30), 4:0 შირერი (34), 5:0 მაკმანამანი (44), 6:0 ოუენი (90)

შვედეთი 1:0 ბულგარეთი

1:0 ალექსანდერსონი (64)

ლუქსემბურგი 0:1 შვედეთი

0:1 ალექსანდერსონი (39)

პოლონეთი 0:0 ინგლისი

შვედეთი	7	6	1	0	8:1	19
ინგლისი	8	3	4	1	14:4	13
პოლონეთი	7	4	1	2	12:6	13
ბულგარეთი	7	1	2	4	3:8	5
ლუქსემბურგი	*7*	*0*	*0*	*7*	*2:20*	*0*
ინგლისი	6	1	4	1	5:4	7	(+1)
პოლონეთი	5	2	1	2	6:4	7	(+2)

9.10 შვედეთი — პოლონეთი. 10.10 ბულგარეთი — ლუქსემბურგი

REUTERS სტ. ...ბიბლიოთეკიდან

ბუნდესნაკრები გუშინდელი ვარჯიშისას. მარკო ბოდე, კრისტიან ციგე და ერიხ რიბეკი თურქებთან მატჩს ჩინებული განწყობით ხვდებიან

ამ შაბათ-კვირას ევრო 2000-ის კიდევ ექვსი ფინალისტის ვინაობას გავიგებთ. შევახსენებთ, რომ ბელგია — ჰოლანდიის ექვსი საგზურის მფლობელები უკვე ცნობილია. ესენი არიან: ბელგია, ჰოლანდია, ჩეხეთი, ნორვეგია, შვედეთი და ესპანეთი. მთლიანობაში, საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ტური 9 ჯგუფის გამარჯვებულებსა და საუკეთესო მეორეადგილოსანს გაარკვევს. დარჩენილი 8 მეორე კი წილისყრით ოთხ წყვილად დაიყოფიან და პლეი ოფის სისტემით ევროპის ჩემპიონატის ბოლო ოთხ მონაწილეს დაადგენენ. წყვილებში პირველი მატჩები 13-14 ნოემბერს, ხოლო საპასუხო 17 ნოემბერს გაიმართება.

საუკეთესო მეორე გუნდად ის გამოცხადდება, ვინც თავის ჯგუფში პირველ, მესამე და მეოთხე (1, 3, 4) ადგილებზე გასულებთან ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებს. თუ ჯგუფში ორმა ან მეტმა გუნდმა თანაბარი ქულები მოაგროვა, მაშინ, ადგილები შემდეგნაირად გაირკვევა:

1. ამ გუნდებს შორის ურთიერთშეხვედრებში მოგროვილი უმეტესი ქულებით;
2. ამ გუნდებს შორის გატანილი და მიღებული ბურთების საერთო მაჩვენებლით;
3. ამ გუნდებს შორის მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთების უმეტესი რაოდენობით;
4. ყველა შესარჩევი მატჩის შედეგის გათვალისწინებით:
ა) გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი შეფარდების მიხედვით;
ბ) უმეტესი გატანილი ბურთების რაოდენობით;
გ) მეტოქის მინდორზე გატანილი უმეტესი ბურთების რაოდენობის მიხედვით;
5. „ფეირ პლეის“ რეიტინგით;
6. კენჭისყრით.

უშველის ტრეზეგე ფრანგებს?

I ჯგუფი

დანიის ნაკრებმა ტურნირი სექტემბერში დაამთავრა და მინიმუმ მეორე ადგილი გაინაღდა, რადგან ურთიერთშეხვედრებში შვეიცარიელებთან უპირატესობა აქვს. იმავე მიმართებაში არიან დანიელები იტალიელებთანაც — ქულები თანაბარი აქვთ, ხოლო ერთმანეთთან ნათამაშევი მატჩების მიხედვით მეტოქის მინდორზე გატანილი ბურთების რაოდენობით, უპირატესობას ფლობენ. ასე რომ, თუ „სკუადრა აძურამ“ ბელარუსთან წააგო, პირველ ადგილზე დანია გადის, ხოლო იტალია უკეთეს შემთხვევაში საუკეთესო მეორეადგილოსანი გახდება, უარესში — პლეი ოფში მოხვდება.

III ჯგუფი

გერმანია თურქეთს მასპინძლობს და ფრის შემთხვევაშიც კი პირველ ადგილს იკავებს. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შარშან ბუნდესნაკრები სტამბოლში 0:1 დამარცხდა და ხვალ სამაგიეროს გადახდას შეეცდება. თუ გერმანიამ წააგო, მაშინ პლეი ოფში ხვდება, საუკეთესო მეორეობის პრეტენზია მას ვერ ექნება, რადგან მოლდოვასთან მოპოვებული ექვსი ქულა ჩამოაკლდება.

თუ თურქებმა მოიგეს, პირველობა მათი იქნება. თუ წააგეს, პლეი ოფის ამარა დარჩებიან, აი, ფრედ თუ ითამაშეს, მაშინ 13 ქულა მოუგროვდებათ და საუკეთესო მეორე ადგილის კანდიდატები იქნებიან. საერთოდ, საუკეთესო მეორეობის შანსი ორ ნაკრებს აქვს, თურქეთს და პორტუგალიას. თუ თურქებმა გერმანიასთან ფრედ ითამაშეს, მაშინ პორტუგალიამ უნგრეთს სამი ბურთის სხვაობით უნდა მოუგოს და გამსვლელი მეორე ადგილიც მისია. თუმცა, არსებობს ერთი ვარიანტიც, თუ იტალიამ მინსკში წააგო, მაშინ მასაც თურქეთთან და პორტუგალიასთან ერთად 13 ქულა მოუგროვდება. ამ შემთხვევაში თურქეთს შანსი აღარა აქვს, ხოლო პორტუგალიას უნგრეთთან ოთხბურთიანი სხვაობით გამარჯვება დასჭირდება.

IV ჯგუფი

ისეთი ჩახლართული სიტუაცია, როგორც მეოთხე ჯგუფშია, საკვალიფიკაციო ეტაპებს დიდი ხანია, არ ახსოვს. ბოლო ტურის წინ ექვსიდან ოთხ გუნდს შემორჩა გამსვლელი ადგილების დაკავების შანსი. თეორიულად, თუ ისლანდიამ საფრანგეთს სამი და მეტი ბურთით მოუგო, ხოლო რუსეთმა უკრაინასთან ორი და მეტი ბურთით წააგო, მაშინ პირველ ადგილზე უკრაინა გადის, ხოლო მეორეზე ისლანდია. უფრო რეალური კი, ცხადია, უკრაინა-რუსეთ-საფრანგეთის ამბებია.

მსოფლიოს ჩემპიონი ფრანგები ბოლო მატჩში კერკეტ ისლანდიას მასპინძლობენ და გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ფინალურ ეტაპზე იქნებ პირდაპირ ვერ მოხვდნენ. ეს იმ შემთხვევაში, თუ უკრაინამ რუსეთს მოუგო.

ფრანგთა მწვრთნელ როჟე ლემერის თქმით, გადამწყვეტ მატჩში მათი მთავარი იმედი ახალგაზრდა დავიდ ტრეზეგე იქნება, რომელიც საკმაო ხნის შემდეგ დაუბრუნდა ნაკრებს. არგენტინაში დაბადებულმა ტრეზეგემ განაცხადა, რომ ბოლოს და ბოლოს საკუთარ თამაშს პოულობს. „მონაკოს“ ფორვარდმა საფრანგეთის ჩემპიონატის ცხრა ტურში ცხრა ბურთი გაიტანა და ბომბარდირთა სიასაც სათავეში უდგას. თითქმის მთელი შესარჩევი ციკლი მან ახალგაზრდულ ნაკრებში გაატარა, თუმცა ამაზე სულაც არ ბრაზდება. პირიქით, აღიარებს, რომ ცუდ ფორმაში იყო და პირველ გუნდში ადგილი არ ეკუთვნოდა.

ტრეზეგეს კარგი ფორმა ლემერისთვის მისწრებაა. მას ხომ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე გამოაკლდა. ტიერი ანრის და კრისტოფ დიუგარის დისკვალიფიკაციები აქვთ, ნიკოლა ანელკა ძველებურად ვერაა, საეჭვოა დაშავებული მარსელ დესაის თამაშიც. ასე რომ, ევრო 2000-ის საგზური ფრანგებს ტრეზეგემ უნდა მოუტანოს.

რაც შეეხება რუსეთ-უკრაინის მატჩს, სტუმრები ფრეზეც არ იტყვიან უარს, მასპინძლებმა კი აუცილებლად უნდა მოიგონ.

V ჯგუფი

ამ ჯგუფის მეორეადგილოსანი პლეი ოფში მოხვედრით უნდა დაკმაყოფილდეს. ინგლისელების ბედი ახლა სხვების ხელშია. თუ შვედებმა პოლონეთს მოუგეს, ინგლისელები შესარჩევ ეტაპს გაგრძელებენ, სხვა შემთხვევაში მეორე ადგილს პოლონელები დაიკავებენ. ღელისათვის კი ინგლისი იმიტომ უსწრებს პოლონეთს, რომ ურთიერთშეხვედრებში უკეთესი მაჩვენებელი აქვს.

შენიშვნა: მუქი ფონით — შესაძლო საუკეთესო მეორეადგილოსანთა დღევანდელი მდგომარეობა;
წყვილ ხაზთ — გუნდები, რომლებთანაც შესაძლო საუკეთესო მეორეადგილოსნებს შედეგები უუქმდებათ

ხუთი ათასს ჰლუს მილიონი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრე

9 ოქტომბერი. IV ჯგუფი.
რუსეთი — უკრაინა

ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი, ალბათ (ხორვატია — იუგოსლავიასთან ერთად), მოსკოვში „ლუჟნიკიზე“ გაიმართება. მეოთხე შესარჩევ ჯგუფში რუსეთი უკრაინას უმასპინძლებს. საფეხბურთო მოხელეები ცდილობენ, ხალხი დაარწმუნონ, ფეხბურთი ფეხბურთია და მას პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვსო, მაგრამ... უკრაინელმა პოლიტიკოსებმა 9 ოქტომბრის თამაში „ასწლეულის ბრძოლად“ მონათლეს. „ორივე ნაკრებისთვის ეს პრინციპული მატჩი იქნება. არავითარ შემთხვევაში არ უნდა წავაგოთ. მართალია რუსები ყოველთვის ჟინიანად გვეთამაშებიან, მაგრამ მჯერა, უკრაინელები ამოცანას შეასრულებენ“ — თქვა ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტმა, პარლამენტის დეპუტატმა ლეონიდ კრავჩუკმა. პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ნატალია ვიტრენკო ფიქრობს, რომ ვალერი ლობანოვსკის ხელმძღვანელობით უკრაინელები აუცილებლად მოუგებდნენ რუსებს, საბოსი კი ნაკლებად სჯერა: „თუმცა, იმედს არ ვკარგავ, ცოტა იღბალიც და ყველაფერი კარგად იქნება“ — განაცხადა ვიტრენკომ.

გუშინ საღამომდე უკრაინის ნაკრები კიევის ახლოს, კონჩა-ზასპას საწვრთნელ ბაზაზე ემზადებოდა. დღეს კი მოსკოვს ეწვევიან და საღამოს „ლუჟნიკზე“ ვარჯიშსაც ჩაატარებენ. მთავარი მწვრთნელის, იოჟეფ საბოს მიერ გამოძახებული 22 ფეხბურთელიდან ერთი ნაღდად ვერ ითამაშებს. რუსული „ზენიტის“ ფეხბურთელმა რომან მაქსიმიუკმა პირველივე სანაკრებო ვარჯიშზე ხელი მოიტეხა. დანარჩენები ჯანმრთელად არიან. მწვრთნელს განსაკუთრებით ანდრეი შევჩენკოს იმედი აქვს: „როგორც კი ჩამოვიდა, „მილანში“ ჩინებული თამაში მივულოცეთ. მან ხომ ბოლო ტურში „ლაციოს“ სამი ბურთი გაუტანა“ — თქვა საბომ.

უკრაინელთა დამრიგებელი მიიჩნევს, რომ ბოლო დროს აშკარად მოუმატა ინგლისური „არსენალის“ მცველმა ოლეგ ლუჟნიმ. მისი ბრძოლისუნარიანობა და შემართება ყველასათვის სამაგალითოა. სხვათა შორის, ლუჟნის, რომელსაც თავის დროზე საბჭოთა კავშირის ნაკრებში 8 მატჩი უთამაშია, რუსმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ამბობენ, „სპარტაკი“ და რუსეთის ნაკრები უკრაინელებზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობენო: „სპარტაკის“ ლამაზი ფეხბურთი?.. კი მაგრამ, რა გაუკეთებია თქვენს „სპარტაკს“ ევროპაში, ოდესმე რაიმე თასი მოუგია?“ — ასეთი იყო ვეტერანი მცველის პასუხი.

საშაბათოდ კი სტუმრებს ვიტალი კოსოვსკის ეიმედებათ, რომელმაც ახლახან მოირჩინა ტრავმა: „ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე უკრაინაში უკეთესი არავინ მეგულება. მას 15 წუთშიც შეუძლია მატჩის ბედის შემობრუნება“ — განაცხადა საბომ.

რუსებთან შეხვედრაში უკრაინელი ფეხბურთელებისთვის საგანგებო პრემიები აღუთქვამთ, თუმც კონკრეტული ციფრი მწვრთნელმა არ დაასახელა. დონეცკის „შახტარის“ ყოფილი მწვრთნელის, ანატოლი ბიშოვეცის მიმართ კი საბომ არაერთი „ტკბილი“ სიტყვა თქვა: „ბიშოვეცი 30 წლის წინანდელ ფეხბურთს ქადაგებს. თავისი პრინციპების გადამკიდე, ნაკრების ფეხბურთელებს ძირითადში არ აყენებდა და კინაღამ დაღუპა ბიჭები. ხანდახან ისიც მიფიქრია, მოგზავნილი ხომ არ იყო-მეთქი“ — აღნიშნა უკრაინელთა დამრიგებელმა.

„უკრაინა ძლიერი გუნდია და რომანცევის გუნდის ჯობნა სავსებით ხელეწიფება. ეგაა, ცოტა მსაჯის საკითხი მაღელვებს. ინგლისელი ელერეისთვის ეს ბოლო თამაშია კარიერაში და ვინ იცის... იმედია, ინგლისელი კეთილსინდისიერად განსჯის. არადა, წინა შესარჩევი ციკლის პლეი ოფში ხორვატიასთან სწორედ მსაჯის ჩაუთვლელმა ნაღდმა გოლმა წაგვართვა საფრანგეთის საგზური“ — ესეც საბოს სიტყვებია.

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიაჩესლავ კოლოსკოვის განცხადებით, უკრაინის ძირითადი დელეგაცია (20 ოფიციალური პირი, 22 ფეხბურთელი და 10 მომსახურე პერსონალი) მოსკოვში ჩარტერული რეისით ჩავა და უკრაინის საელჩოს სასტუმროში განთავსდება. საღამოს სტუმრები ივარჯიშებენ, ხოლო შემდეგ ოფიციალური ვახშამი გაიმართება. შაბათს მატჩი თბილისის დროით საღამოს 9 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ რეპორტაჟს ტელეკომპანია OPT შემოგთავაზებთ. „ლუჟნიკიზე“ ანშლაგს მოელიან, ამიტომ უსაფრთხოებაზე ფიქრი დიდი ხანია, დაიწყეს. სტადიონის ტერიტორიაზე ხალხს დაწყებამდე 3,5 საათით ადრე შეუშვებენ, ხოლო ტრიბუნებზე დასხდომის ნებას სამი საათით ადრე მისცემენ, სიტუაციას პოლიციისა და ომონის გაძლიერებული რაზმები გააკონტროლებენ.

რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ოლეგ რომანცევის პრესკონფერენციაზე ტარასოვკის საწვრთნელ ბაზაზე გუშინ ასამდე ჟურნალისტი მივიდა. პატარა ოთახში ამდენი ხალხის შეყრამ ჩვენი რუსი კოლეგები ხუმრობის ხასიათზე დააყენა: რუსეთის ნაკრებმა პირველი ანშლაგი უკვე მოაგროვა, მეორე „ლუჟნიკიზე“ იქნებაო — წამოიძახა ერთ-ერთმა.

რომანცევის თქმით, უკრაინა ერთობ თავისებური მეტოქეა. მათ ფლეევანდელ შესარჩევ ციკლში გასვლაზე გოლი არ გაუშვიათ, თანაც ბოლო ტურამდე ისე მივიდნენ, თამაში არ წაუგიათო. „აქედან ჩვენთვის სასარგებლო ისაა, რომ სტაბილური თამაშიდან გამომდინარე, მეტოქე, ალბათ, ტაქტიკას არ შეცვლის. უკრაინა კონტრშეტევის გუნდია და მოსკოვშიც ასე ითამაშებს. ასე რომ, მოულოდნელი ჩვენთვის არაფერი იქნება — თქვა რომანცევმა — 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ წარუმატებლობა მთლიანად მე გადავიბრალე. ახლა ასე აღარ მოხდება. შედეგის მიუხედავად, ნაკრებთან კონტრაქტი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე მაკავშირებს, მაგრამ ძალიან მინდა, რომ იაპონია-კორეამდე ევროპის ჩემპიონატის გავლით მივიდეთ.“

რომანცევმა ნაკრებში კვლავ არ გამოიძახა ესპანური „სელტას“ ნახევარმცველი ალექსანდრ მოსტოვოი: „რატომ უნდა გამომეძახა? მართალია, „სელტაში“ ორჯერ გამოვიდა შეცვლაზე და ორჯერვე გაიტანა... ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ უკრაინელებთან არ მჭირდება. უმისოდ ექვსი თამაში მოვიგეთ და რატომ მეშვიდეშიც არ უნდა გავიმარჯვოთ?“ — განმარტა მწვრთნელმა. რუსებს აგრეთვე არ ეყოლებათ ავსტრიული „ტიროლის“ გამოცდილი მეკარე სტანისლავ ჩერჩესოვი, რომელსაც კლუბი შეერბაზე გვიან უშვებდა. ძირითადი მეკარის, ალექსანდრ ფილიმონოვის შემცვლელად რომანცევმა ლოკომოტიველი რუსლან ნიგმატულინი მიიწვია.

რუსული ფეხბურთის მმართველ ვიაჩესლავ კოლოსკოვის თქმით, უკრაინასთან მოგებისთვის ნაკრების წევრები 5-5 ათას დოლარს მიიღებენ და ვინაიდან ასეთი შედეგი მათ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანს, პრემიის სახით კიდევ ერთი მილიონი გადაეცემათ.

ამასობაში „ლუჟნიკისთან“ უამრავი უბილეთო ადამიანი იცდის და იღბლიან შემთხვევას ელის. სალაროებში ბილეთები კარგა ხანია, გათავდა. შავ ბაზარზე კი კარგი ადგილები 100-დან 600 დოლარამდე ღირს. ეს ფასი უმრავლესობისთვის მიუწვდომელია. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ რუსეთისას თავიდან 9 ათასი ბილეთის მოთხოვნა გაუგზავნა, მაგრამ საბოლოოდ ორი ათასით ნაკლებზე შეთანხმდნენ. სტუმარ ფანებს ცალკე სექტორებში მოათავსებენ. საინტერესოა, რომ წინასწარი გათვლით მატჩის ორგანიზატორები ბილეთების გაყიდვიდან 600 ათას დოლარს მიიღებენ, მაშინ რამდენ „მწვანეს“ ჩაიჯიბავენ გადამყიდველები, ადვილი წარმოსადგენია.

სოლომონ გულისაშვილი

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრე

III ჯგუფი. გერმანია — თურქეთი

თურქეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა მუსტაფა ოზანბელმა დაასახელა ის ფეხბურთელები, რომლებიც 9 ოქტომბერს გერმანიაში ადგილობრივ ნაკრებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩს ჩაატარებენ. ამ შეხვედრაში თურქებს მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს, რათა ბელგია-ჰოლანდიის საგზური ავტომატურად მოიპოვონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პლეი ოფში მოუწევთ თამაში. ხოლო გერმანელებს ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად ფრეც ჰყოფნით.

თურქთა მთავარი იმედი „გალათასარაის“ ფორვარდი ჰაკან შუქურია, რომელმაც ზუსტად ერთი წლის წინ გერმანელებს გოლიც კი გაუტანა, ხოლო ის მატჩი საბოლოოდ თურქებმა შინ ანკარაშით 1:0 მოიგეს.

მეკარეები: რუშტუ, ენგინი (ორივე ფენერბაჰჩე); მცველები: თემიზქანოღლუ, ალფაი, საფეტი (ყველა ფენერბაჰჩე), აკიელი (გალათასარაი), ბესერერი (ბეშიქთაში), მერტი (ქოჯაელისფორი); ნახევარმცველები: ტაიფური (ბეშიქთაში), უმითი, არიფი, ოკანი, ერგუნი (ყველა გალათასარაი), სერგენი, ტაიფუნი, აბდულა (ყველა ფენერბაჰჩე); თავდამსხმელები: ჰაკან შუქური (გალათასარაი), აკმანი (ბეშიქთაში), უმიტი (გენჩლერბირლიგი), ოქთაი (იეთფასფორი), საფეტი (ფენერბაჰჩე)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრე

VI ჯგუფი. ესპანეთი — ისრაელი

ისრაელის ნაკრების ნახევარმცველი იან ტალასნიკოვი გუნდში დაბრუნეს. იგი ესპანელებთან ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში მიიღებს მონაწილეობას. ტალასნიკოვი გუნდიდან მას შემდეგ გაუშვეს, რაც გასულ თვეში ავსტრიელებს ანტისემიტები უწოდა.

მაშინ, ავსტრია — კვიპროსის მატჩის წინ, რუსეთში დაბადებულმა ფეხბურთელმა ეჭვი გამოთქვა, რომ ავსტრია თამაშს შეგნებულად წააგებდა. ამით ისრაელი დაკარგავდა ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის შანსს. ეს ყველაფერი ტალასნიკოვმა „ანტისემიტური შეთქმულების“ ნაწილად მონათლა. თუმცა შემდგომ ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციას მოუბოდიშა.

მწვრთნელმა შლომო შარფმა გუნდში ახალგაზრდული ნაკრების ორი ფეხბურთელი მიიწვია. შიმონ გერშონი საგარაუოდ ვეტერან მცველს, ალონ ჰარაზის შეცვლის. ისრაელის ჩემპიონატის ლიდერის, ჰაიფას „ჰაპოელის“ ახალგაზრდა მეკარე დუდუ ავატი კი ალბათ ნილ დავიდოვიჩის ნაცვლად ითამაშებს. ძირითადმა მეკარემ მწვრთნელს განუცხადა, რომ მატჩისთვის მზად არ არის.

შარფმა საჯაროდ გააკრიტიკა დავიდოვიჩი და კვიპროსთან წაგება მას გადააბრალა. მაშინ დავიდოვიჩმა ძალიან „მოინდომა“ და ბოლო წუთებზე პენალტი დაიმსახურა. ის შეხვედრა კვიპროსმა 3:2 მოიგო. „ჩვენ უბრალოდ არ გვყავს მეკარე, რომელსაც ვენდობით“ — თქვა მწვრთნელმა.

გუნდში არ ითამაშებენ ფრანგული „ნიცას“ თავდამსხმელი ალონ მიზრაჰი და ინგლისური „ასტონ ვილას“ ნახევარმცველი გრაიები. ისინი თავიანთი კლუბების ძირითად შემადგელობაში ვეღარ ხვდებიან.

დაშავებულია „ჰაპოელის“ მცველი ოფერ ტაგიკარი. მას თანაგუნდელი ალონ ჰალფონი შეცვლის.

მეკარეები: დავიდოვიჩი (მაკაბი, ჰაიფა), ავატი (ჰაპოელი, ჰაიფა); მცველები: ჰალფონი, შელაჰი, ამსალემი (ყველა ჰაპოელი, ჰაიფა), ბენადო (მაკაბი, ჰაიფა), გერშონი (ჰაპოელი, თელ-ავივი); ნახევარმცველები: ბანინი (ბრეშია, იტალია), ბერკოვიჩი (სელტიკი, შოტლანდია), ჰაზანი (აშდოდი), ტალასნიკოვი (დანდი იუნ. შოტლანდია), აბუკისი (ბეითარი), ბადირი (უიმბლდონი, ინგლისი), ტალი (შერიდა, ესპანეთი), რევივო (სელტა, ესპანეთი), ბენაიონი (მაკაბი, ჰაიფა); თავდამსხმელები: ტურჯემანი (ჰაპოელი, ჰაიფა), კაკონი (შერიდა, ესპანეთი)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრე

IX ჯგუფი. შოტლანდია — ლიტვა

ლიტვის ნაკრების მწვრთნელ რობერტას ტაუტკუსს შაბათს შოტლანდიის წინააღმდეგ მატჩში სანაკრებო დებიუტი ექნება. მან ამ პოსტზე ორი კვირის წინ კესტუტის ლატოჟა შეცვალა. ჯგუფიდან გასვლის იმედები ლიტვას მისმა უშუალო კონკურენტმა — შოტლანდიამ ამ სამშაბათს გადაუწურა, როდესაც ბოსნია დაამარცხა ანგარიშით 1:0. ამ ჯგუფიდან პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, ჩეხეთი გავიდა, რომელმაც ჯერჯერობით 9 თამაშიდან 9-ვე მოიგო და შანსი აქვს, შაბათს რეკორდი დაამყაროს, რამეთუ უკანასკნელ მე-10 მატჩს შინ ფარერებთან გამართავს და, სავარაუდოდ, მოიგებს კიდეც. ხოლო მეორე ადგილზე მყოფი შოტლანდია მიუდწეველი გახდა მდევართათვის. იგი პლეი ოფში ითამაშებს.

ლიტვის ნაკრებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლება. ერთ-ერთი მათგანი გერმანიის ბუნდესლიგის გუნდ „დუისბურგში“ მოასპარეზე მეკარე გინტარას სტაუჩეა, რომელსაც ტრავმა აწუხებს. ამავე მიზეზით ვერ ჩაატარებს მატჩს ნახევარმცველი ვალდას ივანაუსკასი.

მეკარეები: ლუსი (ჟალგირისი), პადიმანსკასი (პანევეჟისი); მცველები: სკერლა (პსვ, ჰოლანდია), ჟვირგჟდაუსკასი (პოლონია, პოლონეთი), სკინდერისი (ბელხატოვი, პოლონეთი), ჟუტაუტასი (ალანია, რუსეთი), დჟიაუკშტასი (ბალტიკა, რუსეთი), ტერეშინასი (სკონტო, ლატვია), გრაჟიუნასი (კარედა), გრუდჟინსკასი (ჟალგირისი); ნაბეკვარმცველები: მიკალაიუნასი (ურალანი, რუსეთი), რაჟანაუსკასი (მალმიო, შვედეთი), ვენცევიჩიუსი (კოპენჰაგენი, დანია), სტუმბრისი (ტორპედო-ზილი, რუსეთი), დანილევიჩიუსი (ბრიუგე, ბელგია), დანჩენკო (ურალანი, რუსეთი); თავდამსხმელები: მიკულანასი (ზაგრები, ხორვატია); ფომენკო (კარედა), კშანავიჩიუსი (ჟალგირისი)

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი წრე

9 ოქტომბერი. VIII ჯგუფი. ხორვატია — იუგოსლავია

დეიან სტანკოვიჩი (№9) და დარკო კოვაჩევიჩი ხორვატთა დამარცხებას შეეცდებიან

იუგოსლავიის ნაკრების ფორვარდის, პრედრაგ მიატოვიჩის განცხადებით, ის და მისი თანაგუნდელები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა ხორვატებთან სასურველ შედეგს მიაღწიონ. მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიელები ახლა ჯგუფის ლიდერები არიან, მათ ამ მატჩში აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ, რათა შემდეგ ჯგუფის მეორე შეხვედრის, მაკედონია — ირლანდიის შედეგზე არ იყვნენ დამოკიდებულნი. საერთოდ კი ამ ჯგუფში მეტად ჩახლართული სიტუაციაა. გასვლაზე პრეტენზიას ერთდროულად სამი გუნდი — იუგოსლავია, ირლანდია და ხორვატია აცხადებს.

იუგოსლავიელების მთავარი მწვრთნელის, ვუიადინ ბოშკოვის თქმით, გუნდი მხოლოდ მაქსიმალურ შედეგზე ითამაშებს და შეხვედრას ალბათ 4-4-2 სისტემით დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ იუგოსლავია — ხორვატიის წინა შეხვედრა აგვისტოში ფრედ 0:0 დასრულდა.

სავარაუდო შემადგენლობა: კრალი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, მიხაილოვიჩი, დ. სტანკოვიჩი, დრულოვიჩი, მიატოვიჩი, სტოიკოვიჩი, მილოშევიჩი

ამხანაგური მაჯრი

10 ოქტომბერი. ინგლისი — ბელგია

ინგლისელთა მწვრთნელმა კევინ კიგანმა განაცხადა, რომ მის შრომას მხოლოდ მაშინ ექნება აზრი, თუ ინგლისი 2002 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდება.

„ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობა ურთულესი საქმეა. აბსოლუტურად ყველა ტურნირის მოგება შეუძლებელია. ნაკრებში დარჩენის ერთადერთი გზა მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებაა“ — უთხრა კიგანმა ბელგიელ ჟურნალისტს.

კევინ კიგანს „ძლევამოსილ თაგვს“ უწოდებენ მისი უდიდესი ენთუზიაზმის, ძლიერი სულისა და პატარა ტანის გამო. თუ ინგლისი ბელგია-ჰოლანდიაში ვერ მოხვდა, მას ალბათ ნაკრებს დაატოვებინებენ.

„ინგლისი ფანალურ ეტაპზე რომ ვერ მოხვდეს, ეს ჩემთვის დიდი იმედგაცრუება იქნება, თუმცა არა იმის ნიშანი, რომ გუნდს თამაში არ ძალუძს. ჩემი კონტრაქტი სამწლიანია. საკმაო დრო მაქვს, რათა გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოვამზადო“ — თქვა კიგანმა.

ინგლისის ნაკრები კვირას ბელგიას ხვდება ამხანაგურად. ინგლისელები ინარჩუნებენ პლეი ოფში თამაშის შანსს. მათი ბედი შვედების ხელშია, რომლებმაც პოლონელები უნდა დაამარცხონ.

კიგანი მოხიბლულია ბელგიელთა თამაშით, რომლებმაც წინა თვეში 5:5 დაასრულეს ამხანაგური შეხვედრა ჰოლანდიასთან. მან განსაკუთრებით გამოყო ხორვატიის ყოფილი, ამჟამად ბელგიის მოქალაქის ბრანკო შტრუპარის კარგი თამაში და აღნიშნა, რომ ბელგიელებს ტრადიციულად ძლიერი თავდასხმა ჰყავთ.

ელოდეთ კომისიას და მოშარდეთ ძველებურად

ფიფა და უეფა შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი ძალებით წამოიწყებენ იშვიათ კამპანიას დოპინგის წინააღმდეგ. საქმე ეხება ფეხბურთელთა შეჯიბრებისგან დამოუკიდებელ შემოწმებას.

ამასთან, როგორც ერთმა, ისე მეორე ორგანიზაციამ კატეგორიული უარი თქვეს სისხლის ანალიზზე, განცხადეს, რომ მოთამაშეთა შემოწმება შარდის ანალიზით გაგრძელდება.

ფიფასა და უეფას ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ 12 დეკემბერს, ევრო 2000-ის ფინალური ეტაპის წილისყრაზე, ანტისადოპინგო პროექტი დაურიგდება თექვსმეტივე მონაწილე ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციათა ხელმძღვანელებს და მათი ხელმოწერებით განმტკიცდება.

ტესტები ნებისმიერ დროს და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჩატარდება. იგი შეიძლება მოეწყოს როგორც ამხანაგური თამაშებისას, ასევე ჩვეულებრივი საწვრთნელი შეკრებების პერიოდში.

„ევრო 2000 რომ დასრულდება, შეჯიბრებისგან დამოუკიდებელი დოპინგ-კონტროლი სხვა კონტინენტებზეც დაინერგება“ — წერია ზემოხსენებულ განცხადებაში.

რაც შეეხება სისხლის ანალიზს, რომელზეც ფეხბურთის ბოსებმა უარი განაცხადეს: მათი აზრით, იგი, ჯერ ერთი, სამედიცინო და სამეცნიერო თვალსაზრისით დიდს არაფერს იძლევა და მეორეც, შესაძლოა საქმე ხშირად სასამართლომდე მიიყვანოს. და მაინც, განცხადებაში აღნიშნულია: „სამომავლოდ სისხლის ანალიზის დანერგვა სულაც არ არის გამორიცხული“.

ფიფა-უეფას ეს ნაბიჯი გადაიდგა მაშინ, როდესაც ზოგიერთი სახეობა, მაგალითად მძლეოსნობა და ველოსპორტი, დოპინგ სკანდალებმა მასშტაბურად მოიცვა და მნიშვნელოვანწილად სახელიც გაუტეხა. რაც შეეხება საფეხბურთო დოპინგ სკანდალებს, მათ შორის ყველაზე დიდი გახლდათ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან არგენტინელი ვარსკვლავის, დიეგო მარადონას დათხოვნა.

ბოლოდროინდელმა ამბებმა, რომლებიც უპირველესად ევროპაში დატრიალდა, აჩვენა, რომ აკრძალული პრეპარატების მიღება სპორტის ამ სახეობაშიც ფრიად მზარდი ტემპით ვითარდება. მაგალითად, სულ ახლახან, სექტემბერში, გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გუნდის, „ნიურნბერგის“ მოთამაშე თომას ციმერი ცხრათვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს; აგვისტოში, რუმინეთში, ფეხბურთელი სტეფან ვრაბიორუ მოედანზე გარდაიცვალა. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, სიკვდილის მიზეზი თამაშამდე რამდენიმე დღით ადრე მიღებული ანაბოლური სტერეოიდის მცირე დოზა გახლდათ.

გასულ სეზონში იტალიის სერია A დიდმა გამოძიებამ მოიცვა. იყო ეჭვი, რომ მის ფეხბურთელებს შორის დოპინგი ფრიად გავრცელებულია, ხოლო მექსიკაში ეროვნული გუნდის ორი წევრი პაულო სეზარ ჩავესი და რაულ ლარა გასულ ივლისში გამოიჭირეს და ექვსი თვით ჩამოაშორეს მოედანს.

გაისად, მოგეხსენებათ, გარდა ევროპის ჩემპიონატისა კიდევ ერთი დიდი შეჯიბრება ტარდება — ოლიმპიადა. ფიფა დათანხმდა, რომ ოლიმპიადის დღეებში, პირველი და მეორე ეტაპების მატჩების შემდეგ დოპინგ კონტროლს თითოეული გუნდიდან თითო ფეხბურთელი გაივლის, ხოლო მეოთხედფინალებიდან ყოველ გუნდს ორი მოთამაშის შემოწმება ემუქრება.

გარდა მედიკამენტებთან დაკავშირებული საკითხებისა, უეფას სამედიცინო კომისიამ ჯანმრთელობის დაცვის სხვა ასპექტებზეც იზრუნა და განაცხადა, რომ საგანგებოდ აპირებს ევროპელ მსაჯებთან საუბარს, რომლის დროსაც მათ დეტალურად განუმარტავს, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ზურგსუკნიდან ბურთის ართმევის მცდელობები.

„შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ასეთი ორთაბრძოლების წინააღმდეგ შემოღებულ სანქციებს ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა, ხოლო აქილევსის მყესის ტრავმებმა ძველებურად შემაშინებელი მასშტაბები მიიღო“ — წერია განცხადებაში.

კიდევ, სამედიცინო კომისია აპირებს მსაჯებს განუმარტოს, რომ ფეხბურთელთა და მაყურებელთათვის ყინვიან ამინდსა და ზღვის დონიდან ძალიან მაღალ ადგილებში მატჩების გამართვა სახიფათოა.

გამოკვლევები ადასტურებს, რომ ყველაზე ჯან-ღონიანი მოთამაშეებიც კი ზღვის დონიდან 2800 მეტრზე თავიანთ შესაძლებლობებზე 15 პროცენტით ნაკლებს ავლენენ.

არ არის გამორიცხული, რომ ფიფამ მაღალმთიან ადგილებში ბურთაობის წინ სავალდებულო საკლიმატიზაციო პერიოდი დაადგინოს, თუმცა ამის თაობაზე კონკრეტულად არაფერი თქმულა.

REUTERS ბრიუსელიდან

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი, ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მიშელ დუგსა და გენერალურ მდივან იან პეეტერსთან ერთად ბრიუსელში, „მეფე ბოდუინის“ სტადიონზე

ბრაზილიური ფეხბურთის დიდი ვარსკვლავყოფილი ზიკო ცოტა ხნის წინ, რიო დე ჟანეიროს ვაუმეტესად ეკუთვნის დასვენება, მან ხომ „კაშიმა ანთლერზე“ იაპონური ნაბისკოს თასის ფინალში გაიყვანა.

ზიკო და სხვა ბრაზილიელები

ზიკომ მსოფლიოს სტადიონებზე ქუხილის შემდეგ ფეხბურთელის კარიერა 1994 წელს სწორედ „კაშიმა ანთლერზში“ დაასრულა და შემორჩა კიდეც კლუბს. დღეს იგი გენერალური მენეჯერი და დროებითი მწვრთნელია.

სწორედ მისი დროებითი ხელმძღვანელობით გაიკაფა „კაშიმა ანთლერზმა“ გზა ფინალისკენ. ნახევარფინალში ზიკოს ქვეშევრდომებს „ტოკიო“ შეხვდათ. საპასუხო თამაში ტოკიოში, ეროვნულ სტადიონზე გაიმართა. თავიდან მასპინძლები იგებდნენ 1:0-ს, მერე კი სტუმრებმა იყოჩაღეს და ანგარიში გაათანაბრეს. პირველი შეხვედრა „კაშიმას“ ჰქონდა მოგებული.

ფინალი 3 ნოემბერს გაიმართება, „კაშიმა ანთლერზის“ მეტოქე კი „კაშივა რეისოლი“ იქნება. „კაშივა რეისოლმა“ ნახევარფინალში „ნაგოია გრამპუს ეითი“ დაამარცხა.

46 წლის ზიკო რიოში დაისვენებს კიდეც და თავის ბიზნესსაც მიხედავს. წასვლამდე კი მან „ტოკიოსთან“ ნათამაშევი 1:1-ის გამო დაიბარა ორიოდ სიტყვა:

„ეს გახლდათ ტიპიური ნახევარფინალური შეხვედრა. ორივე გუნდი უტევდა. ფეხბურთელებმა გულშემატკივართათვის მრავალი თვალსაჩინო ეპიზოდი შექმნეს. ვინაიდან პირველი მატჩი მოგებული გვქონდა, საპასუხოს ფრედ დამთავრება ფინალში გასასვლელად სრულიად საკმარისი გამოდგა. სწორედ ამიტომაც, გოლი რომ გავუშვით პენიკას არ მივცემივართ, საკუთარი თავი არ დაგვიკარგავს და შესაბამისად, სასურველი შედეგით დავასრულეთ მატჩი“.

აღსანიშნავია, რომ „კაშიმა ანთლერზის“ ძლეული „ტოკიო“ 10-გუნდიანი მეორე დივიზიონიდანაა, სადაც მეორე ადგილზე გახლავთ. როგორც ჩანს, სეზონის ბოლოს იგი აუცილებლად აღზევდება უძლიერესთა შორის. „ტოკიომ“ ზიკოზე ფრიად კარგი შთაბეჭდილება დატოვა:

„ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგე ძლიერი იყო, რადგან „ტოკიომ“ ჩვენამდე უმაღლესი დივიზიონის სამი გუნდი გამოთიშა თასის გათამაშებიდან. მგონი, უძლიერესთა შორის იგი ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს“.

ეროვნულ სტადიონზე თამაშს 40 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ამ შეხვედრის ორიოდ ეპიზოდზე შეჩერება კი ცხადად დაგვანახებს, თუ რაოდენ დიდია ბრაზილიელ ფეხბურთელთა გავლენა ამომავალი მზის ქვეყანაში.

მასპინძლებმა ანგარიში ასე გახსნეს: ბრაზილიელმა ალმირმა საჯარიმოდან ბურთი კედელს მოარტყა, ტორუ კაბაურაგიმ კი შედეგიანად დაამატა. ეს 54-ე წუთზე მოხდა.

სტუმართა სასარგებლოდ ვითარება მას მერე შეიცვალა, რაც ზიკომ სათადარიგოთა სკამიდან ცნობილი თანამემამულე, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, „ფლამენგოდან“ შეძენილი მაზინიო წამოაყენა და მოედანზე შეუშვა. სწორედ მაზინიომ წამოიწყო თამაშის დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე კონტრშეტევა, რომლის შედეგად „კაშიმამ“ კუთხური მოინადირა. კუთხური ბისმარკმა — იგიც ბრაზილიელია — ჩააწოდა, ხოლო იაპონიის ნაკრების მცველმა, საფრანგეთი 98-ის მონაწილე იუტაკა აკიტამ გაწოლილი თავურით გაქვითა.

მეორე ნახევარფინალში „რეისოლმა“ პირველი შეხვედრა 3:1 მოიგო, მაგრამ სტუმრად 0:2 წააგო. — ერთი გოლი ბრაზილიელმა კარლოს ტორესმა შეაგდო — და საქმე დამატებით დრომდე მივიდა.

დამატებითი დრო ოქროს გოლამდე იყო და იგი „რეისოლმა“ შეაგდო.

დამარცხებულ „ნაგოიას“ იუგოსლავიელი დრაგან სტოიკოვიჩი აკლდა. იგი ნაკრებში, ხორვატებთან სათამაშოდაა გამოძახებული.

ისრაელის ექსჩემპიონს ახალი მფლობელი ჰყავს

ცნობილმა ფირმამ — „დაირექტ სატელიტ ბროადქასტინგმა“ ოფიციალურად აიღო პატრონაჟი ისრაელის საფეხბურთო ლიგის გუნდ „ბეითარ იერუსალიმზე“. კლუბის ოფიციალური განცხადებით, ისინი ახალი სპონსორისაგან წელიწადში საშუალოდ 6,5 მილიონ დოლარს მიიღებენ. ამ ფულის უმეტესი ნაწილი კლუბის ახალი ფეხბურთელებით გაძლიერებას და ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება.

„ბეითარი“ ისრაელში ერთ-ერთი პოპულარული გუნდია და ცნობილია თავისი გულშემატკივრებით, რომლებიც ყოველთვის მხურვალედ უჭერენ მხარს საკუთარ რჩეულს. იგი ახლა ცხრილის შუაში, მეშვიდე ადგილზე იმყოფება, თუმცა ეს პოზიცია, რა თქმა უნდა, მიუღებელია როგორც ხელმძღვანელობის, ისე ქომაგთათვის.

მთელი თავისი არსებობის ისტორიაში კლუბი ოთხჯერ იყო ისრაელის ჩემპიონი. ბოლოს მათ ეს 1998 შესძლეს, ხოლო ქვეყნის თასს ეს გუნდი 5-ჯერ ფლობდა. კლუბის ახალ მფლობელთა განცხადებით, ახლანდელი პრეზიდენტი შოშე დადაში საკუთარ პოსტზე მინიმუმ 2001 წლამდე დარჩება.

ავსტრია

მე-15 ტური. აუსტრია — ბრეგენცი 3:1; ლინცერი — ტიროლი 3:0; ლუსტენაუ — რიდი 0:1; ზალცბურგი — გრაცერი 1:0; შტურმი — რაპიდი 1:0

ტიროლი	15	11	0	4	27:15	33
რაპიდი	15	8	3	4	24:15	27
აუსტრია	15	8	3	4	23:16	27
შტურმი	15	7	4	4	23:11	25
რიდი	15	7	2	6	24:16	23
ზალცბურგი	15	6	3	6	13:14	21
გრაცერი	15	6	2	7	20:22	20
ლუსტენაუ	15	4	2	9	13:24	14
ლინცერი	15	3	3	9	16:25	12
ბრეგენცი	15	3	2	10	11:36	11

დანია

მე–11 ტური. სილკებორგი – ვიბორგი 1:1; კოპენჰაგენი – ჰერფიოლგე 0:1; ოლბორგი – აკადემისკი 2:2; ორჰუსი – ესბიერგი 2:1; ოდენსე – ბრონდბიუ 2:1; ლიუნგბიუ – ვაილე 5:1

ჰერფიოლგე	11	7	4	0	20:11	25
აკადემისკი	11	6	4	1	19:8	22
ბრონდბიუ	11	6	1	4	19:13	19
ოლბორგი	10	5	3	2	17:13	18
ვიბორგი	11	5	3	3	16:14	18
ლიუნგბიუ	11	5	1	5	18:14	16
სილკებორგი	11	4	3	4	18:10	15
კოპენჰაგენი	11	4	1	6	9:11	13
ოდენსე	11	2	5	4	10:15	11
ორჰუსი	11	2	3	6	10:18	9
ვაილე	11	1	5	5	10:23	8
ესბიერგი	10	1	1	8	7:23	4

ისევ: რეინჯერსი — სელტიკი

შოტლანდიის „სელტიკის“ პრეზიდენტმა გუშინწინ ჩრდილოატლანტიკური ლიგის შესაძლო შექმნის შესახებ განაცხადა. გამოხმაურებამაც არ დააყოვნა. „სელტიკის“ უპირველესი მეტოქის — „რეინჯერსის“ ხელმძღვანელობამ ეს გეგმა დაიწუნა.

კლუბის თავჯდომარემ, დეკიდ მიურეიმ თქვა: „მათ სურთ, შოტლანდიის ჩემპიონატი დატოვონ და ზუთი წლის განმავლობაში ეგრეთ წოდებულ ჩრდილოატლანტიკურ ლიგას შეუერთდნენ. ცხადია, „სელტიკს“ უფლება აქვს, თავად გადაწყვიტოს თავისი მომავალი. თუმცა მეეჭვება, აქედან რამე გამოვიდეს. მე მათ ვურჩევ, ჩემპიონთა ლიგაზე გაამახვილონ ყურადღება. შოტლანდია ის ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია ლიგის ფინალურ ეტაპზე ორი კლუბი გამოიყვანოს. ეს უდიდესი სტიმული იქნება არა მარტო „სელტიკისთვის“ არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა კლუბისთვის“.

მიურეიმ მაგალითად ედინბურგის „ჰართსი“ დაასახელა და ახსნა, თუ როგორ უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან შოტლანდიური კლუბები.

საქმე ისაა, რომ ეს კლუბი დათანხმდა, გადაედო 23 ოქტომბერს დანიშნული თავისი შეხვედრა „რეინჯერსთან“ და გლაზგოელებს საშუალება მიეცათ, ჩემპიონთა ლიგაში მიუნხენის „ბაიერნის“ წინააღმდეგ მატჩისთვის უკეთ მომზადებულიყვნენ.

„ჰართსს“ შეეძლო, მცირე უპირატესობა გამოეყენებინა. ჩვენ „ვალენსიასთან“ და „ბაიერნთან“ ურთულეს მატჩებს შორის გვიწევდა მასთან თამაში. მაგრამ ედინბურგელებმა ეს არ გააკეთეს. ისინი წინ იყურებიან. მათ ესმით, რომ რაც კარგია „რეინჯერსისთვის“, მთლიანად შოტლანდიური ფეხბურთისთვის იქნება სასარგებლო — თქვა მიურეიმ.

გიორგი დარჯანია

ბობი რობსონი არასდროს ღრიალებს

ცოტა ხნის წინ ლივერპულში, „გუდისონ პარკზე“, ჟურნალისტებმა ფეხბურთი გააჩაღეს. „ევერტონ XI“-მა „ლივერპულ XI-ს“ 4:2 მოუგო. იმ შეხვედრაში „ევერტონის“ მაისურით თვით პიტერ ბერდსლი თამაშობდა. პიტერ ბერდსლის დიდი გახსენება არ ჭირდება. ახლახანს იყო „ნიუკასლის“ შემადგენლობაში ბებერი რქებით რომ აწვებოდა მოწინააღმდეგეებს. გახსოვთ 1987 წელს „უემბლიზე“ ბრიტანეთის ნაკრები მსოფლიოს ვარსკვლავებს რომ ეთამაშა? მაშინ ბერდსლიმ კატეგორიულად განაცხადა, ან იმდენს მომცემთ მარადონას რომ დაპირდით, ანაც მოედანზე ფეხს არ შევდგამო.

გაიტანა თავისი...



პიტერ ბერდსლი

— „ნიუკასლს“ რამდენიმე დიდებული კვირა ჰქონდა, ხომ მართალია?

— გუნდმა მართლა კარგად თამაშა, მაგრამ სეზონის ბოლომდე ჯერ დიდი გზაა. ისე, მგონი ნავსი გატეხეს. უეფას თასის მატჩზე — სოფიის ცსკა-ს წინააღმდეგ — ბულგარეთში გახლდით და უნდა გითხრათ, რომ გუნდმა ძალიან, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. „ნიუკასლმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა, თუმცა იმასაც გულახდილად მოგახსენებთ, რომ სოფიელებმა უბრალოდ ცუდად ითამაშეს. სხვათა შორის, წინა საღამოს ვარჯიშსაც დავესწარი და ენახე როგორ მუშაობს ბობი რობსონი ნიუკასლელთა დაცვის გამოსასწორებლად.

— რობსონმა გუნდის არეული საქმეები აშკარად გამოასწორა. მან თქვენზე შთაბეჭდილება მოახდინა თუ თვლით, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ახალი ხელმძღვანელის ფაქტორია და მეტი არაფერი?

— საერთოდ რობსონი ჩემზე ორი რამით ახდენს შთაბეჭდილებას. ერთი, რომ მისი ხელმძღვანელობით მითამაშია და კარგად ვიცი რამხელა გაქანების მწვრთნელიცაა, მეორეც, ყოველთვის მოცებდა ნებისმიერ ადამიანთან ურთიერთობის მისეული უნარი. სულერთია ვინ დგას მის წინაშე, ჟურნალისტი, ფეხბურთელი თუ სხვა, იგი ყველას საოცრად ეპყრობა.

— „ნიუკასლის“ მწვრთნელად რობსონი რომ დანიშნეს გაგიხარდათ?

— ძალიან. მე თუ მკითხავთ იგი ორი წლის წინ უნდა დაენიშნათ, მაგრამ რაც იყო, იყო. დღეს გუნდში რობსონის მისვლა საუცხოო ამბავია. რუდი (გულიტი) რომ მოხსნეს ის ადგა და თქვა, „ნიუკასლის“ მწვრთნელის თანამდებობაზე დიდი ხანია ვოცნებობდიო. ამას რომ ამბობდა რობსონი აბსოლუტურად გულწრფელი გახლდათ. მას „ნიუკასლში“ საოცრად დახვდნენ, რასაც მერწმუნეთ, სრულიად იმსახურებს. ვიცი რასაც ვამბობ, მე ხომ დღემდე იქ ვცხოვრობ.

— არის შანსი, რომ თქვენ „ნიუკასლ იუნაიტედში“ რაიმე თანამდებობაზე დაბრუნდეთ?

— არ ვიცი. რობსონს დრო ჭირდება ირგვლივ ყველა და ყველაფერი რომ შეისწავლოს. მიმიწვევს თუ არა რაიმე თანამდებობაზე, ვერ გეტყვით. მე კი ძალიან გამიხარდებოდა, მაგრამ

— თქვენი აზრით მასზე ძალიან იმოქმედა ბოლო დროინდელმა ამბებმა?

— მართალი გითხრათ „ნიუკასლში“ ამ ამბებმა ყველაზე იმოქმედა. რაც შეეხება შირერს, იგი თავდამსხმელია და ცხადია, თუ სხვა ფეხბურთელები ვერ მოემსახურნენ, პრობლემები შეექმნება, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მომენტების გამოყენების კოეფიციენტით მსოფლიოში საუკეთესოა.

— კიერონ დაიერზე რას ფიქრობთ?

— ყველას ჰგონია, რომ იგი კარგი ფეხბურთელია, მე კი ვთვლი, რომ უფრო მეტია ვიდრე კარგი ფეხბურთელი. დაიერს ყველგან შეუძლია თამაში, საოცარი ძრავი უდგას. ინგლისის ნაკრებში განაპირა მცველობა დაავალეს, რასაც საუცხოოდ გაართვა თავი. ვიცი, ლუქსემბურგი არ იყო ის მეტოქე, რომელსაც კარგი შემოწმება შეუძლია, მაგრამ დაიერ[illegible] ნზე თამაშობს, ფაქტია.

— და ბოლ რობსონ?

— კარგი მოთამაშე [illegible] ვად ჩამოწერეს. ვეჭვობ მისი საქმე უკვე დამთავრებული იყოს. დრო ჯერ ბევრი აქვს.

— თავის დროზე ბობი რობსონის ხელმძღვანელობით თამაშმა, როგორც თავდამსხმელს, რა შეგძინათ?

— რობსონი ძალიან, ძალიან ძლიერი მწვრთნელია. ფორვარდებს, მე, გარი ლინეკერს და სხვებს, ყოველთვის საკუთარი თავის რწმენას გვმატებდა. თავდამსხმელი გუნდის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. თამაში რომ დამთავრდება თუ მან გოლები ვერ გაიტანა, ესე იგი გუნდმა ვერ მოიგო. რობსონმა ყოველთვის იცის რასაც აკეთებს და რაც ძალიან მთავარია არასდროს ღრიალებს... ყოველ შემთხვევაში ჩემს დროს არ ღრიალებდა.

— ინდივიდუალურად თუ მუშაობდა თქვენთან?

— იცით, ინგლისის ნაკრების მწვრთნელს ფეხბურთელებთან ინდივიდუალური მუშაობისთვის დრო არა აქვს. ჩემს დროს ნაკრებს სულ სამ დღეს აძლევდნენ მოსამზადებლად. დღეს ეს ვადა ექვს დღემდეა გაზრდილი. მაშინ პროფესიონალ ფეხბურთელს კვირაში ორი თამაში უწევდა და ამიტომ, როდესაც ნაკრებში გვიძახებდნენ ძირითადად ტაქტიკაზე ვმუშაობდით.

— რობსონი ევროპაში აშკარად წარმატებული მწვრთნელია. ნაკრების გარდა იგი უცხოურ კლუბებშიც მუშაობდა და ამიტომ გეკითხებით: როგორ გგონიათ, უეფას თასზე რამდენ ეტაპს გაივლის „ნიუკასლ იუნაიტედი“?

— იცით, უეფას თასზე რამდენიმე ძალიან კარგი გუნდი თამაშობს და ამიტომ ბევრი რამ კენჭისყრაზე იქნება დამოკიდებული. ისიც ფაქტია, რომ რომელიმე ეტაპზე აუცილებლად გადაეყრება რომელიმე „დიდ ბიჭს“. მოკლედ ილბალი აუცილებელია, მაგრამ თუ „ნიუკასლი“ ისე ითამაშებს, როგორც სოფიაში, მაშინ შანსი აშკარად დიდი ექნება.

365-დან თარგმნა
პაპუნა კედია

ედმუნდიანა გრძელდება

ედმუნდო, ბრაზილიური ფეხბურთის ცნობილი, ნიჭიერი და სკანდალური გარსკვლავი, ეტყობა, ოთხშაბათს დათვრა. თუმცა ჯერჯერობით ვერ გაანდობს თავის დარდს ცეცხლოვან სითხეს, ვინაიდან წინასწარი განზრახვის გარეშე მკვლელობისთვის ოთწელიწადნახევარს უსჯიან.

„ვასკუ და გამას“ თავდამსხმელი, შემდეგ, რიო დე ჟანეიროს პოლიციის განყოფილებაში გამოცხადდა, წინა დღეს კი სასამართლომ ზემოხსენებული სასჯელი დაუდგინა.

გუშინაც ვწერდით, რომ პოლიცია ედმუნდოს ეძებდა. სამშაბათის სასამართლო პროცესის მერე იგი ვერსად იპოვეს, საკუთარი ბინიდანაც გამქრალიყო. დღეს კი ტელეარხები იმეორებენ კადრს, როგორ შედის 28 წლის ვარსკვლავი პოლიციის განყოფილებაში თავისი ნახევარსასჯელის მოსახდელად. მოგეხსენებათ, ვერდიქტის თანახმად, იგი დღისით თავისუფალია, ღამე კი უეჭველად ციხეში უნდა გაათენოს.

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ედმუნდოს შეუძლია კარიერა არ შეწყვიტოს, თუმცა იმ დღეებში, როდესაც „ვასკუ“ სტუმრად ითამაშებს, მას საგანგებო ნებართვის აღება დასჭირდება, რათა ციხეში სავალდებულოზე გვიან დაბრუნდეს.

თავდამსხმელის ადვოკატმა არტურ ლავინემ ჟურნალისტებს უთხრა, რომ მის კლიენტს არანაირი შეღავათი არ ექნება, ანუ ღამღამობით ცალკე საკანში არავინ მოათავსებს, დანარჩენ პატიმრებთან ერთად იქნება.

დანაშაულის შესახებ თავშივე იმიტომ არ გაცნობეთ, რომ იგი ისედაც კარგადაა ცნობილი. 1995 წელს ედმუნდო, სრულად კი ედმუნდო ალვეშ დე სოუზა ნეტო, მართავდა ერთ-ერთს იმ ორი მანქანიდან, რომელთაც ავარია შეემთხვათ. სამი ადამიანი დაიღუპა, ხოლო თავად ფეხბურთელი იოლად გამოვიდა.

დღეს ალვეშ დე სოუზა ნეტოს ადვოკატები უმაღლეს სასამართლოში წარსადგენ აპელაციას ამზადებენ. მათი მიზანია, პატიმრობა საზოგადოებრივი სასჯელით შეცვალონ. თუ ეს შეძლეს, მაშინ ფეხბურთელი ციხეში ჯდომის ნაცვლად, ვთქვათ, ქუჩაში ასფალტს დააგებს ან სულაც ბავშვთა სკოლაში ფეხბურთის უფასო გაკვეთილებს ჩაატარებს.

ედმუნდო პოლიციაში თავისი ფეხით მივიდა

დღეს ედმუნდო ბრაზილიური ფეხბურთის დიდ ვარსკვლავადაა შერაცხული და საყოველთაო აზრით, ნებისმიერი შეხვედრის მოგება ცალი ხელით თუ ფეხით შეუძლია. მის ნიჭს მართლაც ვერავინ უარყოფს, მაგრამ ცხოვრებაში ანუ როგორც მოედანზე, ისე მის გარეთ გაუწონასწორებელი პიროვნება რომ არის, ესეც ფაქტია. ათასი რამ გადახდენია ღამის პატიმარს, უჩხუბია თანაგუნდელებთან, მეტოქეებთან, მწვრთნელებთან... გაძევებებზე ხომ აღარაფერს ვამბობთ.

„ვასკუ და გამაში“ ჩვენი წერილის გმირი ივნისში დაბრუნდა, მანამდე კი 18 თვის განმავლობაში იტალიურ „ფიორენტინაში“ თავადაც წვალობდა და სხვებსაც აწვალებდა. გეხსომებათ, რიოს კარნავალზე რომ ჩავიდა შუა სეზონში, გუნდი მიატოვა, იმიტომ, რომ სამშობლოში წაქეიფება მოუნდა. არადა, „ფიორენტინა“ იტალიის ჩემპიონის ტიტულისთვის აპირებდა ბრძოლას...

ეკვადორში იყო ასეთი შემთხვევა: ლიბერტადორესის თასის ერთ-ერთი მატჩის ბოლოს ტელეკამერა დალეწა, რისთვისაც სასტუმროში ერთკვირიანი „შინაპატიმრობა“ მოუხდა.

რიო დე ჟანეიროში ძაღლების ბრძოლებზეც ხშირად უნახავთ...

გუშინაც ვწერდით, რომ ორიოდ კვირის წინ ჩვენმა დე სოუზა ნეტომ შიმპანზე დაათრო საკუთარი შვილის დაბადების დღეზე.

გასულ კვირას, ინტერვიუში, „ფლამენგოს“ ფეხბურთელები ისე აღწერა, რომ პატივცემული ტელეაუდიტორია ყურებში თითს იცობდა. ეს მატჩისშემდგომი შეფასების მისეული ვარიანტი გახლდათ.

ნაკრებში რეგულარულად რომ არ იწვევენ, ედმუნდომ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. 1994 წელს იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე სულაც არ წაიყვანეს, ხოლო 1998-ში სულ ორჯერ წამოაყენეს სათადარიგოთა სკამიდან.

მიხეილ სურგულაძე

რა შუაშია შეთქმულება?!

ალან შირერმა ხელები გაშალა, ჩემგან რა გინდათ, „ნიუკასლის“ მწვრთნელობიდან რუუდ გულიტის გაგდებაში მთავარი როლი სულაც არ მითამაშიაო.

ჰოლანდიელი მწვრთნელი საშინელი შედეგების გამო წავიდა და არა მოთამაშეთა შეთქმულების გამო, უთხრა ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ჟურნალისტებს.

გულიტმა შირერი სათადარიგოთა სკამზე დასვა, ეს კი მკრეხელობა იყო, ყოველ შემთხვევაში, ნიუკასლში...

„სულაც არ ვფიქრობ, რომ რუდი ფეხბურთელების გამო გაათავისუფლეს თანამდებობიდან. ჩვენ საძაგელი შედეგები გვქონდა და მწვრთნელის გაშვებაც ამიტომ გადაწყვიტეს, თან მოთამაშეებმა კი არა, კლუბის თავმჯდომარემ ან ვილაცამ იქ, ხელმძღვანელობაში“ — ასე ლაპარაკობს შირერი, რომელმაც როგორც კი გულიტი წავიდა და მის ნაცვლად ბობი რობსონი შეუდგა საქმეს, გოლის გოლზე გატანა დაიწყო.

„ვითარება, რომელიც ჩვენს გუნდში შეიქმნა, აუცილებლად უნდა შეცვლილიყო“ — ეს სიტყვები კი ფორვარდმა გაზეთ „სანის“ კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა.

იქნებ შირერი იტყუება კიდეც, იქნებ გულიტის გაგდებაში რაღაც როლი მართლაც ითამაშა. ყოველ შემთხვევაში, იგი არ მალავს, რომ როდესაც ჰოლანდიელმა „სანდერლენდთან“ თამაშის წინ გუნდის შემადგენლობა დაასახელა და იგი სათადარიგოთა შორის მოიხსენია, კინაღამ ჭკუაზე გადავიდა.

„ცხოვრებაში არ დავუტოვებივართ სათადარიგოთა სკამზე. ამიტომაც, როდესაც შევიტყვე, რომ ისეთ პრინციპულ შეხვედრაში, „სანდერლენდთან“ რომ იყო, ძირითად შემადგენლობაში არ ვიყავი, დამიჯერეთ, კინაღამ შოკში ჩავვარდი. მე ამას არ ვიმსახურებდი. მიუხედავად ამისა, მსურს ხაზი გავუსვა, რომ იმ დღეს კრინტიც არ დამიძრავს, წავედი და ჩემთვის გამოყოფილ ადგილზე დავჯექი, მეორე დღეს კი ველაპარაკე მწვრთნელს, ვკითხე, რატომ მოიქცა ასე. მან მიპასუხა, რომ ძირითადში თამაშის ღირსი არ ვიყავი, რაშიც არ დავეთანხმე და ვუთხარი, რომ ასეთი დამოკიდებულება არ მომწონს. აქაც მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ საუბრის დროს აბსოლუტურად კორექტული ვიყავი“.

შირერი დარწმუნებულია, რომ ნებისმიერი თავმოყვარე პროფესიონალი მის ადგილზე სწორედ ასე, ღირსეულად მოიქცეოდა.

„მწვრთნელს, რასაკვირველია, ჰქონდა თავისი მოსაზრებები ჩემს სათადარიგოთა სკამზე დასატოვებლად. მაგრამ ამ მოსაზრებათა გამო იგი დაისაჯა. შემადგენლობას რომ არჩევდა, ფიქრობდა თამაშის მოგების საუკეთესო მექანიზმს მივაგენიო, არადა იმ საღამოს „ნიუკასლმა“ წააგო...“

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

სამშაბათიდან, 12 ოქტომბრიდან „კროკოს“ მთავარი ოფისი ფურცელაძის ქუჩაზე (კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში) იმუშავებს 11⁰⁰ საათიდან 18⁰⁰ საათამდე

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

9 ოქტომბერი

503	უელსი — შვეიცარია	3,0	3,1	2,1
504	ბელარუსი — იტალია	8,0	3,3	1,4
505	ალბანეთი — საქართველო	ანგარიში — 5,0		
506	ლატვია — ნორვეგია	4,2	2,9	1,8
507	სლოვენია — საბერძნეთი	2,0	2,8	3,5
508	გერმანია — თურქეთი	1,35	3,5	8,0
509	ფინეთი — ჩრდ. ირლანდია	1,7	2,9	5,0
510	ანდორა — სომხეთი	3,6	2,9	1,9
511	საფრანგეთი — ისლანდია	1,15	5,6	10,0
	0:2	1,6	3,5	3,0
512	რუსეთი — უკრაინა	1,8	2,9	4,2
513	შვედეთი — პოლონეთი	1,8	2,7	4,7
514	აზერბაიჯანი — სლოვაკეთი	4,7	3,0	1,7
515	ლიხტენშტაინი — რუმინეთი	14,0	8,0	1,05
516	პორტუგალია — უნგრეთი	1,05	8,0	14,0
517	მაკედონია — ირლანდია	5,6	3,4	1,5
518	ხორვატია — იუგოსლავია	2,0	2,8	3,5
519	შოტლანდია — ლიტვა	1,35	3,8	7,0
	0:1	2,0	3,0	2,4
520	ჩეხეთი — ფარერები	1,05	8,0	14,0
	0:3	1,6	3,3	3,4
521	ესტონეთი — ბოსნია	1,9	2,8	3,8

10 ოქტომბერი

522	ბულგარეთი — ლუქსემბურგი	1,1	6,0	12,0
	0:3	1,6	3,5	3,0
523	ესპანეთი — ისრაელი	1,25	5,3	6,0
524	ავსტრია — კვიპროსი	1,6	3,8	3,8

ამხანაგური მატჩები

9 ოქტომბერი

525	ჰოლანდია — ბრაზილია	2,8	2,9	2,3

10 ოქტომბერი

526	ინგლისი — ბელგია	1,35	3,8	7,0
	0:1	1,9	3,4	2,4
527	დანია — ირანი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

ინგლისი. I დივიზიონი. XI ტური

8 ოქტომბერი

022	უოლსოლი — ბირმინგემი	4,0	3,0	1,8

9 ოქტომბერი

023	ქრიუ — შეფილდი	2,2	2,8	3,1
024	ჰადერსფილდი — პორტ ვეილი	1,5	3,4	5,6
025	ქუინზ პარკი — ტრანმერი	1,9	2,9	3,6
026	სუინდონი — სტოკპორტი	2,4	2,8	2,7
027	ვულვერჰემპტონი — ბოლტონი	2,1	2,9	3,2

ინგლისი. II დივიზიონი. XI ტური

9 ოქტომბერი

028	როვერსი — კარდიფი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
029	ბერი — ნოტსი	1,9	2,8	3,8
030	ჩესტერფილდი — ბლეკპული	1,7	3,0	4,7
031	ჯილინგემი — რექსემი	1,8	3,0	4,0
032	ოლდემი — ლუტონი	3,4	2,9	2,0
033	ოქსფორდი — მილუოლი	1,9	2,9	3,6
034	პრესტონი — ბრისტოლი	1,9	2,9	3,6
035	სტოკი — რედინგი	1,35	3,8	7,0
	0:1	1,9	3,5	2,4
036	უიკომბი — კემბრიჯი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3

10 ოქტომბერი

037	ბარნლი — სკანთორპი (17⁰⁰)	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

ინგლისი. III დივიზიონი. XI ტური

9 ოქტომბერი

038	ბარნეტი — როჩდეილი	1,9	2,9	3,6
039	კარლაისლი — ბრაიტონი	2,0	2,9	3,4
040	ჩელტენემი — საუთენდი	2,7	2,8	2,4
041	ჰარტლპული — ჰალი	2,0	2,9	3,4
042	ლინკოლნი — დარლინგტონი	2,6	2,9	2,4
043	მაკლსფილდი — ჰალიფაქსი	2,3	2,9	2,8
044	ნორთჰემპტონი — ტორკი	2,0	2,9	3,4
045	პიტერბრო — ჩესტერი	1,2	5,0	9,0
	0:1	1,7	3,2	3,2
046	პლიმუთი — მენსფილდი	1,7	3,1	4,4
047	შრიუსბერი — ექსეტერი	2,4	2,8	2,7
048	იორკი — ლეიტონი	2,0	2,9	3,4

საფრანგეთი. II დივიზიონი. XIII ტური

8 ოქტომბერი

049	ნიორი — ნიმი	2,9	2,8	2,3
050	ლე მანი — ლავალი	1,8	2,8	4,4
051	კაენი — გინგამი	1,9	2,8	3,8
052	კანი — ამიენი	1,9	2,8	3,8
053	ვალანსი — ლილი	3,8	2,8	1,9
054	ლუანი — შატორუ	2,2	2,8	3,1
055	ტულუზი — აიაჩო	1,6	2,9	6,0
056	ვასკეალი — ნიცა	2,2	2,8	3,1
057	კრეტეი — გენიონი	2,4	2,8	2,7

იტალია. სერია B. VII ტური

8 ოქტომბერი

058	მონცა — ბრეშა	3,0	2,7	2,3

10 ოქტომბერი

059	ალბანო — სალერნიტანა	2,4	2,7	2,8
060	კოზენცა — ჯენოა	2,3	2,7	3,0
061	ფერმანა — საკოია	2,6	2,7	2,6
062	ნაპოლი — კიევო	1,5	3,0	7,5
063	პესკარა — ტრევიზო	1,6	2,7	7,0
064	რავენა — ვიჩენცა	2,6	2,7	2,6
065	სამპდორია — ატალანტა	2,1	2,7	3,4
066	ტერნანა — ჩეზენა	1,7	2,7	5,6

11 ოქტომბერი

067	პისტოიეზე — ემპოლი	2,5	2,7	2,7

იტალია. სერია C1A. VI ტური

10 ოქტომბერი

068	ალბინოლეფე — მოდენა	2,4	2,7	2,8
069	კრემონეზე — კომო	2,3	2,7	3,0
070	ლეკო — ლივორნო	2,4	2,7	2,8
071	ლუკეზე — ბრეშელო	1,6	2,8	6,5
072	პიზა — ჩიტადელა	2,8	2,7	2,4
073	რეჯანა — მონტევარკი	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
074	სანდონა — ვარეზე	2,2	2,7	3,2
075	სიენა — ლუმეცანე	1,9	2,7	4,0
076	სპალ — კარარეზე	1,8	2,7	4,7

იტალია. სერია C1B. VI ტური

10 ოქტომბერი

077	არეცო — კატანია	2,0	2,7	3,6
078	ატლეტიკო — პალერმო	3,4	2,7	2,1
079	აველინო — კროტონე	2,2	2,7	3,2
080	ბენევენტო — ჯულიანოვა	2,2	2,7	3,2
081	დი სანგრო — ასკოლი	1,8	2,7	4,7
082	ფ. ანდრია — ნოჩერინა	1,9	2,7	4,0
083	გუალდო — სტაბია	2,3	2,7	3,0
084	მარსალა — ლოდიჯანი	2,6	2,7	2,6
085	ვიტერბეზე — ანკონა	2,4	2,7	2,8

ესპანეთი. II დივიზიონი. VIII ტური

9 ოქტომბერი

086	ვილიარეალი — ესტრემადურა	2,4	2,8	2,7
087	ლევანტე — ელჩე	1,8	2,8	4,4
088	ტენერიფე — ეიბარი	1,6	2,9	6,0
089	სპორტინგი — ხეტაფე	1,4	3,5	7,0
	0:1	2,0	3,2	2,3
090	უელვა — ბადახოსი	1,9	2,8	3,8
091	ტოლედო — ალბასეტე	2,3	2,8	2,9
092	ატლეტიკო B — ლეიდა	2,0	2,9	3,4

10 ოქტომბერი

093	მერიდა — სალამანკა	2,4	2,8	2,7
094	ლეგანესი — ლოგრონიესი	2,5	2,8	2,6
095	ოსასუნა — ლას პალმასი	2,2	2,9	3,0
096	კომპოსტელა — კორდობა	1,6	2,8	6,5

ჰოლანდია. XIII ტური

10 ოქტომბერი

097	სპარტა — როდა	3,0	2,9	2,2

11 ოქტომბერი

098	გრააფსხაპი — მაასტრიხტი	1,8	2,9	4,2

შვეიცარია. გადადებული მატჩი

11 ოქტომბერი

103	ლოზანა — დელემონი	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6

პოლონეთი. ლიგის თასის მეოთხედფინალი. II წრე

8 ოქტომბერი

099	ვისლა — პოლონია	1,9	2,9	3,6
100	გურნიკი — ოდრა	1,5	3,3	6,0

10 ოქტომბერი

101	ლეგია — ლკს	1,3	4,0	7,5
	0:1	1,9	3,2	2,6
102	პოგონი — პლოცკი	1,8	2,9	4,2

ჰოკეი. NHL

8 ოქტომბერი

832	ბუფალო — ვაშინგტონი	1,5	4,4	3,0
833	რეინჯერსი — კაროლინა	1,8	4,4	2,2
834	პიტსბურგი — კოლორადო	1,9	4,4	2,1
835	ჩიკაგო — ფინიქსი	2,0	4,4	2,0
836	კალგარი — მონრეალი	1,9	4,4	2,1
837	ანაჰაიმი — დალასი	2,1	4,4	1,9

9 ოქტომბერი

838	ბოსტონი — ფილადელფია	2,0	4,4	2,0
839	ოტავა — ტორონტო	1,8	4,4	2,2
840	ვაშინგტონი — ლოს ანჯელესი	1,8	4,4	2,2
841	ატლანტა — ბუფალო	2,4	4,4	1,7
842	ნიუ ჯერსი — ტამპა ბეი	1,2	4,4	5,0
843	ფლორიდა — დეტროიტი	2,1	4,4	1,9
844	ედმონტონი — სენტ ლუისი	1,9	4,4	2,1
845	სან ხოსე — დალასი	2,4	4,4	1,7
846	ვანკუვერი — მონრეალი	1,8	4,4	2,2

10 ოქტომბერი

847	აილენდერსი — კოლორადო	2,2	4,4	1,8
848	რეინჯერსი — ფინიქსი	2,0	4,4	2,0
849	ჩიკაგო — ნეშვილი	1,6	4,4	2,7

11 ოქტომბერი

850	ბოსტონი — კოლორადო	2,0	4,4	2,0
851	ოტავა — ნიუ ჯერსი	1,9	4,4	2,1
852	კალგარი — კაროლინა	1,9	4,4	2,1
853	ბუფალო — ფინიქსი	1,6	4,4	2,7
854	ანაჰაიმი — სან ხოსე	1,6	4,4	2,7
855	ტორონტო — ნეშვილი	1,2	4,4	5,0
856	აილენდერსი — რეინჯერსი	2,1	4,4	1,9

რაგბი. მსოფლიოს თასი. II ტური.

8 ოქტომბერი

857	შოტლანდია — ურუგვაი	1,02	7,0	14,0
	0:50	1,7	15,0	1,7
858	საფრანგეთი — ნამიბია	1,01	7,0	20,0
	0:60	1,7	15,0	1,7

9 ოქტომბერი

859	ფიჯი — კანადა (16³⁰)	1,4	7,0	2,5
860	უელსი — იაპონია	1,01	7,0	20,0
	0:40	1,7	15,0	1,7
861	ინგლისი — ახალი ზელანდია	2,5	7,0	1,4
862	აშშ — რუმინეთი	1,8	7,0	1,7

10 ოქტომბერი

863	არგენტინა — სამოა (17⁰⁰)	2,2	7,0	1,5
864	ირლანდია — ავსტრალია	5,6	7,0	1,1
865	სამხრეთ აფრიკა — ესპანეთი	1,01	7,0	20,0
	0:70	1,7	15,0	1,7
866	იტალია — ტონგა	2,2	7,0	1,5

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.

რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.

გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა 23

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რეფერენდუმი

საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

სამი კითხვა ლაურეატს

1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.

2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?

3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲡᲐᲦᲐᲠᲐᲫᲔ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

დაიბადა 1939 წლის 21 მარტს თბილისში. სპორტის დაჩსახურებული ოსტატი. სსრკ საძგზის ჩემპიონი (1964-66), ევროცხლისა (1967) და ბრინჯაოს (1968) მედლის მფლობელი, ევროპის ჩემპიონატის (1968) ბრინჯაოს პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონი (1963, 65) და ევროპა-ჩემპიონი (1966, 67). ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების (1964) ვერცხლის მედალოსანი

1. 1963 წელს ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში პირველად გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი. ეს იყო ჩემს კარიერაში ყველაზე სასიხარულო მოვლენა. ყველაზე საშფუხარო კი 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიადა. იქ ფინალურ ჯგუფში ფრედ დავამთავრე შეხვედრა თურქ ისმაილ ოკანთან, მაგრამ გამარჯვება მას მიენიჭა, რადგან ჩემზე 700 გრამით მსუბუქი აღმოჩნდა. არადა, თურქი ტანგაქონილი მეჭიდავა. ამან ოქროს მედალი დამაკარგვინა და მეორე ადგილზე გავედი. ეს წყენა დღემდე მომყვება.

2. უნდა აღორძინდეს მრეწველობა. საქართველოს ეს გადაარჩენს. მრეწველობის აღდგენა ეკონომიკასაც აყყავებს. მაშინ სახელმწიფო სპორტისთვისაც მოიცლის და სხვა სფეროებისთვისაც. ამ პროცესს ალტერნატივა არა აქვს.

3. გივი კარტოზია, რომან რურუა, ლევან თედიაშვილი
ნონა გაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია





ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲦᲔᲡ ᲠᲘᲜᲒᲖᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲘᲐᲜ: ᲛᲐᲠᲙ ᲘᲐᲜᲒᲘ, ᲠᲔᲤᲔᲠᲘ ᲟᲐᲜ ᲞᲝᲚ ᲚᲘᲔᲒᲚᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘ

ქართველები და სხვანი
დღეს უნდა ვიჩხუბოთ!



ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲚᲘᲐᲕᲐᲫᲔᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲙᲝᲑᲐ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

ᲓᲦᲔᲡ კრივის ქართველ გურმანებს პროფესიული კრივის დაჭამნიკების კარგი შესაძლებლობა ეძლევათ. თბილისში შეკრებილან ევროპულ პროფთა მაღალჩინოსნები, მენეჯერები, მწვრთნელები და, ცხადია, დღევანდელი საღამოს მთავარი მოქმედი პირნი — ქართველი პროფესიონალი მოკრივეები — გიორგი კანდელაკი, კობა გოგოლაძე, რამაზ ბებნაძე და მათი მეტოქეები. გვწვევია კრივის სამყაროში სახელდაგდებული ბრიტანელი მენეჯერი ფრენკ მელოუნიც, ჩვენებურთა დამკვალიანებელი და ბრძოლების მომწყობი. გუშინ უცხოელი სტუმრები საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციის პრეზიდენტმა ვახტანგ ყანჩაველმა, კობა გოგოლაძის მენეჯერმა მამუკა წიკლაურმა და ნოდარ ექვთიმიშვილმა სასტუმრო „აჭარის“ საპრესკონფერენციო დარბაზში წარგვიდგნეს ქართველ ჟურნალისტებს.

პირველი სიტყვა ნოდარ ექვთიმიშვილმა წარმოთქვა. შარშანდელ 11 ოქტომბერს სპორტის სასახლეში გამართული სანახაობის მსგავსად, მაყურებელი კრივთან ერთად საბრძოლო ხელოვნება „რინგსის“ ათლეტებსაც იხილავს, მუშტის ძალას ცნობილი მკლავჭიდელი ზაურ ცხადაძეც გვიჩვენებსო — დასძინა ექვთიმიშვილმა და მერე ბულასავით დაბღვერილ ზანგზე მიგვანიშნა, ეს შავი კაცი 33 წლის ამერიკელი მარკ იანგია, რომელსაც პროფესიულ რინგზე 52 ბრძოლა გაუმართავს, აქედან კი 41 ნოკაუტით მოუგია, თავის დროზე თვით ჯორჯ ფორმენთან და მაიკ ტაისონთან უჩხუბია და არცთუ ურიგოდო. ამერიკელის თბილისში სტუმრობის მიზეზი, ცხადია, გამოიცანით: იგი გიორგი კანდელაკის მეტოქეა და რა ბიჭიცაა, მასთან ბრძოლაში უნდა დაამტკიცოს.

ისე, ფრენკ მელოუნს თუ ვენდობით, იანგი საკმაოდ ძლიერი მეტოქეა და ამიტომაც კანდელაკი ამერიკაში ლენოქს ლუისის საწვრთნელ ბანაკში საგანგებოდ მოემზადა. ერთიცაა, დღევანდელ შეხვედრას სულ სხვა ეშხი აქვს: კანდელაკ — იანგის ბრძოლა „ინტერკონტინენტალის მსოფლიოს ჩემპიონის“ პრეტენდენტის სახელის მოსაპოვებლად დანიშნული მატჩია.

გიორგიმ ჟურნალისტებიც და ქომაგებიც დაგვაიმედა, მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ, ოღონდ ეგაა, ცოტა ფეხი მტკივა, ამერიკაში ლენოქს ლუისს კალათბურთში გავეჯიბრე, მოვუგე, მაგრამ ფეხი დავიზიანეო.

ახლა კობა გოგოლაძესა და რამაზ ბებნაძეზეც ვოქვათ.

კობას მეტოქედ ერგო ვადიმ გაბრიელიანი რუსეთიდან. ამ სანკტპეტერბურგელ ჯეელს 10 პროფესიული შერკინებიდან მხოლოდ სამჯერ დაუტოვებია რინგი დამარცხებულს, გოგოლაძე კი თავის მესამე შეხვედრას ატარებს. წინა ორში, გეხსომებათ, ნოკაუტებით იმარჯვა და, რაღა შინ შევირცხვენ თავსო, დაგვაიმედა. კობა ამ ხნის მანძილზე მამუკა წიკლაურის მეთვალყურეობით თბილისის „დინამოს“ დიღმის ბაზაზე ვარჯიშობდა. ერთი შეხედვითაც ჩანს, ჩინებულ ფორმაშია.

რამაზ ბებნაძეს ესტონელ სერგეი ტასიმოვთან ეჭნება საქმე. ბალტიისპირელიც, ჩვენებურის მსგავსად, ახალბედა პროფია, სულ ორჯერ უჩხუბია, მაგრამ ორჯერვე დაუმარცხებია მეტოქე.

ასე რომ, ვისაც კრივი მოგენატრათ და თანაც არც უწესო ბრძოლას უყურებთ გულგრილად, საღამოს ექვს საათზე გელით სპორტის სასახლე.

ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

საუკუნეში ერთხელ!

19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ
ᲓᲘᲓ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ XX ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ, ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ, ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲗᲐ

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲮᲓᲔᲑᲐ!

19 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, 17 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐᲨᲘ!

გეძლევათ შანსი, მოხვდეთ სპორტის ვარსკვლავთა საუკუნოვან ზეიმზე, დააწესოთ ბრიზი და მთელი საქართველოს თვალწინ გადასცეთ თქვენს რჩეულს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 99-08-22, 99-94-09

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ ᲤᲘᲚᲘ ᲒᲐᲖᲗᲘ ᲡᲕᲝᲑᲝᲓᲜᲐᲯᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ Fortuna ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ ᲠᲘᲗᲛᲘᲜᲘ СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ Ayety TV ᲐᲚᲘᲐ

დამთავრებული პიესა იანასთვის

ბაზელი. შვეიცარიის დარბაზის ღია პირველობა. ხალიჩა. საპრიზო 1 მილიონი $

მრავლისმნახველ ანდრე აგასის ჯერ არ ახსოვს მის პირად ცხოვრებაში ვინმეს ისე ჩაეყოს ცხვირი, როგორც ახლა, ჩოგბურთის ყოფილ სუპერვარსკვლავ შტეფი გრაფთან სასიყვარულო რომანის გამოააშკარავების შემდეგ.

ხოტორა ამერიკელი პაპარაცებს ვერც გერმანიისა და საფრანგეთის საზღვართან მდებარე ბაზელში დაემალა. შვეიცარიის ყველაზე დიდმა ბულვარულმა გაზეთმა „ბლიკმა", მაგალითად, სამშაბათს თავის მკითხველებს აუწყა, სად ისადილა ანდრემ, რა მიირთვა (ქათმის ფრთები) და ვისთან ერთად (არა გრაფთან).

„ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ამბებს ჩვეული ვარ — შეიცხადა პრესკონფერენციაზე ანდრემ, რომელსაც ერთმა ჟურნალისტმა ურჩია, დაქორწინდით და მოისვენებთო — ცოლი იმიტომ მოვიყვანო, რომ ზეწოლა მოვიხსნა? თქვენ გგონიათ, პრობლემებს მართლა დაქორწინება მომიხსნის?"

მართლაც, 70-იან წლებში კრის ევერტისა და ჯიმი კონორსის რომანის შემდეგ ჩოგბურთელთა პირადი ურთიერთობებისთვის ამდენი ყურადღება არასოდეს დაუთმიათ, ყველას აინტერესებს, რა ხდება ბოლო ათწლეულის ორ უპოპულარულეს მოთამაშეს შორის. ცეცხლზე ნავთს ისიც ასხამს, რომ შტეფი საერთოდ უარობს პრესასთან შეხვედრას, აგასი კი ყოველნაირად ცდილობს, ზედმეტი არაფერი წამოსცდეს და რაც შეიძლება, ბუნდოვნად უპასუხოს კითხვებს.

„ეს წარმოუდგენელია, მგონია, სიზმარში ვარ — გაიღიმა ანდრემ, როდესაც თავისი ცხოვრების აღწერა სთხოვეს — თუ გავიღვიძებ, შევეცდები, ისევ დავიძინო".

აგასიმ პრესკონფერენციაზეც ისეთივე მოხერხებულობა და სხარტი აზროვნება გამოავლინა, როგორც კორტზე, სასიყვარულო რომანის შესახებ როგორღაც ყველა მწველი კითხვა აიცილა, თანაც გრაფის სახელი ერთხელაც არ უხსენებია.

მიუნხენში დიდი სლემის თასის პირველივე წრეში ტომი ჰაასთან წაგებამ ანდრე, ეტყობა, მაინც გამოაფხიზლა სიზმრიდან და ამჯერად იან სიმერინკთან შეხვედრაში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა.

ცაცია ჰოლანდიელი მხოლოდ დასაწყისში უქმნიდა აგასის პრობლემებს

გრეგ რუზეცკი

იანა ნოვოტნა

ბადესთან მუდმივი გასვლებითა და დაუშვებელი ბურთით თამაშით, მერე კი მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მიღებასა და შემოვლებულებზე სამიზნე გაისწორა და მეტოქეს შავი დღე დაუყარა.

განსაკუთრებით საცოდავად გამოიყურებოდა სიმერინკი ბექჰენდით თამაშის დროს, საიდანაც მხოლოდ მოჭრილი დარტყმები ეხერხება. მეტოქის გაჭირვების კარგად მცოდნე აგასიც გამუდმებით იქით მხარეს გზავნიდა ბურთს, ერთხელ კი გართობის მიზნით ზედიზედ 20-30-ჯერ დასვა ბურთი მარცხენა კიდეში, მოსაგები პოზიციის მიუხედავად, შეტევის მიმართულება არასდიდებით არ შეცვალა და ხანგრძლივი მეტოქის დამტანჯველი გათამაშებით თავიც გაიმხიარულა და მაყურებლებიც.

საბოლოოდ ამერიკელმა 6:3, 6:4 მოიგო: „მე შოუმენი უკვე აღარა ვარ. კორტზე გამოსვლისას საქმეზე ვფიქრობ — თუმცა საუკეთესო შოუდ სწორედ ეს იქცევა ხოლმე. ყოველ შემთხვევაში, პრესკონფერენციებს ნამდვილად სჯობს."

მეორე წრის საგზური მოიპოვა ახლახან დასრულებულ „დიდი სლემის თასზე" 1,3 მილიონი დოლარით გამდიდრებულმა გრეგ რუზეცკიმაც. ტურნირზე მესამედ განთვისელმა ინგლისელმა ფრანგი ფაბრის სანტორო დაამარცხა 7:6 (7:3), 6:2.

ჩია სანტორო ჭადრაკთან ნაზავ ჩოგბურთს თამაშობს და მეტოქეებს ჩახლართული კომბინაციებითა და ვერაგული დარტყმებით აბნევს, თუმცა ხისთავიანად მინნეული ინგლისელი ამჯერად საკუთარ თავს გადაახტა და თავად გაწამა ფრანგი მოულოდნელი შემოკლებულებითა და ლამაზი დარტყმებით.

„ძალიან ნასიამოვნები ვარ საკუთარი თამაშით და იმით, რომ ფაბრისზე წინა მარცხისთვის შური ვიძიე. ამჟამად საუკეთესო ფორმაში ვარ, არაფერი მაწუხებს და ასეთ კორტებზე ნებისმიერის დამარცხება ძალმიძს" — განაცხადა გრეგმა.

ამ მატჩში თბილისელთათვის არცთუ უცნობი ინციდენტიც მოხდა: მეორე სეტის დასაწყისში სტადიონის ერთ ნაწილში განათება დაზიანდა. სანტორომ მატჩის შეწყვეტა მოითხოვა, რუზეცკის ტყვიასავით მოწოდებას ისედაც ვერ ვხედავ, ეგღა მაკლდაო და ჩოგბურთელებსაც 20 წუთით გასახდელში ყურყუტი მოუხდათ, სანამ ელექტროენერგიის მიწოდებას აღადგენდნენ.

პირველი წრე: ევგენი კაფელნიკოვი (2, რუსეთი) — ვინსენტ სპედეა (აშშ) 6:3, 7:5; ტიმ ჰენმანი (4, ინგლისი) — გეორგ ბასტლი (შვეიცარია) 5:7, 6:2, 6:2; ნიკოლას კიფერი (6, გერმანია) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 6:1, 6:4; ჰიშამ არაზი (მაროკო) — ნიკოლას ლაპენტი (7, ეკვადორი) 6:3, 3:6, 6:3; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — ტომას ენკვისტი (8, შვედეთი) 6:4, 4:6, 7:5; კარლოს კუჩერა (სლოვაკეთი) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 7:5, 6:3; ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — მარატ საფინი (რუსეთი) 2:6, 6:4, 7:6 (7:2); დომინიკ ხრბატი (სლოვაკეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:0, 6:2.

ფილდერშტადტი. გერმანია. პირველი ტურნირი ბეტონზე, ფასიანი. საპრიზო 520 ათასი $

ერთი ბიბლიოთეკა

სპორტული „ჰორეშ" ბიბლიოთეკების მსურველთა რიცხვი არც წლეულს შემცირებულა და ფილდერშტადტის ტურნირზეც ისევ უძლიერესმა შემადგენლობამ მოიყარა თავი — მსოფლიოს 25 საუკეთესო ჩოგბურთელიდან გერმანიაში 22 გამოცხადდა, თუმცა ანა კურნიკოვასა და ამელი მორესმოს ტრავმების გამო თამაშზე უარის თქმა მოუხდათ.

პირველ წრეში ერთი არცთუ სასიამოვნო ფაქტი მოხდა — მსოფლიოს ყოფილმა მეორე ჩოგანმა იანა ნოვოტნამ თითქმის დაასრულა თავისი კარიერა. 31 წლის ვეტერანმა სილვია ფარინასთან 3:6, 4:6 წააგო და რაკი წინასწარ ჰქონდა ნათქვამი, ეს ჩემი უკანასკნელი ტურნირიაო, ფეხზე წამომდგარ მაყურებელს თვალცრემლიანი დაემშვიდობა.

თუმცა ნოვოტნამ შესაძლოა მაინც იასპარეზოს კიდევ ერთგან — თუ სეზონის დამაგვირგვინებელ „ჩეიზის" მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდება, რის შანსიც ძალიან მცირეა.

„თავს იღბლიანად მივიჩნევ — სპორტმა ხომ ამდენი მომცა. დიდი სლემის ტურნირის — უიმბლდონის მოგებით კი ოცნებაც ავისრულე. ჯერაც არ ვიცი, რას გავაკეთებ ამიერიდან, თუმცა ასე თუ ისე ჩოგბურთის სამყაროში დავრჩები" — აღნიშნა იანამ.

ნოვოტნას გადაწყვეტილება სპორტიდან წასვლის შესახებ იმან დააჩქარა, რომ მას როლან გაროსზე მიღებული კოჭის მძიმე ტრავმა ბოლომდე ჯერაც არ მოურჩენია და თანდათან კლასიფიკაციაში დაღმასვლაც დაიწყო.

24 ერთეულთა და 76 წყვილების ტურნირის მომგები ჩეხი ამჟამად საუკეთესოთა ნუსხაში მხოლოდ მე-18 იყო.

პირველი წრე: საბინე აპელმანსი (ბელგია) — ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) 7:6 (7:5), 6:2; ბარბარა შეტი (6, ავსტრია) — ნატალი ტოზია (საფრანგეთი) 5:7, 6:2, 7:5; ანჰე პუბერი (გერმანია) — ჟული ალარი (7, საფრანგეთი) 4:6, 7:5, 6:4; ლუციენიკ ვან რუსტი (8, ბელგია) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:4); ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 6:4, 6:1; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) 6:1, 6:4; ელენა დემენტიევა (რუსეთი) — ლაიზა რეიმონდი (აშშ) 6:2, 7:5.

ავთანდილ სვანიძე

რუსეთის ქართველ სარდალს არმია ეშლება და ერღვევა

სახელმწიფოს რომ ნაირგვარი ჭია, მატლი და ძღრნელი შეუჩნდება, თუ დროზე არ უწამლე, იგი მეტასტაზებივით ვრცელდება, ხრწნის და ალპობს ჯერ ამა თუ იმ სფეროს, მერე მთელ ქვეყანას. ასეთი სენით დაავადებულა რუსეთიც, რომლის არმიაც, საბრძოლო ფრონტებზე რიხით რომ მიდის, მერე იქიდან სამარცხვინოდ იძურწება.

მაგრამ რუსეთის არმიის ძლევამოსილი მანქანის რღვევა მხოლოდ კავკასიასა და შუა აზიაში როდი შეინიშნება. მათი დაუძლურება გადასდებია სპორტსაც, რომლის ძლიერებაც ძირითადად სწორედ ძალოვანი სტრუქტურების სპორტსაზოგადოებებზე — არმიის სპორტულ კლუბებსა და „დინამოზე" იდგა.

რუსეთის ათლეტთა მონაგარის უმეტესობა მაინც სამხედრო სპორტსმენებზე მოდიოდა. ამაზე მეტყველებს ბოლო უდიდესი მაგალითიც, ნაგანოს ზამთრის ოლიმპიური თამაშები, სადაც რუსეთის წარმომადგენელთა მიერ მოპოვებული მედლების 67 პროცენტი სწორედ ამ ქვეყნის არმიელ სპორტსმენთა წილად იყო.

ისიც გეხსომებათ, რომ ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ვრცელ ინტერვიუში მოსკოველმა წყალბურთის ვეტერანმა პეტრე მშვენიერაძემ ბრძანა, საქართველოსა და რუსეთის სპორტსმენებს ერთნაირი პრობლემა — უფულობა აწუხებთო.

„რუსეთმა შეიძლება მსოფლიოს სპორტულ ელიტაში ადგილი დაკარგოს, რისი მიზეზიც სამხედრო სპორტსმენებისთვის სახელმწიფოს მიერ თანხების არასაკმარისი რაოდენობით გამოყოფაა" — იტყობინება როიტერი, რომელიც თავის მხრივ მაღალჩინოსანი

ავთანდილ გურასაშვილის ფოტო

მიხეილ მამიაშვილი (მარცხნიდან მეორე) რუსეთის სპორტის ჩამჭრალ ვარსკვლავებთან ერთად

სპორტის ოფიციოზებს ეყრდნობა.

— თუ დროზე არ მივიღებთ გადამწყვეტ ზომებს ჩვენი სპორტსმენების, რუსეთის სპორტის, მათ შორის სამხედრო სპორტის მიმართ, მაშინ მომავალში შეიძლება საკმაოდ რთული პრობლემების წინაშე დავდგეთ — განაცხადა ამ ქვეყნის არმიის ცენტრალურ სპორტული კლუბის ხელმძღვანელმა მიხეილ მამიაშვილმა.

— სახელმწიფოსგან ამ ხუთი წლის მანძილზე სპორტსმენთა საჭიროებისთვის კაპიკიც არ მივიღია. — წუხს მამიაშვილი, რომლის სამწყსოც სპორტის 37 სახეობაში ვარჯიშობს. მან მუქ ფერებში აღწერა მსოფლიოს სპორტული ზესახელმწიფოს მომავალი, მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოში, ზაგრებში მსოფლიოს შეიარაღებულ ძალთა თამაშებზე რუსეთმა გაიმარჯვა. მან ხორვატიაში 46 ოქროს მედლით უკან მოიტოვა ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა ჩინეთი, აშშ და გერმანია.

მამიაშვილი, რომელიც ოლიმპიური ჩემპიონია ჭიდაობაში და წლეულს ცსკა-ს ხელმძღვანელად დაინიშნა, ეჭვობს, რომ ახლო მომავალში სიტუაცია შეიცვლება.

— სულ სხვა სურათი გვექნება სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, თუ ჩვენი სპორტსმენებისთვის სახელმწიფო სათანადო ყურადღებას არ გამოიჩენს — ახადებს ცსკა-ს ხელმძღვანელი და თემას განავრცობს — ამჯერად ჩვენი სპორტსმენების უმრავლესობას სათანადო ვარჯიშისთვის ელემენტარული ხელშეწყობაც არა აქვს. ბევრი ახალგაზრდა მწვრთნელი სპორტს თავს ანებებს, რადგან ადგილობრივ ხელისუფლებას მათი ხელფასების გასაცემად თანხები არ აქვს. სპორტს თავს ანებებს ცნობილ ათლეტთა უმრავლესობაც, რადგან მათ სხვაგან მეტი ფულის შოვნა შეუძლიათ.

— ჩვენს საცურაო აუზებში წყალი არ იყო. ამიტომ ალტერნატიულ საშუალებებს ვეძებდით, რათა არმიელთა მსოფლიოს თამაშებისთვის მოემზადებულიყავით, — დაიჩივლა რუსეთის არმიელ მოცურავეთა მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ იუდაკოვმა, რომელმაც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის დენის პანკრატოვი აღზარდა.

— მაშინ, როცა სხვა სპორტულ ზესახელმწიფოებს მთავრობისაგან სოლიდური ფინანსური მხარდაჭერა აქვთ, ჩვენ „მშრალზე" ვართ. დღეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის ჟამია — ამბობს მამიაშვილი — თუ კვლავაც ამ გზით ვივლით, მაშინ, ალბათ, მალე მოგონებადღა დარჩება რუსეთის არმიელ სპორტსმენთა ძლევამოსილება და მათი ოლიმპიური მედლები.

გიგა გურასაშვილი

ავტორბოლა

შვედებს ფორმულა 1 მოუნდათ

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

მოუნდათ ეროია, ახლა ის ვიკითხოთ, რამდენად აკმაყოფილებენ სკანდინაველები ყველაზე ცნობილი და პოპულარული ავტორბოლის მესვეურთა უმკაცრეს მოთხოვნებს. ჯერჯერობით ვერაფრით. პირველ რიგში ქვეყანაში შესაფერისი ტრასა არ არსებობს. სწორედ ამ მიმართულებით გადადგეს შვედებმა პირველი ნაბიჯები და უკვე საკმაოდ დაფხავებული ანდერსტორპის ავტოდრომის შემცვლელად ქალაქ კალმართან ახლოს ახალი ავტოდრომის აგება გაინიზრახეს.

მიუხედავათ ადგილობრივი „მწვანეების" პროტესტებისა, საინიციატივო ჯგუფმა ადგილობრივი ადმინისტრაციის ლოცვა-კურთხევა უკვე მიიღო და ახლა უმაღლესი სახელისუფლებო ინსტანციების მოთაფლვას ცდილობს. ისე კი, შვეცია ფორმულა 1-ის ბამი სულაც არ გახლავთ. 1973-78 წლებში აქაც დააზუზუნებდნენ თავიანთ ბოლიდებს მსოფლიოს რჩეული ავტომრბოლები. „შვეციის გრან პრი" თავის დროზე მოუგიათ ისეთ ქებულ პილოტებს, როგორებიც არიან დენის ჰიუმი (1967 წლის მსოფლიოს ჩემპიონი), ჯოდი შეჭტერი, ნიკი ლაუდა და ჟაკ ლაფიტი. მოკლედ, სკანდინაველებს ფორმულა 1-ის ტრადიცია აქვთ და იმედიც, რომ 2004 წლისთვის, როცა ახალი ავტოდრომის ფორმირება დასრულდება, ყველაფერი მათთვის სასარგებლოდ გადაწყდება.

დავით გულუა

მსოფლიოს თასი

მსოფლიოს თასი შოტლანდიისთვის ახლა იწყება

მსოფლიოს თასის პირველ ტურში სამხრეთ აფრიკასთან დამარცხება შოტლანდიელებმა ძლივს მოინელეს და ახლა ურუგვაისთან სათამაშოდ ემზადებიან. სამხრეთამერიკელებთან ისინი უეჭველად კი მოიგებენ, მაგრამ ამ შეხვედრაში საკუთარ თამაშში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა სურთ.

„ჩვენ უნდა ვითამაშოთ და ეს ძალიან კარგად უნდა მოვახერხოთ. აღარანაირი სურვილი არ მაქვს, „ქურციკებთან“ დაშვებული უნებლიე თუ ნებსითი შეცდომები გავიმეოროთ“ — განაცხადა გუშინ სკოტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჯიმ ტეფლერმა.

ტ[illegible]ერი ურუგვაისთან მატჩში შემადგენლობის ტაქტიკური მოსაზრებებით შეცვლას არ აპირებს. ერთადერთი სიახლე ჯეიმი მეიერის ძირითადში გამოჩენა იქნება, მაგრამ ეს ჯონ ლესლის შცირედი ტრავმითაა გამოწვეული.

„ჩემს მორაგბეებს ბევრი ვესაუბრე. მინდოდა, მათთვის ამეხსნა, რომ გაცილებით უკეთ შეუძლიათ თამაში და თუ შეცდომებსაც უკლებენ, მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებებს თანასწორად შეეპაექრებიან. იმედი მაქვს, მათ ეს შეიგნეს და ურუგვაისთან დაამტკიცებენ კიდეც თავიანთ სიძლიერეს“ — დაამატა ტეფლერმა.

ჯეიმი მეიერი კი, რომელმაც სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრისას დაშავებული ლესლის ადგილი დაიკავა, ფიქრობს, რომ შოტლანდიელთა მიზანი მხოლოდ მოგება კი არაა, არამედ ლაღად და იოლად გამარჯვება.

„ჩვენ პირველ მატჩში დავმარცხდით, მაგრამ ამით ქვეყანა არ დაქცეულა. გამარჯვების გემო უნდა გავიხსენოთ და ჩვენი მსოფლიოს თასიც მაშინ დაიწყება. მიმაჩნია, რომ შოტლანდია საკმაოდ ძლიერი ნაკრებია. ურუგვაი პატარა სარაგბო ქვეყნად ითვლება, თუმცა მატჩს ზერელედ არ უნდა მივუდგეთ. უნდა მოვიგოთ და თან კარგადაც ვითამაშოთ. მსოფლიოს თასი ხანგრძლივი ტურნირია და ჯერ ყველაფერი წინაა“ — თქვა მეიერმა.

განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცევა გრეგორ თაუნსენდი, რომელიც სამხრეთ აფრიკასთან ფეხით უხეიერო თამაშის გამო ტეფლერმა შეცვალა კიდეც. ის თავადაც გრძნობს ამას და გამალებით ემზადება საკუთარი თავის რეაბილიტაციისთვის: „იმ დღეს უდიდესი სურვილი გამიჩნდა, მინდორზე შევბრუნებულიყავი და ყველაფერი თავიდან დამეწყო, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. „ქურციკებთან“ შეხვედრაში იმაზე მეტი შეცდომა დავუშვით, რაც მთლიანად ხუთი ერის პირველობის ოთხ მატჩში ერთად აღებული. ურუგვაისთან და მომავალ თამაშებში ეს აღარ უნდა განმეორდეს და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ“.

ურუგვაელთა მთავარი მწვრთნელი დანიელ ერერა კი პირველ ტ[illegible]ესპანეთთან თავისი შეგირდების თამაშით სავსებით კმაყოფილი იყო. მისმა გუნდმა ხომ მსოფლიოს თასზე პირველი (და, ალბათ, ერთადერთიც) გამარჯვება მოიპოვა (27:15). ამიტომ ერერას აზრადაც არ მოსვლია ვინმეს შეცვლა. თანაც ურუგვაელები განგებამ ტრავმებისგანაც დაიცვა, ასე რომ, შოტლანდიას სწორედ ესპანეთის მძლეველი თხუთმეტეული დაუპირისპირდება.

„ეს ჩვენი საუკეთესო შემადგენლობაა და ამაში პირველ ტურშიც დავრწმუნდი. ახლა ხუთი ერის პირველობის გამარჯვებულს ვხვდებით, რაც ჩვენთვის დიდი პატივია. იმედი მაქვს, არ შევრცხვებით და კატასტროფული ანგარიშით არ დავმარცხდებით“ — თქვა ერერამ.

ლამეზონი: მამლების დირიჟორი

REUTERS ბორეგი

კრისტოფ ლამეზონი „სადირიჟორო ჯოხით“ ხელში

დღეს ბორდოში (საფრანგეთი) კრისტოფ ლამეზონს საშუალება ექნება, საფრანგეთის ნაკრების შეტევებს უხელმძღვანელოს. „მამლების“ ახალგამოცხვარ დირიჟორს მასზე დაკისრებული მოვალეობის ნამდვილად არ უნდა შეეშინდეს. საფრანგეთის მოწინააღმდეგე ნამიბია ხომ, როგორც გუშინ გაუწყეთ, უკვე შინ დასაბრუნებლად იჭერს თადარიგს და დასამარცხებლად ნამდვილად იოლი იქნება.

„ბრივის“ მორაგბე ნაკრების თავკაცებს შემთხვევით და ნაუცბათევად არ გადაუყვანიათ მე-10 ნომრად. ამ პოსტზე თავიდან „კასტრის“ მოთამაშე ტომა კასტანიედი იყო შეგულებული, მაგრამ შეკრებებმა და კანადასთან მატჩმა ჟან-კლოდ სკრელას ეს ცვლილება უკარნახა. წესით, კასტანიედი ნამიბიასთან მე-15 ნომერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მას ერთ-ერთ ვარჯიშზე ფეხის კუნთი დაეჭიმა და საერთოდ ამოვარდა შემადგენლობიდან.

კანადელებთან იერიშებს თავიდან კასტანიედი უყრიდა საფუძველს, მაგრამ დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მისი ადგილი ლამეზონმა დაიკავა და მშვენივრადაც გაართვა თავი ფუნქციას. გამთამაშებლობა ლამეზონისთვის უცხო ხილი ნამდვილად არაა, რადგან იგი თავის კლუბ „ბრივში“ სწორედ ამ საქმითაა დაკავებული. ამ ტაქტიკურმა ცვლილებამ ფრანგებს მაშინვე მოუტანა სასიკეთო შედეგი. მანამდე „მამლები“ ვერაფერს უხერხებდნენ მედგრად მებრძოლ ჩრდილოამერიკელებს, ლამეზონის დირიჟორობით კი მათ შეტევებს სიმწვავე შეემატა და კანადაც გატყდა.

„დაახლოებით 55 წუთის განმავლობაში გადაწყვეტილებების მიღება მე მევალებოდა — თუ როგორ უნდა შეგვეტია, რომელი მხრიდან... ვვონებ, კარგად ვითამაშე. მსოფლიოს თასამდე გამართულ შეკრებებზე ეს ვარიანტი დამუშავებული გვქონდა — თუ ტომას თამაში არ წაუვიდოდა, მისი ადგილი მე უნდა დამეკავებინა. რა თქმა უნდა, არ ვფიქრობ, რომ ამ ამპლუაში ისევ და მხოლოდ მე უნდა ვითამაშო. როგორც მწვრთნელები საჭიროდ ჩათვლიან, ისე მოვიქცევი. მთავარი მთლიანად გუნდის ინტერესებია, რომლებიც ყოველმა ჩვენგანმა პირად ინტერესებზე წინ უნდა დააყენოს. იმედი მაქვს, მომავალ მატჩებში კარგად ვითამაშებთ და ბევრი ქულის დაგროვებასაც შევძლებთ“ — თქვა ლამეზონმა.

წარმოშობით ბასკმა არც დაშავებული თანაგუნდელი დაივიწყა. „ჩვენ ყველანი გულწრფელად ვუსურვებთ კასტანიედს მალე გამოჯანმრთელებას და ნაკრებში დაბრუნებას. მამლებს ის სჭირდებათ“ — განაცხადა ლამეზონმა, რომელიც თვითონაც უნდა უფრთხოდეს ტრავმას, თორემ საფრანგეთის ნაკრები დიდ გასაჭირში ჩავარდება. ტომა კასტანიედამდე ფრანგებს კიდევ ერთი მე-10 ნომერი — ფილიპ კარბონო დაუშავდათ, რაც, რა თქმა უნდა, უბარალო დამთხვევაა, მაგრამ მაინც...

ბედისწერის კი ლამეზონს ნაღდად არ ეშინია. მთავარია, საფრანგეთმა ჩემპიონობა მოიპოვოს, თორემ მეც დავშავდები, თუ არა, რა მნიშვნელობა აქვსო.

დავით დაიური

სეზონი ულ-რიხით დამთავრდა

REUTERS ტრევორ ბოდან

შესანიშნავი სამეული:
მიჭაელ ანდერსონი, იან ულრიხი და კრის ბორდმანი

„მშვენიერი ამინდი იყო და რბოლაც — სასიამოვნო. სტარტიდანვე ვიპოვე ოპტიმალური რიტმი, ვეცადე, თავიდან ძალიან არ მეჩქარა და ბევრი ენერგია არ დამეხარჯა. ცისარტყელას ფერის მაისურას მოპოვების შემდეგ კვირას გუნდურ შეჯიბრში კიდევ უფრო მეტი თავგამოდებით ვიბრძოლებ. დასაკარგიც არაფერი მექნება, მით უფრო, რომ ძალიან კარგი გუნდი გვყავს. დღეს დისტანციის ორი მესამედის გავლის შემდეგ სულაც არ დავღლილვარ, როგორც ეს ზოგიერთებს ეგონათ. მგონი, ბოლო მონაკვეთზე ანდერსონი უბრალოდ შეუდარებელი იყო. კვირას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მრბოლებს, რომლებმაც „ვუელტას“ ბოლო დღეები აღმავლობით ჩაატარეს. განსაკუთრებით სახიფათო ბელგიელი ფრანკ ვანდენბრუკი იქნება, თუმცა არც იტალიელების ჩამოწერა შეიძლება“ — თქვა აინ ულრიხმა ოთხშაბათ საღამოს.

გერმანელმა მრბოლმა კიდევ ერთი ტიტული მიითვალა. მან მსოფლიოს მიმდინარე ჩემპიონატზე იტალიურ ქალაქ ტრევიზოში ინდივიდუალურ რბოლაში ყველას აჯობა და მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედლითაც დაიმშვენა მკერდი.

ტურნირი კი ორშაბათს დაიწყო და თავიდან ჭაბუკებმა და ქალებმა გამოავლინეს უძლიერესები. კაცები ოთხშაბათს გაეჯიბრნენ ერთმანეთს. ახლა გუნდური შეჯიბრის ჯერი დადგა. აქაც თავიდან ჭაბუკები და ქალები დაიცავენ თავიანთი ქვეყნების ღირსებას, კვირას კი კაცთა ეროვნული ნაკრებები გამოვლენ საგზატკეცილო რბოლის სტარტზე.

მანამდე კი ისევ იან ულრიხზე ვთქვათ.

მადრიდში, კასტილიანას ქუჩაზე ტრიუმფით გავლიდან ათი დღის შემდეგ (ულრიხმა „ვუელტა“ მოიგო), გერმანელმა ტრევიზოს ისტორიით მდიდარი ძველი ქუჩებიც უსწრაფესად გაიარა. თუმცა მან მხოლოდ 14 წამით აჯობა მიქაელ ანდერსონს, თითქმის უცნობ შვედს, რომლის კარიერიდან ყველაზე საინტერესო ის ფაქტია, რომ 1996 წელს იგი „ტელეკომში“ ულრიხის თანაგუნდელი იყო.

32 წლის ანდერსონმა თავისი სპორტული ცხოვრების მანძილზე ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია. იგი 1995 წელს გაპროფესიონალდა და ძირითადად მეორეხარისხოვან გუნდებში ირიცხებოდა, შვედეთის რამდენიმეგზის ჩემპიონი შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე 34-ე ადგილზე გავიდა და გამარჯვებულ ესპანელ აბრაამ ოლანოსთან ხუთ წუთამდე წააგო.

„ვერცხლის მედალი ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო. ძალიან სუსტ გუნდში ვარ, რომელსაც მომავალი სეზონისთვის სპონსორი ჯერ კიდევ ვერ მოუძებნია. ორიოდ თვის წინ „პოლონეთის ტურში“ ვიასპარეზე. ამის მერე შვედეთში დავბრუნდი და იქ ვვარჯიშობდი. სამწუხაროდ, თითქმის გადაუღებლად წვიმდა და კარგად მომზადება ვერ მოვახერხე“ — თქვა ანდერსონმა, რომელსაც, სავარაუდოდ, გაისად რომელიმე ძლიერი გუნდი აიყვანს.

შარშანდელი ჩემპიონის ოლანოს არყოფნამ, რომელიც „ვუელტაზე“ დაიმტვრა, ულრიხს გამარჯვება საგრძნობლად გაუიოლა. ანდერსონის გარდა მისი „შეწუხება“ ვერავინ შეძლო, ვერც უკრაინელმა სერგეი გონჩარმა და ვერც შვეიცარიელმა ალექს ცულემ. ამ ორის გარდა გერმანელის მთავარ კონკურენტად ბრიტანელი კრის ბორდმანი ითვლებოდა და სამეულიდან ყველაზე უკეთ სწორედ ის გამოვიდა. მან 58 წამი წააგო ულრიხთან და ბრინჯაოს მედალს დაეპატრონა.

„ძალიან მინდოდა მოგება, მაგრამ ისიც კარგად ვიცოდი, რომ მთავარი ფავორიტი იანი იყო. მან ხომ „ვუელტა“ უძლიერესად ჩაატარა და დღეისთვის ყველაზე ერთი თავით მაღლა დგას. „ტურ დე ფრანსზე“ უხეიერო გამოსვლის შემდეგ მესამე ადგილითაც ძალიან კმაყოფილი ვარ. ზამთარში ბევრს ვივარჯიშებ და გაისად, ალბათ, უკეთეს ფორმაში ვიქნები. მთავარ მიზნად კი სეზონის ბოლოს სიდნეის ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლას ვისახავ“ — თქვა ბორდმანმა.

ყველა საშუალედო ნიშნულთან ულრიხს საუკეთესო დრო ჰქონდა. მისი საშუალო სიჩქარე ძალიან მაღალი იყო — 50,209 კმ/სთ. როსტოკელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ველომრბოლია. „მშვენივრად ჩავამთავრე სეზონი“ — უთხრა წლის დასაწყისში ტრავმებით გაწამებულმა ულრიხმა ჟურნალისტებს და ძნელია, მას არ დაეთანხმო.

გაიოზ თალაძგაძე

მსოფლიოს ჩემპიონატი

ინდივიდუალური რბოლა, ტრევიზო, 50,6 კმ

1. იან ულრიხი (გერმანია) — 1 სთ 00 წთ 28 წმ
2. მიქაელ ანდერსონი (შვედეთი) — + 14 წმ
3. კრის ბორდმანი (დიდი ბრიტანეთი) — + 58 წმ
4. რაივის ბელოხვოსიკსი (ლატვია) — + 1 წთ 04 წმ
5. მელხიორ მაური (ესპანეთი) — + 1 წთ 18 წმ
6. სერგეი გონჩარი (უკრაინა) — + 1 წთ 19 წმ
7. ჟილ მენიანი (საფრანგეთი) — + 1 წთ 25 წმ
8. ერიკ დეკერი (ბოლანდია) — + 1 წთ 40 წმ
9. იენს ვოიგტი (გერმანია) — + 1 წთ 45 წმ
10. ალექს ცულე (შვეიცარია) — + 1 წთ 45 წმ

მრისხანე, ოღონდ არა ივანე

6 ოქტომბერი

ფლორიდა — ლოს ანჯელესი 4:2

0:0 1:1 3:1

1:0 შვეპლა 25'53 (1); 1:1 რობიტაილი 38'43 (3); 1:2 პალფი 41'11 (2); 2:2 კოზლოვი 58'09 (2); 3:2 პერიში 58'29 (1); 4:2 ბურე 59'36 (2)

მოგვარე მწვრთნელების — ტერი და ენდი მიურეების პირველი დუელი უფრო გამოცდილი ფლორიდელის გამარჯვებით დასრულდა. თუმცა ჯერ კიდევ 58-ე წუთზე მისი კოლეგის გუნდი იგებდა თავისი ვარსკვლავური ტრიოს — ლუკ რობიტაილის, იოზეფ შტუმპელისა (2 პასი) და ზიგმუნდ პალფის ძალისხმევით. მაგრამ მერე საქმეში პაველ ბურე ჩაერია. მას შემდეგ, რაც ჩინებულ ფორმაში მყოფი ჰოკეისტის რამდენიმე სახიფათო დარტყმა „მეფეთა“ მეკარე სტეფან ფისემ მოიგერია, „რუსულმა რაკეტამ“ ასისტენტობით სცადა ფონს გასვლა და ვიქტორ კოზლოვი საუცხოო პასითაც ახეირა. მერე თვისტომებმა როლები გაცვალეს და ბურემ მეოთხე შაიბაც გაიტანა.

კალგარი — სენტ ლუისი 1:4

0:0 1:2 0:2

1:0 ალბედინი 24'21 (1); 1:1 მაკინისი 36'25 (1); 1:2 მაკინისი 39'23 (2); 1:3 ჰრონგერი 50'56 (1); 1:4 ტარჯონი 58'42 (1)

ზედიზედ ორი საშინაო მარცხის შემდეგ სენტ ლუისი წაგებას ნამდვილად არ აპირებდა და მოწადინებულმა სტუმრებმა ყოფილი თანაკლუბელი გრანტ ფიურიც არ დაინდეს. განსაკუთრებით „ბლუზმენთა“ ლიდერებმა მოინდომეს. ახლა პიერ ტარჯონს (1+1) ერთი ქულა აშორებს 1000-ქულიანი ზღვარს, კალგარიში 13 სეზონის განმავლობაში მოასპარეზე ელ მაკინისიც ჩვეულ ფორმაშია.

ედმონტონი — მონრეალი 2:1

1:0 0:0 1:1

1:0 სელივანოვი 7'48 (1); 1:1 პულენი 47'19 (1); 2:1 შ. ბრაუნი 48'51 (1)

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს — ეს ნათქვამი სწორედ შონ ბრაუნზეა ზედგამოჭრილი. ედმონტონის მცველმა თავის მეოთხე სეზონში, როგორც იქნა, პირველი შაიბა გაიტანა ლიგაში და ამით ძალიან გაახარა გუნდის თავკაცი კევინ ლოუ. ოდესღაც სახელოვანი ჰოკეისტი, თასის ექვსგზის მფლობელი (აქედან ხუთჯერ — ედმონტონის რიგებში) წლეულს ჩაუდგა სათავეში „ოილერსს“ და ოთხშაბათს თავისი პირველი გამარჯვებაც იზეიმა. თუმცა, რომ არა მასპინძელთა კარის დარაჯი ტომი ხალო, ძალზე შესუსტებული შემადგენლობით მოასპარეზე სტუმრები (ერთბაშად 6 წამყვანი მოთამაშეა ტრავმირებული), ალბათ, ქულას მაინც წაიღებდნენ შინ.

REUTERS კალგარიდან

კალგარი — სენტ ლუისი 1:4. სენტლუისელმა პიერ ტარჯონმა ყოფილი თანაკლუბელი, ამჟამად კალგარელი გრანტ ფიურტი არ დაინდო

ტორონტო — კოლორადო 2:1

0:0 1:1 1:0

1:0 ჰოგლუნდი 31'36 (2); 1:1 საკიკი 36'53 (2); 2:1 სუნდინი 50'44 (3)

„მონრეალში საკადრისად არ დამაფასეს, თავის გამოჩენის შესაძლებლობა არ მომცეს. არაფერია, ჩემს სიძლიერეს ტორონტოში დავამტკიცებ“ — ტყვილად როდი დაიქადნა ახალგაზრდა შვედმა ფორვარდმა იონას ჰოგლუნდმა. აკი გულიც მოიფხანა სასტარტო მატჩში ყოფილი კლუბის დამარცხებით, ახლა კი, სუნდინთან შეამხანაგებულმა, სახელოვანი პატრიკ რუა იმსხვერპლა.

თავის მხრივ, სუნდინმა (3+3 3 მატჩში) ბრწყინვალე მეკარე კერტის ჯოზეფი გამოარჩია: „კუჯო ყოველთვის კუჯოა — ნებისმიერ შაიბას, ნებისმიერ მეტოქეს ჰერებს“. ჯოზეფი მართლაც შეუდარებელი იყო, რამდენიმე ასპროცენტიანი საგოლე შანსიდან მან მხოლოდ ერთი გამოაყენებინა მოწინააღმდეგეს. თუმცა ესეც ეპატიება — ჯო საკის დიდებულ დარტყმულს ვერავინ მოიგერიებდა.

ვანკუვერი — ჩიკაგო 5:4

2:1 1:1 2:2

0:1 ზმოლეკი 0'20 (1); 1:1 ნესლუნდი 1'50 (2); 2:1 მოგილნი 8'47 (1); 3:1 იორკი 34'00 (1); 3:2 ჟამნოვი 39'33 (1); 3:3 კლარკი 43'24 (1); 4:3 მოგილნი 45'55 (1); 5:3 ჩუბაროვი 47'43 (1); 5:4 მაკარტი 49'46 (1)

„ალექს მრისხანე“ იღვიძებს. ოდესღაც ერთ სეზონში 76 გოლის გამტანმა ალექსანდრ მოგილნიმ (ეს მეტსახელიც გოლეადორული თვისებების გამო შეარქვეს) კვლავ შეგვახსენა თავი. მისი ორი გოლისგან მეორე მნიშვნელოვანიც იყო და ლამაზიც — უმცირესობაში თამაშისას მოედნის შუაგულიდან დაწყებული შეტევა მოგილნიმ იმით დაასრულა, რომ ჩიკაგოელთა მეკარე ჯოსლენ ტიბოს შაიბა ფეხებშუა გაუძვრინა. მასპინძელმა არტიომ ჩუბაროვმა ნჰლ-ში პირადი ანგარიში გახსნა.

სამველ ღარიბიანი

უვარგისი დეიგლი

...1993 წლის დრაფტის №1 ლიგაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა. ზოგიც, მართლაც ნიჭიერ ახალგაზრდას უეინ გრეცკისა და მარიო ლემიეს საქმის გამგრძელებლად მიიჩნევდა. 18 წლის დეიგლი მაშინ ოტავამ აირჩია და ახალბედასთვის ფანტასტიკური — ხუთწლიანი და 12 მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა. სადებიუტო 1993-94 წლის სეზონიც თითქოს კარგად ჩაატარა. 84 თამაშში 51 ქულა ასეთ ასაკში ბევრს ნიშნავს, მაგრამ შემდეგ დეიგლის საქმეები ცუდად წაუვიდა. რაკი ჩვეული თავგამოდებით ვეღარ ირჯებოდა და შედეგიანობამაც იკლო, იგი 1998 წელს ოტავიდან გაუშვეს. ვერც მომდევნო კლუბში, ფილადელფიაში გაჩერდა დიდხანს, ვერც ლიგის უსუსტეს გუნდს, ტამპას გამოადგა. მისი ხელფასიც 1 მილიონ დოლარამდე დაეცა და ტრაგიკულმა ფინალმაც არ დააყოვნა — ამ სეზონის წინ ტამპამ იგი „ვეივერ დრაფტზე“ დააყენა, რაც იმას ნიშნავდა რომ მასზე უარი განაცხადა. ბედმა საბოლოოდ გაწირა დეიგლი, როცა მდიდარმა, მფლანგველმა რეინჯერსმა შეიძინა მაგრამ იმავე დღეს ჰოკეისტი ფარმკლუბში გააგზავნეს (ეტყობა, პირველივე ვარჯიშზე გააწბილა ნიუიორკელი მწვრთნელი), ვინ იცის, იქნებ სულ მალე დეიგლის სახელი დავიწყებას მიეცეს.

ალექსანდრ დეიგლი

მეკარე ხელშეუხებელია!

საოცარი გუნდია ჩიკაგო. ყველა პირობა აქვს, მაღალი კლასის ჰოკეისტებიც ჰყავს საიმისოდ, რომ გონივრული და ლამაზი ჰოკეი ითამაშოს, მაგრამ ძირთადის ერთბაშად ხუთ „პოლიციელს“ ვერა და ვერ ტოვებს უსაქმოდ. არად, მატჩი არ ჩაივლის, რომელიმე მათგანმა თავსატეხი არ გაუჩინოს „ქორების“ ხელმძღვანელობას. ამას წინათ სან ხოსესთან გამართულ შეხვედრაშიც ასე მოხდა. ბოლო წუთებზე არაერთხელ ატყდა ჩხუბი და დავიდარაბა, ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ერთ-ერთ ჯგუფურ შეხლა-შემოხლაში მეკარეები ჩაებნენ. ალბათ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდებოდა, ჩიკაგოელი სტივ პასმოსისა და სანხოსელი სტივ შილდსის დავაში სათადარიგოთა სკამზე მჯდომი ორი განთქმული ჩხუბისთავი — ბობ პრობერტი და დეივ მენსონი რომ არ ჩარეულიყო. ერთმა შილდსს ყვანჯი უთავაზა, მეორემ კი იგი იღლიაში ამოიჩარა.

სასჯელმაც არ დააყოვნა — შესაბამისად, 4 და 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია. თუმცა, როგორც ჩანს, ეს მენსონისთვის არაფერია, თორემ ვაშინგტონთან საგამოფენო შეხვედრაში მიღებული 1-მატჩიანი დისკვალიფიკაციაც ასწავლიდა ჭკუას.

სარბიელი

საუკეთესო ფიბა-ევროპელი

1999 წლის 28 დეკემბერს მოსკოვში გაიმართება „ევროსტარი“, მატჩი ევროპის საუკეთესო კალათბურთელთა მონაწილეობით. ერთმანეთს შეხვდებიან „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდები.

სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია (ფიბა), „აღმოსავლეთის“ და „დასავლეთის“ გუნდების შემადგენლობების გამოსავლენად აწყობს გულშემატკივართა საერთო-ევროპულ გამოკითხვას. ეს გამოკითხვა ევროპის თითოეულ ქვეყანაში თითო გაზეთის საშუალებით მოეწყობა. საქართველოში ფიბა-ს პარტნიორობის ექსკლუზიური უფლება (საქართველოს კალათბურთის ფედერაციის რეკომენდაციით), „სარბიელს“ ერგო. ამრიგად, „სარბიელის“ მკითხველი უშუალოდ დაადგენს „ევროსტარში“ მოთამაშე გუნდების შემადგენლობებს.

თქვენთვის საქმის გასაიოლებლად, ფიბა გთავაზობთ იმ ევროპელი კალათბურთელების სიას, რომლებიც ამ დროისთვის საუკეთესონი არიან. თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ის ევროპელი მოთამაშეებიც, რომლებიც ამ სიაში არ არიან, მაგრამ თამაშობენ ევროპის კლუბებში და, თქვენი აზრით, იმსახურებენ „ევროსტარში“ მოხვედრას.

ამას გარეთ, გთხოვთ, დაასახელოთ ორი არაევროპელი კალათბურთელი, რომლებიც თამაშობენ ევროპის კლუბებში.

ამრიგად, თქვენ უნდა დაასახელოთ სულ 14 კალათბურთელი (12 ევროპელი, 2 არაევროპელი). კალათბურთელის სახელისა და გვარის გასწვრივ მითითებულია მისი ეროვნება და კლუბი:

☐ ალესანდრო აბიო	იტალია	კინდერი (იტალია)
☐ ფრაგისკოს ალვერტისი	საბერძნეთი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ ალბერტო ანგულო	ესპანეთი	რეალი (ესპანეთი)
☐ მიროსლავ ბერიჩი	იუგოსლავია	უგუნდოდ
☐ ჰუსეინ ბეშოჟი	თურქეთი	ეფესი (თურქეთი)
☐ ჯიმ ბილბა	საფრანგეთი	ჟილერბანი (საფრანგეთი)
☐ დავიდე ბონორა	იტალია	კინდერი (იტალია)
☐ დეიან ბოდირობა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ პრედრაგ დანილოვიჩი	იუგოსლავია	კინდერი (იტალია)
☐ ალექსანდრ ჯორჯევიჩი	იუგოსლავია	რეალი (ესპანეთი)
☐ გინტარას ეინიკისი	ლიტვა	ცსკა (რუსეთი)
☐ ნიკოს ეკონომუ	საბერძნეთი	კინდერი (იტალია)
☐ ჰარუნ ერდენაი	თურქეთი	ულქერი (თურქეთი)
☐ ვინჩენცო ესპოზიტო	იტალია	იმოლა (იტალია)
☐ ლორან ფუარე	საფრანგეთი	ტაუ (ესპანეთი)
☐ გრეგორ ფუჩკა	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
☐ ტორბიორნ გეირკე	შვედეთი	პლანია (შვედეთი)
☐ გორდან გირიჩეკი	ხორვატია	ციბონა (ხორვატია)
☐ ალბერტო ერეროსი	ესპანეთი	რეალი (ესპანეთი)
☐ არტურას კარნიშოვასი	ლიტვა	ფორტიტუდო (იტალია)
☐ ოდედ კატაში	ისრაელი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ მიხაელ კოხი	გერმანია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ იბრაჰიმ ჟუთლუაი	თურქეთი	ეფესი (თურქეთი)
☐ დენის მარკონატო	იტალია	ბენეტონი (იტალია)
☐ ანდრეა მენეგინი	იტალია	ვარეზე (იტალია)
☐ მარკო მილიჩი	სლოვენია	ოლიმპია (სლოვენია)
☐ ველკო მრშიჩი	ხორვატია	უნიკახა (ესპანეთი)
☐ დამირ მულამერეოვიჩი	ხორვატია	ეფესი (თურქეთი)
☐ მარტინ მიშურსეპი	ესტონეთი	აეკ (საბერძნეთი)
☐ კარლტონ მაიერსი	იტალია	ფორტიტუდო (იტალია)
☐ პეტარ ნაუმოსკი	მაკედონია	უგუნდოდ
☐ ხუან კარლოს ნავარო	ესპანეთი	ბარსელონა (ესპანეთი)
☐ საშა ობრადოვიჩი	იუგოსლავია	ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
☐ პაულუ პინტუ	პორტუგალია	პორტუ (პორტუგალია)
☐ დინო რაჯჯა	ხორვატია	ზადარი (ხორვატია)
☐ ველკო რებრაჩა	იუგოსლავია	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
☐ ეფტიმიოს რენციასი	საბერძნეთი	ბარსელონა (ესპანეთი)
☐ ანტუან რიგოდო	საფრანგეთი	კინდერი (იტალია)
☐ ჰენრიკ როდლი	გერმანია	ალბა (გერმანია)
☐ დორონ შეფერი	ისრაელი	მაკაბი (ისრაელი)
☐ მატიაჟ სმოდიში	სლოვენია	კრკა (სლოვენია)
☐ მუსტაფა სონკო	საფრანგეთი	ჟილერბანი (საფრანგეთი)
☐ საულიუს შტომბერგასი	ლიტვა	კინდერი (იტალია)
☐ ერიკ სტრიულენსი	ბელგია	რეალი (ესპანეთი)
☐ დრაგან ტარლაჩი	იუგოსლავია	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
☐ ვილან ტომიჩი	იუგოსლავია	ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
☐ დომინიკ ტომჩიკი	პოლონეთი	პეკაესი (პოლონეთი)
☐ ალექსის ზახარიუ	კვიპროსი	აპოელი (კვიპროსი)
☐ ირუი ზიდეკი	ჩეხეთი	ჟალგირისი (ლიტვა)
☐ მინდაუგას ფუკაუსკასი	ლიტვა	ჟალგირისი (ლიტვა)

სიაში არმოხვედრილი მეგობელები	არაევროპელები

სიაში მყოფი თქვენთვის სასურველი მოთამაშის შერჩევისას მისი სახელის და გვარის წინ მდებარე კვადრატში გააკეთეთ შესაბამისი აღნიშნა ☒. ხოლო არაევროპელი და სიაში არმყოფი მოთამაშის გვარები ჩაწერეთ სპეციალურ გრაფებში.

გთხოვთ, გაზეთიდან ამოჭრილი ანკეტა 1999 წლის 1 ნოემბრამდე გამოგვიგზავნოთ „სარბიელის“ რედაქციაში მისამართზე:

თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42,

ან საფოსტო მისამართზე:

თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208

გთხოვთ, მიუთითოთ თქვენი სახელი, გვარი და ასაკი:

სტეფანია წიგნებს კითხულობს, თან ჩემოდანზე ზის

ვლადიმერ სტეფანია

მიილია ცხელი ზაფხული, შემოდგომის პირველი თვეც და ახლა მთელი საკალათბურთო ამერიკა ახალი სეზონის მოლოდინში განაბულა. სულ მალე ოკეანის გაღმიდანაც დაუბერავს ნაღდი კალათბურთის სიო, მთელს მსოფლიოს აზვირთებული ტალღებივით მოაწყდება და თანაც ისეთი სიძლიერით, ყველას და ყველაფრის შთანთქავ რომ ძალუძს. დიახ, ასეთია ნბა — მრისხანე, დაუნდობელი. ქომაგისთვის კი — კალათბურთის ეტალონია, ალბათ, ჯერ კიდევ ამოუცნობი, ფანტასტიკური...

ყოველივე ეს 1 ნოემბრიდან დაიწყება, მანამდე კი კლუბების საწვრთნელ ბანაკებში ატრიალებული ამბები აკერია ყველას პირზე. სეზონებს შორის პერიოდს და გუნდებში გაჩაღებულ მიდი-მოდის შეუძლებელია, კაცმა გულვრილად ადევნოს თვალი. ცოტაც და ეს ამბებიც დავიწყებას მიეცემა, აღარავის აღარაფერი ემახსოვრება, საკალათბურთო სპექტაკლებით დამუხტული ემოციები მორიგი თვალისმომჭრელი წარმოდგენის იმედით ისულდგმულებს.

სასიამოვნოა და ძალიან სასიხარულო, რომ ქართველებს გვყავს ვლადიმერ სტეფანია. კაცი, რომელიც ამ საკალათბურთო აღლუმის უშუალო მონაწილეა. მართალია, ვლადიმერი იქაურ „არტისტთა“ ელიტაში ჯერჯერობით არ შედის, მაგრამ მისი წარმატებული დებიუტი „სიეტლ სუპერსონიქსში“ და „ეპიზოდური როლების“ დამაჯერებელი შესრულება სტეფანიას გაცილებით დიდ პერსპექტივას სთავაზობს.

„სიეტლი“ უკვე ქართველების ჯილაა ნბა-ში, ვლადიმერ სტეფანია კი ამ კლუბის წევრი და ქართული კალათბურთის რჩეული, რომელიც მალალ პროფესიონალიზმს თავის საქმეშიც ავლენს და „სარბიელთან“ ურთიერთობაშიც.

მაშ ასე, ქართველი მკითხველისთვის განკუთვნილი მისი მორიგი ინტერვიუ:

— ბოლო საუბრისას ჩიკაგოში იყავი. აქ ორიოდ დღესაც შევყოვნდები და შემდეგ სიეტლში დავბრუნდებიო, ამბობდი. მას მერე შენზე არაფერი გვსმენია...

— მთელი აგვისტო და სექტემბერი სიეტლში გავატარე. მხოლოდ რამდენიმე დღით ვიყავი ლას ვეგასში, ერთ-ერთი მეგობარი მოვინახულე.

— საზაფხულო ლიგის თამაშებმა ძალიან დამაქანცა, თქვი და ნაყოფიერ დასვენებას აპირებდი. აისრულე საწადელი?

— უკეთ დასვენებაც შემეძლო, მაგრამ სხვაგან წასვლას და აქეთ-იქით მოგზაურობას სიეტლში დარჩენა ვარჩიე და, ვფიქრობ, არც შევმცდარვარ. ჩემთვის ვიყავი, მყურდღ. თავის დროზე არც გართობას ვიკლებდი, უამისოდ ყოველთვის მიჭირსო.

— მაგას არაფერი სჯობს, მით უფრო, თუ საქმეებიც კარგად მიდის. შენ შემთხვევაშიც ასე უნდა ვიფიქროთ...

— საქმეს რა უჭირს, ყველაფერი ძველებურადაა, ესე იგი — კარგად. უბრალოდ, აქამდე ოფიციალურად ვიყავით დათხოვილები, გუნდი არ ვარჯიშობდა და მეც თავი არ შეშიზღუდავს.

— გამოდის, რომ კალათბურთი დროებით გვერდზე გადადე.

— ასე როგორ იქნებოდა, ინდივიდუალურად თითქმის ყოველდღე ვვარჯიშობდი. ისე, მსუბუქად, „კი არენას“ დარბაზში ბურთს ვესროდი და იშვიათად მძლეოსნობის მანეგში შევივლიდი. ამის გაკეთება სავალდებულო სულაც არ არის, უბრალოდ, მე მსურდა ასე.

— თუ არ ვცდები, პირველად 5 ოქტომბერს შეიკრიბა „სონიქსი“. ალბათ, უკვე სერიოზულ მზადებასაც შეუდექით...

— აქ ასეთი წესია: ყველა გუნდი სეზონის დაწყებამდე ზუსტად 24 დღით ადრე იკრიბება. 5 ოქტომბერს „სიეტლის“ წინასასეზონო წარდგენა შედგა, რის შემდეგაც პრესკონფერენცია მოეწყო. საღამოსთვის უკვე ვარჯიშზეც დაგვიბარეს.

— რა ხდებოდა გუნდის პირველ ვარჯიშზე?

— განსაკუთრებული არაფერი. თავდაპირველად კლუბის ხელმძღვანელობამ ძველებს ახალწვეულები წარგვიდგინა, ამან სულ ხუთი-ათი წუთი გასტანა, მერე საქმეს შევუდექით. მწვრთნელმა, პოლ ვესტფოლმა პირველივე დღეს დაცვაში და თავდასხმაში თამაშის ახლებური ვარიანტები გაგვაცნოს, თანაც ხაზი გაუსვა, რომ ამ სეზონში „სიეტლი“ სწორედ ამგვარი ტაქტიკური მონახაზით ითამაშებს. ვარჯიშის შემდეგ რაღაც წიგნები დაგვირიგეს, თან გაგვაფრთხილეს, რომ შინაარსს აუცილებლად უნდა გავეცნოთ. რაზეც გესაუბრეთ, ამის შესახებ სახელმძღვანელოში უფრო დაწვრილებით წერია და წაკითხვას ნუ დაიზარებთო, გვითხრა ვესტფოლმა. სხვა რა გზაა, ახლაც, სანამ დარეკავდი, ამ წიგნს ვარჩევდი.

— გუნდის სათამაშო ტაქტიკაში ძირითადად რა სიახლეები დაინერგა?

— ვერ ვიტყვი, რომ რაიმე გამორჩეულს და ჯერაც გაუგონარს ქადაგებს ვესტფოლი. უბრალოდ, დღესდღეობით „სონიქსს“ გამოკვეთილი ცენტრი არ ჰყავს, რაც მწვრთნელს სხვა ტაქტიკური ვარიანტების მიგნებისკენ უბიძგებს.

— გუნდში უამრავი ახალი კალათბურთელი მოვიდა. ნუთუ მათ შორის ერთი ცენტრი არ არის?

— ყველაზე დიდ პრობლემად ვესტფოლი უცენტრობას მიიჩნევს. გამოდის, რომ ამ პოზიციაზე მას არ ჰყავს ღირსეული მოთამაშე. სხვა მხრივ მწვრთნელს შეუძლია ნებისმიერს დაავალოს ამ ადგილზე თამაში და ისიც შეძლებისდაგვარად გამოავლენს თავის ნიჭს.

— იქნებ სწორედ შენ აღმოჩნდე ის მოთამაშე, რომელსაც ვესტფოლი ცენტრის ადგილს უმზადებს ხუთეულში?

— გამორიცხული არაფერია, მაგრამ მსგავსი რამ მწვრთნელს ჩემთვის არ უთქვამს. ყველაფერს დრო გამოაჩენს, როდესაც ყველა კალათბურთელს კონკრეტული ფუნქციების შესრულებას მოსთხოვენ.

— თავად რომელ პოზიციაზე თამაშს არჩევდი?

— ჩემთვის აბსოლუტურად სულ ერთია მოედანზე რომელ ადგილზე გამამწესებენ. იქნებ ფრთად დამაყენონ, იქნებ — ცენტრადაც. ჩემზე რომ იყოს, ცენტრობას ნაკლებად ვისურვებდი, სხვა თუ არაფერი, ფიზიკურად ძალიან გამიჭირდება.

— გასულ სეზონში პლეი ოფის მიღმა დარჩენილი „სიეტლის“ თავკაცობა წლეულს რა მიზნებს ისახავს?

— სულ ცოტა, პლეი ოფის მესამე რაუნდამდე უნდა მივაღწიოთო, ამბობენ.

— შენი აზრით, ეს რამდენად შესაძლებელი იქნება? მოახერხებს კი „სონიქსის“ დღევანდელი შემადგენლობა ის შედეგი აჩვენოს, რაც გამოცდილმა კალათბურთელებმა ვერ შეძლეს? მას შემდეგ ხომ გუნდი ძალიან გაახალგაზრდავდა...

— შარშანდელი შემადგენლობიდან მხოლოდ ხუთნი შემოვრჩით: პეიტონი, ბეიკერი, ლუისი, მაკკოი და მე. დანარჩენები ძალიან ახალგაზრდები და სულ მთლად გამოუცდელები არიან. მიუხედავად ამისა, ვესტფოლი იმედიანადაა, ეს ნაბიჯი შეგნებულად გადავდგი, ახალი სისხლის გადასხმა შედეგსაც დაეტყობაო, გაიძახის.

პირადად მე „სიეტლის“ მიღწევები ნაკლებად მაინტერესებს. იქნებ უცნაურადაც ჟღერდეს, მაგრამ ასეა. ჩემპიონები რომ ვერ გავხდებით, თავისთავად ცხადია. ის კი სულაც არ მაღელვებს, პლეი ოფის მეორე რაუნდიდან გამოვვარდებით, თუ მეოთხედან. მთავარია, მე ვიყო კარგად, ჯანმრთელობა ხელს მიწყობდეს და მწვრთნელებს უკმაყოფილების საბაბს არ ვაძლევდე. აი, პეიტონი რომ ვიყო, „სიეტლთან“ ერთად მაღალი შედეგების მიღწევაზეც ვიფიქრებდი. ახლა კი ჩემ თავზე მეტს ვფიქრობ, ვიდრე გუნდზე.

— ამ გახსენებაზე შენს ფეხზეც თქვი, მუხლის ტკივილს ხომ აღარ შეუწუხებიხარ?

— აღრინდელთან შედარებაც არ შეიძლება. ვარჯიშში ხელს თითქმის აღარ მიშლის, მაგრამ დროდადრო მაინც თავისებური ყრუ ტკივილი მაქვს. რა აღარ ვცადე, მაგრამ ბოლომდე ვერაფრით მოვირჩინე. ალბათ, უკურნებელი სენია. ყოველდღიურად ათ-თხუთმეტ წუთს ექიმებთან სწორედ ამ მიზეზით ვატარებ. თერაპიული პროცედურები მოძრაობას ერთიორად მიადვილებს.

— როგორც შევიტყვე, საცხოვრებელი ადგილი გამოგიცვლია...

— სამოთახიანი ბინა ვიქირავე ქალაქის ცენტრალურ უბანში. ყველანაირად უზრუნველყოფილი ვარ, ეგ არის, მანდაურობა ძალიან მენატრება. ახლა ცოტა გულს მომეშვა, რამდენიმე დღის წინ დედაჩემი მესტუმრა და...

— ჩვენი ბოლო საუბრისას ამბობდი, რომ შესაძლოა, ახალ სეზონს სხვა კლუბში შევხვდეო. ახლა, როცა ბინა იქირავე და მთელი წლის ხარჯებიც წინასწარ გაიღე, ალბათ, ეს ვარიანტიც საბოლოოდ გამორიცხა.

— მაგას აქ ვერასდროს გამორიცხავ. ყველაფერი ისეა აწყობილი, ვერ გადმოგცემ. რომ გაიგო და შეიგრძნო, ამერიკაში უნდა ჩამოხვიდე. ნბა-ში თამაში ნიშნავს, რომ მთელი ცხოვრება ჩემოდანზე ზიხარ. არავინ შეგეკითხება, ისე გაგყიდიან, გაგცვლიან და გაგასხვისებენ.

ბიორგი ბიკაშვილი



AFP ფოტოგრაფიდან

ვილერბანი — პივოვარნა 100:58. ვილერბანელი ჯიმ ბილბა (№14) და პივოვარნელი ბოშტიან ნახბარი (№15)

ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. III ტური. 7 სექტემბერი

A ჯგუფი

ბენეტონი 88:63 ცრვენა ზვეზდა

C ჯგუფი

ულძერი 64:86 ოლიმპიაკოსი

ვილერბანი 100:58 პივოვარნა

ვარეზე 79:87 მაკაბი

B ჯგუფი

ჟალგირისი 62:68 თოლუაში

რეალი 90:75 ალბა

პანათინაიკოსი 100:80 ოლიმპია

D ჯგუფი

კახა სან ფერნანდო 60:52 ფორტიტუდო

პო ორტეზი 75:82 ციბონა

კორაჩის თასი

ჯგუფური ეტაპი. I ტური. 6 სექტემბერი

A ჯგუფი

გენტი (ბელგია) — ხირონა (ესპანეთი) 64:67, ვაკალო (შვეიცარია) — ანტიბი (საფრანგეთი) 62:51

B ჯგუფი

ზრინიევაცი (ხორვატია) — იმოლა (იტალია) 93:95, გალათასარაი (თურქეთი) — ლოკა კავა (სლოვენია) 79:59

C ჯგუფი

მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) — ნიკოლ ფერტი (მაკედონია) 72:45

D ჯგუფი

უნიკახა (ესპანეთი) — პეზარო (იტალია) 88:64, ბაიერი (გერმანია) — მოსი (ბელგია) 92:51

E ჯგუფი

ბეშიქთაში (თურქეთი) — ინტერი (სლოვაკეთი) 62:52, აეროპორტი (იტალია) — ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) 73:68

F ჯგუფი

ლოკომოტივი (რუსეთი) — ალიტა (ლიტვა) 65:66, პილოსეტი (ფინეთი) — ბკ კიევი (უკრაინა) 95:77

G ჯგუფი

მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) — სპარტა (ჩეხეთი) 99:71, მარუსი (საბერძნეთი) — ზაგრები (ხორვატია) 80:66

H ჯგუფი

პოგონი (პოლონეთი) — კოუვოტი (ფინეთი) 84:74, ბორასი (შვედეთი) — ნეპტუნასი (ლიტვა) 74:97

I ჯგუფი

ოვარენშე (პორტუგალია) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 81:95, ფუენლაბრადა (ესპანეთი) — ანტვერპენი (ბელგია) 71:66

J ჯგუფი

გროდნო (ბელარუსი) — შიაულიაი (ლიტვა) 45:69, ბიტომი (პოლონეთი) — უნიქსი (რუსეთი) 67:78

K ჯგუფი

ლუგანო (შვეიცარია) — ირბ (ისლანდია) 94:76, ნანსი (საფრანგეთი) — ჰუიმა (ფინეთი) 77:75

L ჯგუფი

სემა (ლიტვა) — ნობილესი (პოლონეთი) 67:73, ურალ გრეიტი (რუსეთი) — ცსკა (უკრაინა) 74:90

M ჯგუფი

ქარშიაქა (თურქეთი) — ნიარ ისტი (საბერძნეთი) 79:73

N ჯგუფი

პერისტერი (საბერძნეთი) — ტრირი (გერმანია) 86:51, ციტლიუკი (ბოსნია) — ტელეკომი (თურქეთი) 71:67

O ჯგუფი

არისი (საბერძნეთი) — ლევსკი (ბულგარეთი) 87:79

P ჯგუფი

მადეირა (პორტუგალია) — ესტუდიანტესი (ესპანეთი) 81:95, ლე მანი (საფრანგეთი) — ოსტენდე (ბელგია) 92:72

მეორე ტური გაიმართება 12-13 ოქტომბერს

ვაქირავებ ან ვყიდი

გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას სარაჯიშვილის მეტროსთან

☎ 60 21 23

REUTERS ვატიკანიდან

ᲓᲐᲒᲕᲚᲝᲪᲔ, ᲛᲐᲛᲐᲝ

ფორმულა 1-ის იტალიელი მრბოლი ჯანკარლო ფიზიკელას თავისი ქალიშვილი კარლოტა აუტატებია. რომის პაპი იოანე პავლე, II კი პატარა გოგოს ლოცავს, ღმერთი გფარავდესო. ესე ყოველი მომხდარა პაპის ოთხშაბათობას. ფიზიკელა ყოფილა იმ მრბოლთა და მომღერალთა შორის, ვინაც პაპს მიუღია. და რა თქმა უნდა, აქვე იყო მიხაელ შუმახერიც, რომელიც, როგორც ხედავთ, იმ თავის დაშავებულ მუხლზე წამოჩოქილა მღვდელთმთავრის წინაშე და პაპის თბილი სიტყვა უსმენია. მერელა განუცხადებია მიხაელს, ეს იყო უბედნიერესი დღე ჩემს ცხოვრებაშიო. ავრე კმაოფილს სურათიც გადაუღია ვატიკანის საჭეთმპყრობლის კარის მცველებთან ერთად. ესენი კი, მოგეხსენებათ, შვეიცარიელები გახლავან. შვეიცარიც ხომ ამიტომ ჰქვია კარის მცველს.

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲘ



1. e4 c5 2. ♘f3 d6 3. ♗b5+ ♔d7 4. ♗×d7+ ♕×d7 5. c4 ♘c6 6. ♘c3 ♘f6 7. 0-0 g6 8. d4 c×d4 9. ♘×d4 ♗g7 10. ♘de2 ♕e6 11. ♘d5 ♖×e4 12. ♘c7+ ♔d7 13. ♘×a8 ♖×c4 14. ♘b6+ a×b6 15. ♘c3 ♗a8 16. a4 ♘e4 17. ♘×e4 ♖×e4 18. ♖b3 f5 19. ♗g5 ♖b4 20. ♖f7 ♗e5 21. h3 ♗×a4 22. ♗×a4 ♖×a4 23. ♖×h7 ♗×b2 24. ♖×g6 ♖×c4 25. ♖f7 ♗d4 26. ♖b3 f4 27. ♖f7 ♗e5 28. h4 b5 29. h5 ♖c4 30. ♖f5+ ♖e6 31. ♖×e6+ ♔×e6 32. g3 f×g3 33. f×g3 b4 34. ♗f4 ♗d4+ 35. ♔h1 b3 36. g4 ♔d5 37. g5 e6 38. h6 ♘e7 39. ♗d1 c5 40. ♗e3 ♔c4 41. ♗×d4 e×d4 42. ♔g2 b2 43. ♔f3 ♔c3 44. h7 ♔g6 45. ♔e4 ♔c2 46. ♗h1 d3 47. ♔f5 b1=♖ 48. ♗×b1 ♔×b1 49. ♔×g6 d2 50. h8=♖ d1=♖ 51. ♖h7 b5 52. ♔f6+ ♔b2 53. ♖h2+ ♔a1 54. ♖f4 b4



REUTERS ფინეთიდან

ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲨᲘ

ცოტაც და, გახურდება მორიგი საბეისბოლო პლეიოფი „არიზონა დაიმონდბექსსა“ და ნიუ იორკის „ამეთსს“ შორის. ფინიქსში „ბენქვან ბოლპარკის“ სტადიონზე იმგვარი სიამაყით ემზადებიან, რომ არათუ შტატის, არამედ ამერიკის დროშასაც აღმართავენ. დროშები მთელი 175 ფუტის სიმაღლეზე, იფრიალებენ, შეხვედრის საცქერლად კი 51 ათას მოსურვეს ელიან.

ამასობაში მეთსთა რეი ორდონესს თავისი არიზონელი მოწინააღმდეგის ბერნარდ გილკის ვაჟი, ჯილენი მოუხელთებია და ბეისბოლის თაობაზე თუ ესაუბრება. თამაში ჯერ არ დაწყებულა...



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ᲝᲡᲙᲐᲠᲘ ᲙᲘᲜᲝᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲑᲘᲭᲛᲐ“ ᲝᲡᲙᲐᲠ ᲓᲔ ᲚᲐ ᲰᲝᲘᲐᲛ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲘᲬᲕᲜᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲪᲮᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲐᲛᲘᲡ�გᲐᲜ ᲢᲠᲐ�გᲔᲓᲘᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲥᲛᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲠᲘᲕᲝ ᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ �გᲐᲛᲐᲠᲗᲐ ᲚᲝᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲔᲡᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲙᲘᲜᲝ-�თᲔᲐᲢᲠᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘᲡ „ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲬᲕᲔᲣᲚᲘ. ᲤᲘᲚᲛᲨᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲠᲝᲚᲡ ᲑᲠᲔᲓ ᲠᲘᲢᲘ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲛᲐ�გᲐᲠᲘ ᲙᲘᲜᲝᲪᲐᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲝᲡᲙᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲣᲬᲧᲔᲜᲘᲐ.

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიბრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინსარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli